ალია

N172/3294/ 12 ნოემბერი 2015 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან

## მანქანების გატაცებას ხომ ისევ აგრძელებს „სითი პარკი“ და ხელმოწერების გაყალბებას დაუწყია

3

## ბიძინა ივანიშვილი: „მაჟორიტარები ფეოდალებად იქცნენ და ეს სისტემა უნდა გაუქმდეს“

საპარლამენტო უმრავლესობა ივანიშვილის წინააღმდეგ?!



9

## ვინ და რამ დაადუმა დეპუტატი მექიაური?

რატომ არ შეიქმნა ქადაგიძის საქმიანობის შესასწავლად საპარლამენტო კომისია?



5

სუფთა კუკუდამალობანაა — მოკუკავენ „რუსთავი 2“ და „ნაცმოძრაობა“, იპოვის „ოცნება“ და ატყდება ხოლმე ერთი ამბავი 4

ზებრა გადასასვლელზე გზის არდათმობა 20 ლარით ჯარიმდება 12

ჰო, ჰო, ქალებსა და ყვავებზე რომ ფიქრობთ პარლამენტში, იმიტომ ვართ გადასარევად! 2

გია გაჩეჩილაძე: დედამიწაზე, ყოველწლიურად, დაახლოებით 300 ათასი ადამიანი იღუპება და ეს მონაცემები გაიზრდება 10

„43 200-ჯერ გამაუპატიურეს“ — ტრეფიკინგის მსხვერპლის შემზარავი ისტორია 12

## საქართველოს ნატოს წინაშე აღებული აქვს ვალდებულება, რომ 2016 წლის 1-ლი იანვრიდან უნდა გაუქმდეს სავალდებულო სამხედრო სამსახური

„ოცნების“ უმრავლესობა ნატოს უპირისპირდება!!!



11

## მერიამ გამაგრებითი სამუშაოების ტენდერი არარსებულ კორპუსებზე გამოაცხადა!



7

ყველაზე უცნაური აკრძალვები მსოფლიოში 15




ბავშვებს, რომლებიც წლის პირველ სამ თვეში იბადებიან, დანარჩენებზე მეტი შანსი აქვთ, სწავლაში წარმატებას მიაღწიონ და შესანიშნავი კარიერა მოიწყონ 16



ნიუ-იორკელებს დედის დაქირავება შეეძლებათ 15



ჭკუა და იუმორი არაფრით ყოფილა ერთმანეთთან დაკავშირებული 15



მშვიდი მელოდიები ფერად მაღაზიებსა თუ რესტორნებში მამაკაცებს გაცილებით მეტი თანხის დახარჯვისკენ უბიძგებს



16

## ირანს თუ გაზის სანაცვლოდ ჩვენი წყალი უნდა, კარგს ეს არაფერს მოგვიტანს, კახა ბატონო!



– ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ირანის რესურსები გამოყენებული იქნას ჩვენს საკეთილდღეოდ, საქართველოში იქნას შემოტანილი, – ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ ირანული გაზის შესახებ დასმული შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა.

– ირანი ძალიან საინტერესო ქვეყანაა, რომელიც დღეს უკვე მისაღებია; ამ ქვეყანას დიდი რესურსები გააჩნია და ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვიყოთ ჩართულები, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მათი რესურსები გამოყენებული იქნას ჩვენს საკეთილდღეოდ, შემოტანილ იქნას საქართველოში შეძლებისდაგვარად, რომ იყოს უფრო მეტი კონკურენცია, – განაცხადა კალაძემ.

კითხვაზე – არის თუ არა ძვირი ირანული გაზი, კალაძემ აღნიშნა, რომ აქ საუბარია კონკურენტუნარიან ფასებზე.

– თუ იქნება კონკურენტუნარიანი ფასები მათი მხრიდან შემოთავაზებული, რა თქმა უნდა, მაშინ შესაძლებელი იქნება, იყოს ბაზარზე და კონკურენცია გაუწიოს სხვა მომწოდებლებს, – განაცხადა კალაძემ.

რაც შეეხება ირანში ვიზიტს, ენერგეტიკის მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს, ალბათ, უახლოეს მომავალში შედგება. (bpn.ge)

**მოდით, ასე დავსვათ საკითხი — ყველა სათავისოდ ცდილობს და იმის თქმა, რომ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მაქსიმალურად ირანის რესურსები, მსუბუქად რომ ვთქვათ, ჭკუასთან ახლოს საერთოდ არ არის!**

**რას ვგულისხმობთ, ჩემო ბატონო, და გაზი კარგია, გაგვათბობს ზამთარში და საჭმელს „კერასინკებზე“ არ გავაკეთებთ ხოლმე, მაგრამ როგორ გგონიათ, ირანს არ აინტერესებს ჩვენი რესურსები? რა თქმა უნდა, აინტერესებს და არაერთხელ დასვა უკვე საკითხი ჩვენი წყლის შესახებ.**

**ნებისმიერ ქართველს ბავშვობიდან გვესმის, რომ აი, ამდენი წყალი გვაქვს, აი, ასეთი მდიდრები ვართ წყლითო, მაგრამ არც მთლად ასე ყოფილა საქმე! ამის შესახებ „ალია“ უკვე წერდა, თუმცა მოკლედ მაინც შეგახსენებთ: „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა — დედამიწის მეგობრების“ თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძემ გვითხრა, რომ არაერთი კვლევით დამტკიცდა, საქართველოს სულაც არ აქვს იმდენი წყალი, ყველას რომ ჰგონიაო. უფრო მეტიც, თუ ირანს ჩვენს წყალს მივცემთ, ნინო ჩხობაძის თქმით, ქვეყანა სერიოზული ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დადგება.**

**მოკლედ, გაზი ნამდვილად კარგია, მაგრამ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, უწყლოდ დარჩენა გაცილებით მეტ პრობლემას გვიქადის, რასაც, იმედია, მთავრობა აუცილებლად გაითვალისწინებს.**

## კაი, კაცო, საშინაო ფრთების შხუილმა ხო ყურები დაგვიხშო, ახლა საგარეო ფრთას მოჰკითხეთ რამე



– უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი საგარეო ფრთა მოისუსტებს და ზუსტ რეაგირებას – დროულად ინფორმაციის მიწოდებას ვერ ახდენს, – ამის შესახებ დეპუტატმა ნუკრი ქანთარიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე იმ შეფასებების საპასუხოდ განაცხადა, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით უცხოელი პარტნიორების მხრიდან გაკეთდა.

ქანთარიას თქმით, არათუ აშშ-ის ელჩს, უმრავლესობის წარმომადგენლებსაც კი ეგონათ, რომ მოსამართლემ განჩინება ღამით, სიბნელეში, კბილების კრაჭუნით, ფარნის შუქზე მიიღო.

– ინფორმირება ამ ყველაფერში ძალიან დიდ როლს თამაშობს და ვფიქრობ, საჭიროა რაღაცების საფუძვლიანად შეცვლა. აქ პასუხისმგებლობა მინდა „თავისუფალმა დემოკრატებმაც“ აიღონ – კოალიციაში ყოფნისას მათზე იყო საგარეო ფრთა, როგორც დიპლომატთა პარტიაზე, – განაცხადა ნუკრი ქანთარიამ.

უმრავლესობის წარმომადგენელი „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილის სატელეფონო საუბრებსაც გამოეხმაურა.

– „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით მოსამართლის ბოლო გადაწყვეტილებამ, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, გადაფარა ძალიან მნიშვნელოვანი და ყურადსაღები ფრაზები: „საქართველოში სისხლი დაიღვრება“, „ბოევიკები უნდა დადგნენ“, „ვიღაცეებს ცხვირები უნდა დაეჩეჩქვოთ“ და სხვა მსგავსი ძალადობრივი ფრაზები რევოლუციური სცენარის განვითარების თაობაზე. ქინძზე და ოხრახუშზე აღარაფერს ვამბობ, ეს მათი ნებაა. უმცირესობის არც ერთ წევრს ამაზე საკუთარი პოზიცია არ დაუფიქსირებია, რაც პირდაპირი მინიშნებაა, რომ სისხლიან სცენარს არ ემიჯნებიან და ნებით თუ უნებლიეთ ამ ყველაფრის თანამონაწილენი არიან. ასეთ შემთხვევაში ძალიან ძნელია მათთან ვინმე პოლემიკაში ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე შევიდეს, – განაცხადა ქანთარიამ.

მან აღნიშნა ისიც, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ პროტესტს არც იმასთან დაკავშირებით გამოთქვამს, რომ მათი ლიდერი ქვეყნის უცხოელ პარტნიორებს საკმაოდ უდიერად – იდიოტებად მოიხსენიებს. (პირველი რადიო)

**აუ, არა, რა, ტყუილად არ ამბობენ, პარლამენტში მსახიობებსა და სპორტსმენებს არაფერი ესაქმებათო...**

**ნუკრი ბატონო, თქვენ და თქვენი გუნდი თუ ისევ „თავისუფალ დემოკრატებზე“ ამყარებთ იმედებს, მით უმეტეს, საგარეო მიმართულებით, ყოჩაღ, რა, „მალადეც“!**

**სულ ფეხებზე არ ჰკიდიათ „ალასანიისტებს“, რას იტყვიან დასავლეთში „ქართულ ოცნებაზე“, კაცო? პირიქით, რაც უფრო დაარწმუნებს ევროპელ-ამერიკელებს, რომ მაიმუნობენ ეგენი რაღაცებსო, მით კმაყოფილები იქნებიან. ნუ, ასე გვგონია და ასე ხდება რეალურად და თქვენ რამე ისეთი იცით, რაც ჩვენ არ გაგვიგია?**



## ნაცვლიშვილი უარყოფს, რომ „რუსთავი 2“-ის დროებით მფლობელებს სამართლებრივ საკითხებზე ესაუბრა



საია-ს თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი უარყოფს „რუსთავი 2“-ის დროებითი მმართველების განცხადებას, რომ მათ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით შეხვდა.

როგორც ნაცვლიშვილი ამბობს, ის საყვარიშვილსა და დვალს არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრის ორგანიზებას დაჰპირდა.

– მეც და ჩემს მეგობრებს შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს, ეს იყო ჩემთან საფუძვლიანი კონსულტაციები ან მე რაიმე რჩევის მსგავსი გავაკეთე, როგორ უნდა მოიქცნენ ისინი ამ შემთხვევაში, ეს ასე არ ყოფილა. ჩვენ ამ პროცესში მხარე არ ვართ. სამწუხაროდ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ გარკვეული მცდელობებია, საია იქცეს მხარედ. შეხვედრა შედგა მხოლოდ, რაც დავპირდი და შევთანხმდით, რომ იქნებოდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა, – განცხადა ანა ნაცვლიშვილმა. (ნიუპოსტი)

## ორი დღე იფაფხურა და ისევ გაუფასურდა



ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში მცირედით გაუფასურდა. კერძოდ, 12 ნოემბრისთვის 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,3982 ლარი გახდება. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი, რომელიც დღეს მოქმედებდა, 2,3971 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,0011 ლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის თანახმად, ეროვნული ვალუტა ევროსთან მიმართებაში მცირედით გაუფასურდა. კერძოდ, ხვალიდან ერთი ევროს შეძენა 2,5766 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა დღეს მოქმედი კურსი 2,5745 ლარს შეადგენდა. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0021 ლარი შეადგინა. (bpn.ge)

## ირმა ინაშვილი: მოშიმშილეთა რიცხვი 500-მდე გაიზრდება!



– ქვეყანაში უნდა შეიცვალოს საარჩევნო გარემო. ეს ჩვენ უნდა დავიწყოთ დღეიდან, არა 2020 წლიდან, რასაც ხელისუფლება ამბობს, – ამის შესახებ მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან მოშიმშილე „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა, ირმა ინაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

– მხარდამჭერი აქციები საგარეჯოში, გორში, თელავში იმართება. ბათუმში, ზუგდიდშიც დაიწყებენ შიმშილობის აქციას. ყველა დიდ ქალაქში შეიქმნა მოხალისეთა ჯგუფები, რომლებიც სოლიდარობას გამოგვიცხადებენ და შიმშილობის აქციას შეუერთდებიან. შეიქმნა მოხალისეთა სია. მეორე ადგილი პარლამენტის შენობის წინ იქნება, სადაც 20 ადამიანი იშიმშილებს. მოშიმშილეთა რიცხვი რამდენიმე დღეში კიდევ 500-მდე გაიზრდება, – აღნიშნა ირმა ინაშვილი.

მისივე თქმით, სურს, ყველამ გაიგოს, რომ ეს არ არის ირმა ინაშვილის მხარდამჭერი აქცია, არამედ შიმშილობის აქცია იმართება იმ მიზნით, რომ ქვეყანაში შეიცვალოს საარჩევნო გარემო.

– ქვეყანაში უნდა შეიცვალოს საარჩევნო გარემო. ეს ჩვენ უნდა დავიწყოთ დღეიდან. არა 2020 წლიდან, რასაც ხელისუფლება ამბობს. საჭიროა, ხელისუფლებამ მოგვცეს გარანტიები, რომ, როგორც სჩვევიათ, არ იცრუებენ. არ გაექცევიან ამ თემას და ღიად იტყვიან, რომ ვიწყებთ ამ ცვლილებებს ოპოზიციასთან ერთად, – განაცხადა ირმა ინაშვილმა. (რეპორტიორი)

## ჰო, ჰო, ქალებსა და ყვავებზე რომ ფიქრობთ პარლამენტში, იმიტომ ვართ გადასარევად!



მმართველ კოალიციაში პრეზიდენტის რეზიდენციის თემაზე აზრი ორად არის გაყოფილი. დეპუტატების ნაწილი ბიძინა ივანიშვილის პოზიციას იზიარებს და გიორგი მარგველაშვილის რეზიდენციიდან გამოსვლას მხარს უჭერს, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ დღეს ქვეყანაში გაცილებით დიდი პრობლემებია, ვიდრე ქვეყნის პრეზიდენტის ადგილსამყოფელი.

– შეიძლება ბატონ თამაზს ქერა ქალები მოსწონს და მე შავგვრემნები, ამის გამო კოალიციაში ქარიშხალს ვერ გამოიწვევთ. არ არის ამჟამად რელევანტური, გაცილებით სერიოზული საკითხები გვაქვს ახლა, პრეზიდენტს სად სძინავს და სად არ სძინავს, არაა ასე მნიშვნელოვანი. მთავარია, მას, როგორც ქვეყნის კონსტიტუციურად განსაზღვრულ პირს, ჰქონდეს ყველა საშუალება, განახორციელოს თავისი უფლებამოსილება, – აცხადებს ლევან ბერძენიშვილი. (პირველი რადიო)

**ერთი კიტრი და სიკუტუა ჩიტი და მეორე პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაა არარელევანტურ-მეორე-მესამე-მეათეხარისხოვანი!!!**

**რატომ არის ეს საკითხი რელევანტური, ჩემო ბატონო და იმიტომ, რომ როცა უმაღლესი მთავარსარდალი დადებულ პირობას არ შეასრულებს, აი, პირდაპირ ვიტყვით — „ტეხავს“, თან მაგრად „ტეხავს“! „ეტა რაზ“.**

**პირადად არ დაგვითვლია, მაგრამ ხარჯების შემცირებაზეც ხომ აკეთებენ ხოლმე აქცენტს, კაცო? ჰოდა, ამ „ქამრების შემოჭერას“ პრეზიდენტიან მინისტრებიანად მხოლოდ ხალხისგან რომ ითხოვთ, თავად შეისუნთქეთ მაინც, არ შეიძლება? ესაც „დვა“!**

**„ტრი“ და „ჩეტირეც“ შეიძლებოდა, მაგრამ რა აზრი აქვს რო?**

## საკონსტიტუციომ პარლამენტს, თქვენი დიდი ხათრი (არ) გვაქვს, მაგრამ — არაოოო



საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტის შუამდგომლობა 2 მოსამართლის აცილების შესახებ არ დააკმაყოფილა. გადაწყვეტილება მოსამართლემ რამდენიმე წუთის წინ გამოაცხადა.

შეგახსენებთ, რომ მოსამართლეთა კოლეგიას უნდა მიეღო გადაწყვეტილება, დააკმაყოფილებდნენ თუ არა პარლამენტის შუამდგომლობას 4 მოსამართლიდან 2-ის აცილების შესახებ. (რეპორტიორი)

## მანქანების გატაცებას ხომ ისევ აგრძელებს ,,სითი პარკი" და ხელმოწერების გაყალბებაც დაუწყია, რაც სხვათა შორის, სისხლის სამართლის დანაშაულია და ახლაც არ გაანძრევთ ერთ ადგილს?!





– ვაგრძელებ სითი პარკის თემას და ყველას გაფრთხილებთ, თქვენც არ აღმოჩნდეთ ჩემს დღეში. მოიკითხეთ თქვენი ანგარიშები, გაფრთხილების გარეშე არ იყოს დაყადაღებული.

მეგონა, მხოლოდ მე გამიყალბეს ხელმოწერა, როგორც ჩანს, სერიოზულად აყალბებენ ხელმოწერებს და ვილაცა არც აპროტესტებს, ისე იხდის საურავებს, – მთავრობის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომელი, თამარ ბოდოკია თავის სოციალურ ქსელში დეტალურად ყვება იმ პროცედურებს, რაც მას შემდეგ გაირა, რაც მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მისი ანგარიში „სითი პარკის" გადაუხდელი საურავების გამო დაყადაღებული იყო.

როგორც თამარ ბოდოკია აცხადებს, იმ დღეს, როცა თითქოს ჯარიმას ხელი მოაწერა, თბილისში საერთოდ არ იმყოფებოდა. სამსახურებრივი მივლინებით ქუთაისში იყო, რის დამადასტურებელი ბრძანებაც არსებობს

– დამირეკეს სააღსრულებო ბიუროდან, სამჯერ 180 ლარი უნდა გადაიხადოთ ჯარიმა, ანუ 540 ლარიო. მიმტკიცებენ, ჩაგბარდათ ჯარიმები და ხელი მოწერილი გაქვსო.

6 აპრილს თბილისში არ ვყოფილვარ, ქუთაისში ვიყავი იუნისეფის და ბავშვზე ზრუნვის ღონისძიებაზე. ჯანდაცვიდან მივლინებაც მაქვს ამასთან დაკავშირებით. ამას გარდა, ეს არ არის ჩემი ხელმოწერა. შემიძლია, ესეც დავამტკიცო... ბოდო-კი-ა ვარ და არა ბიო-დოგია.... ხელი კი სწორედ „ბიოდოგიათი" არის მოწერილი".

თამარ ბოდოკიას განცხადებით, მან „სითი პარკის" სახელზე საჩივარი დაწერა.

– ვიდრე განცხადებას ვწერდი „სითის" ოფისში, რამდენიმე აღშფოთებული ადამიანის ისტორიაც მოვისმინე. ერთი იმერელი კაცი (კილოზე ეტყობოდა) ჩხუბობდა, მისამართზე რომ მიიტანეს განცხადება და მე არ დავხვდი ადგილზე, მამაჩემმა როგორ მოუწერა ხელი, კაცი 40 წლის წინათ ავარიით დაიღუპაო? ყველა ანგარიში დაყადაღებული ჰქონდა.

მეორე კაცი ჩიოდა, მე რა ვქნა, მე, ხელი არ მქონდა მოწერილი და მაინც ათას ლარამდე საურავებში გადავიხადეო...

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, სერიოზული აფიორაა, ან ყველა გოიმი და ბრმა ჰგონიათ.

მიზანმიმართული ყვლეფა მიდის ადამიანების. ზოგიც ებმება ამ მახეში, ზოგიც – არა.

არ ვარ ინტრიგანი, მაგრამ არც ისეთი ბრიყვი ვარ, რომ არაფერში 540 ლარი გადავიხადო...

მით უმეტეს, ჩემნაირი აქაც ბევრი ვიპოვე. ვიდრე ჩემს ამბებს ვარკვევდი, ჩემი თანამშრომლის რძალმაც დაწერა „ფეისბუკში", – მომილოცეთ, დღეს „სითის" დავა მოვუგეო... იმ გოგოს შემთხვევით გაუგია, რომ ყველა ანგარიში და მანქანა დაყადაღებული ჰქონდა და სანამ დავას დაიწყებდა, მანამ 200 ლარიც ჩამოაჭრეს.

მოკლედ, ვისაც „სითის" ჯარიმების სიმწარე არ განუცდია, ალბათ, ამ ამბავს გაატარებს, მაგრამ ვიდრე თითოეული ჩვენგანი გავმწარებულვართ, იქნებ ვილაცამ მაინც მოსთხოვოს ამ თავგასულ კომპანიას პასუხი და სერიოზული კამპანია დავიწყოთ – ნუ გაებმებით „სითი პარკის" მახეში!!! – წერს თამარ ბოდოკია.




აღნიშნული ფაქტის გასარკვევად „სითი პარს" დავუკავშირდით, სადაც შემდეგი კომენტარი გააკეთეს:

– ქალბატონ თამარს ველაპარაკეთ, იცის და დაწერს განცხადებას, ჩვენ არ ვარიგებთ წერილებს, გვყავს კონტრაქტორები, საფოსტო კომპანიები, რომლებიც არიგებენ ამ წერილებს და სწორედ მათთან მოუწევს ქალბატონ თამარს გარკვევა, რამდენად იყო მისი ხელმოწერა გაყალბებული... თუ დადასტურდა, რომ ხელმოწერა არის გაყალბებული, ამ შემთხვევაში ჩვენთან დაწერს განცხადებას, ჩვენ გადავაგზავნით მას მერიაში, შემდეგ გადაიგზავნება ეს განცხადება სამართალდამცავ სტრუქტურაში და მოხდება გამოძიება. თუ გამოიკვეთება, რომ ვინმემ ხელმოწერა გააყალბა, კანონის წინაშე აგებს პასუხს.

რამდენიმე საფოსტო კომპანია გვყავს, არ ვიცი, რომელი კომპანია იყო, რომელმაც ქალბატონ თამარს წერილი მიუტანა, შესაბამისად, რომ არ დავადანაშაულო რომელიმე, ვერ დავარღვევ მათ უფლებებს. ქალბატონ თამარ შეგიძლიათ, კითხოთ, მას ეცოდინება, ალბათ, ვინ მიუტანა წერილი.

თამარ ბოდოკია: „ანუ მე ვდავობ, რომ არ მიმიღია და ჩამიბარებია 3 ჯარიმა და ხელმოწერა არ არის ჩემი. მაქვს ასევე ეჭვი, ეს გაყალბებული ხელმოწერები გადასარევად იცის „სითის" ადმინისტრაციამ..." (ipress.ge)

**ცრუობს „სითი პარკი", როცა ამბობს, რომ თამარ ბოდოკიას ეცოდინება, რომელმა საფოსტო კომპანიამ მიუტანა ჯარიმებიო. პირადად მე ამ ზაფხულს რამდენიმე ჯარიმა მომიტანეს სახლში, გადმომცეს და ხელი კი მოვაწერე, მაგრამ ფოსტის თანამშრომელმა მხოლოდ ჯარიმის ქვითარი მომცა, თავად რომელი კომპანიიდან იყო, არც უთქვამს და არც ჯარიმაზე ეწერა.**

**მოკლედ, ყოველგვარ საზღვარს სცდება „სითი პარკის" თავხედობა, პატრონი კი სად არის, სად, აბა, ჩქიმ ჯიმა?!**

**ბარემ აქვე შეგახსენებთ, რომ „სითი პარკთან" სადავო საკითხების მოგვარებისთვის შეგიძლიათ, დარეკოთ შემდეგ ნომერზე: 593 505 444 და უფასო იურიდიულ დახმარებას გაგიწევენ.**



## ძალიან კი ნუ ინერვიულებთ, ხომ იცით, ყველაფერი ხდება, კაცი კვდება და... ანდრო ბარნოვმა ,,ნაცმოძრაობა" დატოვა



„ნაციონალური მოძრაობის" წევრი ანდრო ბარნოვი პარტიას ტოვებს. როგორც სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი სოციალურ ქსელში წერს, ის არასამთავრობო ორგანიზაციას აფუძნებს:

– „ნაციონალურ მოძრაობაში" 2013 წლის 12 იანვარს მივედი, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა", იმ დროს ერთადერთი პროდასავლური პარტია, არჩევნებში დამარცხებული, რუსული პროპაგანდის განწირული მსხვერპლი იყო; როდესაც საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი მასში კეთროვანს ხედავდა, ახალი ხელისუფლება კი განადგურებით ემუქრებოდა. მიმაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება ჩემი პოლიტიკური კარიერის ყველაზე სწორი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. მთელი ჩემი დრო და ენერგია, როგორც 2012 წლის არჩევნებამდე, ისე არჩევნების შემდეგ, მიმართული იყო იქით, რომ გაძლიერებულიყო სამოქალაქო საზოგადოება, გაძლიერებულიყო სახელმწიფო, საქართველოში გაძლიერებულიყო დასავლური კულტურა და ამოძირკვულიყო რუსეთის დამღუპველი გავლენა ჩვენს საზოგადოებაზე. მიმაჩნია, რომ ამ მიზნების მისაღწევად მართლაც მოვახერხე მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა, თუმცა ისიც ცხადია, რომ წინ კვლავაც დიდი გზა გვიდევს. დღეს სიტუაცია პარტიულ დაპირისპირებებში ჩაიკეტა. არადა, ბრძოლის ველი გაცილებით ვრცელია. საქართველოს მომავლის თვალსაზრისით, მხარე ვერ იქნება რომელიმე პოლიტიკური პარტია. აქ მხარეა ჩვენი საზოგადოება, ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც სწამს მომავლის და ხელში არ შეჰყურებს რომელიმე ბატონს. სხვადასხვა რთული თუ მარტივი მიზეზის გამო, ამ ხედვის დამკვიდრებას პოლიტიკური პარტიები ვერ უზრუნველყოფენ. საჭიროა საზოგადოებასთან პირისპირ მუშაობა, საჭიროა პირუთვნელი საზოგადოებრივი მოღვაწეობა – ყოველგვარი პარტიული ინტერესისა და პარტიული მიზნების გარეშე. მე ვტოვებ პარტიას და მის პოლიტიკურ საბჭოს, ვაფუძნებ ახალ არასამთავრობო ორგანიზაციას და სწორედ ამ რანგში გავაგრძელებ მოღვაწეობას. დეტალებს მალე მოვახსენებ საზოგადოებას, – წერს ანდრო ბარნოვი. (ნიუპოსტი)

**ძალიან მოგვჭრა ყური ამ სიტყვებმა: „სწამს მომავლის და ხელში არ შეჰყურებს რომელიმე ბატონს" –– ამდენი ხანი გავიდა და მიშას ჯერ ისევ ვერ შეელიეთ, ვერ მოინელეთ თქვენი ბატონის პოლიტიკიდან ჩამოშორება და კიდევ სხვას სდებთ ბრალს ამ სისულელეში? თუმცა დემაგოგია ხომ თქვენი მოგონილია!..**

**ისე კი მაინც სცადა „ალიამ" ანდრო ბარნოვთან დაკავშირებას, თუმცა უშედეგოდ.**

## ყველაზე მაღალი და დაბალი საშუალო ხელფასი საქართველოში



დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 2014 წლის მონაცემებით 818 ლარს შეადგენს.

ცნობისთვის, 1998 წელს ეს მონაცემი 56 ლარს არ აღემატებოდა. წლების განმავლობაში დასაქმებულთა ანაზღაურება პერმანენტულად იზრდებოდა. „საქსტატის" მონაცემებით, აღნიშნულ საკითხში ყველაზე დიდი ცვლილება 2007-დან 2008 წლამდე პერიოდში განხორციელდა და დასაქმებულთა ხელფასები ერთი წლის განმავლობაში 166 ერთეულით – 368 ლარიდან 534 ლარამდე გაიზარდა.

საქმიანობის სახეების მიხედვით, გასული წლის ყველაზე მაღალი ანაზღაურება საფინანსო სექტორშია – 1 590 ლარი, მეორე ადგილს სახელმწიფო მმართველობა იკავებს – 1232 ლარი, სამეულში 1039 ლარით შედის სამშენებლო სფერო. აღსანიშნავია, რომ საქსტატის მონაცემებით, ყველაზე დაბალი, საშუალო თვიური ანაზღაურება განათლებაში ფიქსირდება და ის ამ ეტაპზე 456 ლარს შეადგენს. 477 ლარია სასტუმროებისა და რესტორნების ქსელში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი, ხოლო თევზჭერის სექტორსა და სოფლის მეურნეობაში აღნიშნული მონაცემი 503-504 ლარს არ აღემატება. (bpn.ge)

## აფთიაქების მონოპოლისტობას დაუსვამთ წერტილს, ,,ოცნება", თუ ეს თემა არ არის წინასაარჩევნოდ აქტუალური?!



ბოლო პერიოდში საქართველოში მედიკამენტების ფასი 5-დან 20 პროცენტამდე გაიზარდა. აფთიაქებში ამბობენ, რომ ფასმა არა მხოლოდ სარეცეპტო, არამედ ურეცეპტოდ გასაცემ მედიკამენტებზეც მოიმატა. როგორც აფთიაქებში აცხადებენ, განსაკუთრებით გაძვირდა ჰიპერტენზიის საწინააღმდეგო საშუალებები. ფასის მატებას კვლავ ლარის გაუფასურებას უკავშირებენ.

გაძვირებულ მედიკამენტებზე საუბრობენ მომხმარებლები, რომლებსაც ბოლო დღეებში მედიკამენტების შეძენა გაძვირებულ ფასად უწევთ. ზეინაბ ნასყიდაშვილი არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალება „დიკლოფეროლის" მუდმივი მომხმარებელია. ის ამბობს, რომ ბოლო პერიოდში მისი ფასი თვალშისაცემია.

– სახსრები მაწუხებს და მხოლოდ „დიკლოფეროლი" მიყუჩებს ტკივილს. თითქმის ყოველდღიურად მოვიხმარ. თუმცა ბოლო პერიოდში იმდენად გაიზარდა მისი ფასი, რომ იშვიათად ვყიდულობ. ადრე ერთი ფირფიტის ფასი 5,3 ლარს შეადგენდა. ახლა 6,8 ლარამდე გაიზარდა. ლარის გაუფასურებამ ყველაფერი გააძვირა და არც წამლები დარჩა გამონაკლისი, – განაცხადა ზეინაბ ნასყიდაშვილმა.

გაძვირებულ მედიკამენტებზე საუბრობს ზურა თვაური, რომელიც თვალის წვეთებს „სისტეინ ულტრას" რეგულარულად მოიხმარს.

– თუ ადრე „სისტეინ ულტრაში" 11 ლარს ვიხდიდი, ახლა მისი ფასი 19 ლარამდე გაიზარდა. აღარაფერს ვამბობ სხვა მედიკამენტების გაძვირებაზე, – განაცხადა ზურა თვაურმა, რომელიც წამლებზე ფასის მომატებას რეცეპტულ სისტემას უკავშირებს.

მცირედით, თუმცა მაინც არის გაძვირებული ბავშვის ხველების წამალი „პუროქსანი". (ბპნ.გე)

## სუფთა კუკუდამალობანაა — მოკუკავენ „რუსთავი 2“ და „ნაცმოძრაობა“, იპოვის „ოცნება“ და ატყდება ხოლმე ერთი ამბავი



**არც მუშტების ქნევას და არც სისხლისღვრას რომ არ მოერიდებიან „ნამოძრაობის“ წევრები, ამაში კი დავრწმუნდით ფარული ჩანაწერებითაც — მთავარი დასაყრდენი ეცლებათ ხელიდან და წავლენ ყველაფერზე, ბუნებრივია, თუმცა მანამდე საქმის ოფიციალური მხარე თამამად შეიძლება ითქვას, უკვე სულელურ თამაშს დაემსგავსა — დაჭერობანას, კატათაგვობანას, მაგრამ უფრო მეტად მაინც კუკუდამალობანას — მოკუკავენ ხოლმე „რუსთავი 2“ და „ნაციონალური მოძრაობა“, დამალავენ, ოღონდ არც ისე საგულდაგულოდ, ბუნებრივია, იპოვის ამას ხელისუფლება და ატყდება ხოლმე დიდი გამიშვი-გაგიშვი. და ხალხი რომ ყროლდება და სუნთქვა უჭირს უკვე, რა თქმა უნდა, ყველას ფეხებზე ჰკიდია.**

**ბოლო დღეებში ცოტათი კი ამოვისუნთქეთ ფარული ჩანაწერებისგან, მაგრამ ამის გარეშეც არ გვაკლია სხვა მოკუკულები.**

**ასე მაგალითად, „ნაცმოძრაობამ“: მომავალ კვირაში პარლამენტში აღარ მივალთ, ჩვენ თავისუფალი სიტყვა უნდა დავიცვათო.**

**იიი, რა მაგრები არიან, თუ ხედავთ? სიტყვის თავისუფლებას იცავენ, მედიას იცავენ და დასავლეთსაც მეტი რა უნდა — იპოვიან, გაიგებენ „ნაცების“ ამ მოკუკულ, მაგრამ კარგად შეფუთულ ამბავს და იტყვიან, ხელისუფლებას თითს დაუქნევენ — ციც, რაღაც აყროლდა თქვენს „სამეფოში“, ტელევიზიას ნუ უჩმახებთ, თორემ მოვიდა გუდიანიო...**

შუადღისთვის დავით დვალმა პრესკონფერენცია ჩაატარა და საზოგადოებას შემდეგი ინფორმაცია მიაწოდა:

– იმისთვის, რომ შეგვევსო არსებულ პერიოდთან დაკავშირებული ვაკუუმი – ჩვენ არ შევდივართ „რუსთავი 2“-ში, მათ კი არ აქვთ მმართველობის უფლებამოსილება, ჩვენ მივმართეთ თხოვნით დამფუძნებლებს, გამოეყოთ პირი, ვინც მართვას განახორციელებდა, რათა შეფერხება არ ყოფილიყო. მიუხედავად სრულიად არაადეკვატური პასუხისა, რომელიც მიმართვაზე მივიღეთ, რომ არ გვცნობენ საერთოდ, მაინც გადავდგით შემდეგი ნაბიჯი. მე ორი დღის წინ შევხვდი „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის მოადგილე ზაალ უდუმაშვილს, ვისაუბრეთ ამ თემაზე, ავუხსენი ჩვენი პოზიცია, რომ, თუ ორივე მხარე მართლა ვართ დაინტერესებული, დაძაბულობა არ მოხდეს და მშვიდ ტემპში გაგრძელდეს ყველაფერი, მე მზად ვარ, მას გადავულოცო ჩემი უფლებამოსილება.

დღეს ეს გადაწყვეტილება ცალმხრივად განვახორციელეთ მე და ბატონმა რეზომ – ჩვენი უფლებამოსილება მივანიჭეთ ზაალ უდუმაშვილს. მას ეს უფლება უკვე მინიჭებული აქვს, რაც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია, ანუ ზაალ უდუმაშვილს სრულფასოვნად შეუძლია, განახორციელოს დროებითი მმართველის ფუნქცია, – აღნიშნა დავით დვალმა.

ქოში სულ უკულმა ყარეს „რუსთაველებმა“ – მოკუკეს დვალმა, საყევარიშვილმა, ხალვაშმა და ბუნებრივია, ხელისუფლებამო, მაგრამ დამალვაც ვერ მოასწრეს, ეგრევე ვიპოვეთ და გავშიფრეთ ყველაფერიო. კერძოდ, დვალის პრესკონფერენციას „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსი გიორგი ლაფერაშვილი „ფეისბუკით“ გამოეხმაურა:

„მავანმა, ვინც ამ პროცესებს მართავს, გადაწყვიტა „რუსთავი 2“-ის თანამშრომლების სრული დემონიზება და სიტუაციის განმუხტვაზე საუბარი, კარგებად და ცუდებად ცალკეული მოთამაშეების წარმოჩენის მცდელობა და განცხადებები კომპანიასა და ჟურნალისტებზე ზრუნვის შესახებ, მხოლოდ მაყურებელზე გათვლილი პიარსვლებია.

ახალი მესიჯბოქსი დარიგდა უკვე: უდუმაშვილი უარს იმიტომ ამბობს, რომ გვარამიას მძევალია – გვარამიას კი, თავის მხრივ, სიტუაციის განმუხტვა არ სურს“. შეცდომაა.

სიმართლე კი ისაა, რომ მავანმა, ვინც ამ პროცესებს მართავს, გადაწყვიტა, „რ2“-ის თანამშრომლების სრული დემონიზება მოახდინოს და ამ პროცესში უკვე ზალიკოს გასვრის მცდელობაც აქვს.

ყველაფერი სხვა: „სიტუაციის განმუხტვაზე“ საუბარი, კარგებად და ცუდებად ცალკეული მოთამაშეების წარმოჩენის მცდელობა და განცხადებები „კომპანიის“, ან კიდევ უფრო მეტი, „ჟურნალისტებზე“ ზრუნვის შესახებ მხოლოდ მაყურებელზე გათვლილი პიარსვლებია, რომელიც არანაირ სამართლებრივ გამოსავალს ამ სიტუაციიდან არ გვთავაზობს.

ჟურნალისტებზე ზრუნვის რამდენიმე კონკრეტული მაგალითი კომპანიის დროებითი მმართველებისგან უკვე ვიცით: 2004-ში ბატონი დვალისა და 2012-ში ბატონი საყევარიშვილის მხრიდან. კიდევ ერთი პასუხი აქ მომუშავე ადამიანებმა დღეს მივიღეთ – როდესაც პრესკონფერენციიდან ერთ-ერთ ჩვენგანს კომპანიის მართვისა და ფინანსური ვალდებულებების გასტუმრების ტვირთი მის დაუკითხავად აჰკიდეს“.

აჰა, აკი გეუბნებით, თამაშად იქცა-მეთქი უკვე ეს ყველაფერი და ლაფერაშვილიც რამდენჯერმე იმეორებს, – თამაშია, თამაშიაო...

ჰოდა, ითამაშეთ, მერე, ცუდი რა არის ამაში? რასაც თქვენ, ორივე მხარეს ვგულისხმობთ, ხალხის ნერვებზე თამაშობთ, კუკუდამალობანას თამაში აღარ გინდათ?

ჰო, ზალიკოც გადაირია დვალისა და საყევარიშვილის გადაწყვეტილებით – როგორ გამიბედეთ, თქვე მოვარდნილებო, უფლებამოსილების მონიჭება ისე, რომ არც თანხმობა გქონდათ ჩემი და არც ხელმოწერაო:

„დიახ, ვადასტურებ, რომ ორი დღის წინ დავით დვალს, მისივე თხოვნით, შევხვდი. 2 საათის განმავლობაში ვსაუბრობდით. მე გავაცანი ის პოზიცია, რაც ჩვენ გვაქვს, თუ რატომ არ იზიარებდა კომპანია იმ პროცესს, რომელიც მის წინააღმდეგ მიმდინარეობს. მე კარგად ავუხსენი მას, რომ ეს იყო ხელისუფლების წარმოებული ბრძოლა და რომ ის იყო ხელისუფლების იარაღი. მას ჰქონდა თავისი პოზიცია. ჩვენ ვერ შევჯერდით... ძალიან მაინტერესებს, როგორ გატარდა საჯარო რეესტრში იმ ვალდებულების დოკუმენტი, რომელიც მე დამაკისრეს საყევარიშვილმა და დვალმა ისე, რომ ჩემი ხელმოწერა არ ყოფილიყო ზედ? ჩემი თანხმობისა და ხელმოწერის გარეშე ამ დოკუმენტის გატარება არ შეიძლებოდა და შესაბამისად, ეს დოკუმენტი უკანონოა.

თქვენ გაქვთ ყველანაირი უფლება, შეგიძლიათ, დისტანციურად შეასრულოთ თქვენი მოვალეობები და ის ფინანსური ვალდებულებები, რაც კომპანიას აქვს, დისტანციურად მართოთ, რადგან თქვენ გაგაჩნიათ წვდომა ბუღალტერიასთან. კეთილი ინებეთ და შეასრულეთ თქვენი უფლება-მოვალეობები“.

მოკლედ, სურათი ასეთია: ურთმელიძემ – საყევარიშვილიო, საყევარიშვილმა – უდუმაშვილიო, უდუმაშვილმა კი – არაოოო...

***„ალია“***

## „საქართველოს რკინიგზა“ 2016 წლიდან ევროპის „ვიკინგის“ საკონტეინერო ბლოკმატარებლის მომსახურებას გეგმავს



„საქართველოს რკინიგზა“ ევროპული სატრანზიტო პროექტის „ვიკინგის“ ფარგლებში პირველ სატვირთო მატარებელს მომავალი წლიდან გაატარებს. ეს არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქვეყნისთვის, ვინაიდან გაჩნდა შესაძლებლობა, რომ ჩრდილოეთ ევროპასა და შუა აზიას შორის არსებული ტვირთების 15 პროცენტი საქართველომ გაატაროს.

გუშინ თბილისში საერთაშორისო სატრანზიტო პროექტის კომბინირებული მატარებელი „ვიკინგის“ (**VIKING Train**) მონაწილე სარკინიგზო ადმინისტრაციებსა და ცნობილი ლოგისტიკური კომპანიების სამუშაო თათბირი გაიმართა. საქართველოს რკინიგზა „ვიკინგის“ სრულუფლებიანი წევრი 2015 წლის აპრილში, ქალაქ ვილნიუსში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე გახდა. კომბინირებული სატრანსპორტო მატარებელი „ვიკინგი“ წარმოადგენს ლიტვის, უკრაინის, ბელორუსის, რუმინეთის, ბულგარეთის, მოლდოვისა და თურქეთის ერთობლივ სარკინიგზო პროექტს. ის ბალტიისპირეთის რეგიონის საზღვაო საკონტეინერო ჯაჭვს შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის ანალოგიურ სისტემებთან აკავშირებს. კომბინირებული სატრანსპორტო მატარებლის, „ვიკინგის“ რეგულარული მოძრაობა 2003 წლის 6 თებერვალს დაიწყო.

პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა „ბალტიის ზღვა – შავი ზღვის“ მიმართულებით საქონლის მიწოდების სქემის ოპტიმიზაციაზე, რეკომენდაციების შემუშავებაზე, შერეული (მულტიმოდალური) და ინტერმოდალური გადაზიდვების სამართლებრივი და ორგანიზაციული სტრუქტურის, საკონტეინერო და საკონტრეილერო მატარებლების მარშუტებისა და ტექნოლოგიების გაუმჯობესებაზე.



პროექტში საქართველოს რკინიგზის მონაწილეობით შესაძლებელი ხდება საკონტეინერო სატრანზიტო გადაზიდვებში ამიერკავკასიის, შუა აზიის ქვეყნების, აღმოსავლეთ ევროპის რეგიონთან, ბალტიისპირეთისა და სკანდინავიურ ქვეყნებთან დაკავშირება, რაც მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია იმისთვის, რომ საქართველომ შეიძინოს ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო ხაზის ფუნქცია.

„საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის მამუკა ბახტაძის განცხადებით, მომავალ წელს პროექტს, სავარაუდოდ, აზერბაიჯანიც შეუერთდება და შეიკვრება ევროპისა და შუა აზიის დამაკავშირებელი ჯაჭვი.

„მოსალოდნელია, რომ მომავალ წელს აზერბაიჯანიც მიუერთდება აღნიშნულ პროექტს. ეს ნიშნავს, რომ გვექნება შესაძლებლობა, პროექტის ფარგლებში შუა აზიის ქვეყნები დავაკავშიროთ ჩრდილოეთ ევროპასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს. პროექტი თავისი შინაარსით მართლაც რომ სტრატეგიულია თითოეული მონაწილე ქვეყნისთვის. გადაზიდვის ბუნება გახლავთ მულტიმოდელური ხასიათის, რომელიც შედარებით ართულებს სატრანსპორტო ოპერაციების დაგეგმვას. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მანძილი კლასიკურ საზღვაო მარშრუტთან შედარებით ორჯერ მცირეა, კლიენტების მხრიდან არსებობს დიდი ინტერესი და ვფიქრობთ, რომ მომავალი წლების განმავლობაში აღნიშნული პროექტის ფარგლებში ტვირთბრუნვა გაორმაგდება“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მისი ინფორმაციით, შუა აზიასა და ჩრდილოეთ ევროპას შორის არსებული ტვირთების ნაწილი საქართველოზე გაივლის.

„ვიკინგის“ პროექტის ფარგლებში რკინიგზა პირველ მატარებელს მომავალი წლიდან მიიღებს.

ევროკავშირის ტრანსპორტის კომისიის მიერ კომბინირებული სატრანსპორტო მატარებელი „ვიკინგი“ დასახელებულია, როგორც საუკეთესო ევროპული პროექტი სატვირთო გადაზიდვების სექტორში.

„საქართველო ახლახან ჩაერთო ამ პროექტში, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ყველა ქვეყნისთვის, რომელიც აღნიშნულ პროექტში მონაწილეობს. ჩვენთვის, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ „ვიკინგს“ აზერბაიჯანის რკინიგზაც შეუერთდეს. ამით გაერთიანდება ჩრდილოეთ ევროპისა და შუა აზიის დამაკავშირებელი ჯაჭვი“, – განაცხადა ლიტვის ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ

შვედეთის წარმომადგენლის პიტერ ლენგერბეკმის განცხადებით, საქართველო არის მთავარი კვანძი შუა აზიასა და ჩრდილოეთ ევროპას შორის. აქედან გამომდინარე, საქართველო არის ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანა ტვირთების ტრანსპორტირებისთვის. ამასთანავე, საქართველოს სახელი მოხვდება მსოფლიოს ლოგისტიკურ ატლასზე.



ევროკავშირის სატრანსპორტო კომისიის მიერ კომბინირებული სატრანსპორტო მატარებელი „ვიკინგი“ დასახელებულია როგორც საუკეთესო ევროპული პროექტი სატვირთო გადაზიდვების სექტორში.

# ვინ და რამ დაადუმა დეპუტატი მეჭიაური?

## რატომ არ შეიქმნა ქადაგიძის საქმიანობის შესასწავლად საპარლამენტო კომისია?



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



ამ დღეებში „რუსთავი 2“-თან და პრეზიდენტ მარგველაშვილის გამოსახლებასთან დაკავშირებულმა „აჯაფსანდალმა“ ბიძინა ივანიშვილის ერთი ისეთი საყურადღებო განცხადება გადაფარა, რომელზეც ჩვენ კარგა ხანია ვწერთ. პრინციპში, მან ერთიერთზე გაიმეორა ის, რაც არაერთხელ აღვნიშნეთ:

**„გვარამია, მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე, დღეს მთავარ ჟურნალისტად წარმოგვიდგება. ისევეა ეჭვები ეროვნულ ბანკზე. საბჭოს წევრები არიან პროკურორები და არაფერი საქმე არ აქვთ ეკონომიკასთან. მე ეჭვების დონეზე ვსაუბრობ და ვსაუბრობდი, რომ დროული არ იყო ჩართულობა. კვლევა რომ ჩაატარო, უნდა გქონდეს მთლიანი სურათი, ჩვენ მთლიანი სურათი არ გვაქვს და ვერ ვხედავთ ამას, ამიტომ გვიჭირს კვლევების ჩატარება, მაგრამ ამის დროც იქნება, თუმცა არ მინდა ახალი აჟიოტაჟი გამოვიწვიო“.**

ამ კუთხით იმდენი კვლევა გვაქვს ჩატარებული, ბარე ცხრა გამოძიება უნდა დაწყებულიყო აქამდე, მაგრამ პარლამენტიც გაჩუმდა, სადაც საგამოძიებო კომისია უნდა შექმნილიყო თამაზ მეჭიაურის ინიციატივით, ასევე მეჭიაური მოითხოვდა ეროვნულ ბანკში აუდიტის სამსახური (იქაც „ნაციონალი“ ლაშა თორდია ზის უფროსად) და პროკურატურა უნდა შესულიყო, მაგრამ მეჭიაურიც აღარ იღებს ხმას და სხვებიც.

გამოდის, მარტო ჩვენ და ბიძინაღა ვლაპარაკობთ ამ თემაზე, მაგრამ ყოფილი პრემიერი კარგად დაიწყებს და ბოლოს მაინც (რატომღაც) მოითაფლება ხოლმე:

**„ჯობია დავენდოთ ეროვნულ ბანკს, ჯობია, რომ სტრუქტურებმა აგონ პასუხი, ვიდრე მე მათი კრიტიკა დავიწყო და, ვთქვათ, ისევ საქმე გავაფუჭო ამით, თუმცა არ გამიფუჭებია თავის დროზე, მე ასე არ ვთვლი, ისინი მიმანიშნებენ ამაზე. ის, რომ ასეთი დევალვაცია მოხდა და ბევრი კრედიტორი მძიმე დღეშია, ამაზე ფიქრობს ხელისუფლება და მეც. მე არ გამოვრიცხავ, პირადი დახმარება აღმოვუჩინო მათ, რომ არ მოხდეს ბიზნესში რამე მკვეთრი გადანაწილება და არ მოხდეს ბანკროტი“.**

როგორც იქნა, ველირსეთ!.. აქამდე ივანიშვილი სულ იმეორებდა, ლარს არაფერი სჭირს, ჯანმრთელი პროცესები მიდისო და როგორც იქნა, „დევალვაცია“ ახსენა. კი „ველირსეთ“, მაგრამ სინამდვილეში რამდენად აინტერესებს ივანიშვილს გაუფასურებული ლარის და ხალხის ბედი? დაველოდოთ მის შემდგომ განცხადებებს და გავიგებთ.

რატომ შეწყდა ეროვნული ბანკის და ლარის გაუფასურების მიმართ ხელისუფლების ინტერესი და რა ხდება საფინანსო სფეროში?

**„ალიას“ ფინანსური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე, სერგო ჯავახიძე ესაუბრა:**

**— სერგო, რატომ აღარ ახსენებს ხელისუფლება ქადაგიძეს და ლარის კურსის ვარდნას, ეროვნულ ბანკზე რამხელა აჟიოტაჟი იყო ატეხილი, ხომ კარგად გვახსოვს?**

— ამას ხომ პოლიტიკური ნება უნდა. რა ინფორმაციაც უნდა მიდიოდეს ეროვნული ბანკიდან მთავრობაში, არ მიდის, თუ მიდის, ისე გვიან, რომ აზრიც აღარ აქვს, მაგრამ ამაზე ვინმესგან საყვედური გსმენია? ქადაგიძე ვალდებულია, ლარის კურსის მოსალოდნელ ცვლილებასთან დაკავშირებით ეგრევე აცნობოს მთავრობას და თან მიაყოლოს ახსნა-განმარტება, რის გამო ხდება ცვლილება – ან მოხდა ბიუჯეტის არათანაბარი ხარჯვა, ან ვიღაცამ დაუკვეთა დიდი რაოდენობით დოლარის კონვერტაცია, ამ დროს მთავრობამ რაღაცა უნდა იღონოს. ეს ადამიანი მიშვებულია თავის ნებაზე, არ არის ამათი გუნდის წევრი და რა გინდა, რომ გააკეთო? როგორც არ არის ნიკა გვარამია ჟურნალისტი, ისე არ არის გიორგი ქადაგიძე დამოუკიდებელი ფინანსისტი. ეროვნული ბანკი საერთოდ აპოლიტიკური ორგანიზაციაა, მაგრამ საბჭოში ყოფილი პროკურორები რომ ჰყავთ შეყრილი, ეს ხომ დიდი პრობლემაა? ესენი ისე აფუჭებენ საქმეს, სისხლის სამართლის საქმესაც ვერ აღძრავ, მაგალითად, გამოდის ქადაგიძე და იძახის, მე ვარ პრეზიდენტი და მიმაჩნია, რომ სწორად ვიქცევიო. სხვა ამბავია, რა აპატია ბიძინა ივანიშვილმა და როგორ ჩაიფარცხა საქმე. ივანიშვილი იმასაც ლაპარაკობს, ლარის კურსის რყევა ყველაზე დაბალი ჩვენთან იყო რეგიონის მასშტაბითო, განსაკუთრებით თურქეთი ახსენა. კი, ბატონო, გაცვლითი კურსის პრობლემა არ იყო მხოლოდ ჩვენთან, მაგრამ აქ საქმე გვაქვს ირიბ დანაშაულთან. აგერ, უცებ შეუჩერეს უფლებამოსილება ახლად შექმნილ საფინანსო სააგენტოს, როგორც კი საქმე საქმეზე მივიდა, როგორც კი მთავრობას უნდა ჩაეხედა ეროვნული ბანკის საქმიანობაში, ეგრევე გამოხტა საკონსტიტუციო სასამართლო და ვეტო დაადო. ყველაფერი კონტროლზე უნდა იყოს აყვანილი,

**2-3 პუნქტით ლარის გაუფასურებას სჭირდება 5 წუთი, ხოლო ამდენივე პუნქტით გამყარებისთვის საჭიროა თვეები. ჩვენთან ეს ყველაფერი მიშვებულია, ყოველდღე იცვლება კურსი, ყოველდღე უფასურდება ლარი და ჩვენ ამ ყველაფერს უკვე მივეჩვიეთ, რეაქცია აღარ გვაქვს.**

პულსისთვის ხელი უნდა დაედო საბანკო ზედამხედველობის სამსახურს, რომელიც, ფაქტობრივად, აღარ არსებობს.

**— ქადაგიძე თებერვალში კი მიდის, მაგრამ ეროვნულ ბანკში ისევ რჩება მისი გავლენა, თუნდაც საბჭოს სახით და მისი პირველი მოადგილის სახით. საკონსტიტუციო სასამართლო 9 თვე ხმას არ ამოიღებს და მერე უნდა დაიწყოს კიდევ ერთი ამბავი.**

– პრაქტიკულად ქადაგიძე უფრო ადრე მიდის, ვიდრე სააგენტოს უფლებამოსილება აღდგება. როდესაც ესენი მობრუნდებიან, ფუნქციაც აღარ ექნებათ, ქადაგიძე სამშვიდობოს იქნება. თუმცა, თუ ეროვნულ ბანკში ისევ ქადაგიძის კაცს აირჩევენ, შეიძლება საქმე ჰქონდეთ. შეიძლება მარგველაშვილმა პროცესი არ გაწელოს, მაგრამ კანდიდატურებთან დაკავშირებით რომ იქნება შეხლა-შემოხლა, ეს ცხადია. „ოცნებას“ მავანი არ მოეწონება, მარგველაშვილს – მავანი და ასე შემდეგ. თუ პარლამენტმა არ დაამტკიცა, მერე ისევ წავალთ იგივე წრეზე. ამ პერიოდში ისევ „ნაციონალებს“ ექნებათ გავლენა და მოვა კიდეც არჩევნები.

**მთავრობა რომ ამ საკითხში უძლურია, ერთ მაგალითს გეტყვი: ამ ზაფხულს ქვეყანაში ტარდებოდა ახალგაზრდული ოლიმპიადა, იყო გაგანია ტურისტული სეზონი და უცებ ლარმა დაიწყო გაუფასურება, რატომ? ვინმემ ეს საკითხი გამოიძია?**

**— არა, პირიქით, ერთი-ორმა მოხელემ თქვა, წესით, ლარი არ უნდა გაუფასურებულიყოო და მორჩა, ამით დამთავრდა ყველაფერი.**

– ეს მოხდა აგვისტოში და ეგრევე უნდა დაწყებულიყო გამოძიება, გასარკვევი იყო, ამაში კომერციული ბანკების ხელი ერია თუ სხვა რაიმე თაღლითობას ჰქონდა ადგილი.

**— შენი აზრით, რა მოხდა?**

– მაგ პერიოდში საქართველოში ხდებოდა დოლარის შემოდინება. ახლა არავინ არ დაიწყოს, რომ ეს იყო ბუნებრივი, ყველაფერი ხდებოდა ხელოვნურად. თუ ცოტა მკაცრად არ მიუდგნენ საქმეს, ძალიან რთული იქნება. ამაში აუცილებლად უნდა ჩარეულიყო პარლამენტიც, მაგრამ ხმა არავის არ ამოუღია. ფაქტობრივად, მოხდა რა? ქვეყანაში შემოდიოდა დოლარი და უცებ შეიქმნა დეფიციტი, ანუ ვიღაცამ იმდენი გაიტანა, შემოსული თანხები გადაფარა და თანაც ისე, რომ ლარის კურსი გაიქცა.

**— მე ვხედავ, ყველა შეეგუა იმ აზრს, რომ ასე უნდა მივიდეთ თებერვლამდე.**

– მარტო ამ საკითხში? ყველა საკითხში შეგუებულები არიან, რომ ყველა „ნაციონალმა“ უნდა ჩაამთავროს თავისი ვადა – საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, რომელიც ყოველდღე საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს იღებს და კანონებს აუქმებს, აუდიტის სამსახურის უფროსმა, რომელიც საერთოდ გაუჩინარებულია, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა და ასე შემდეგ. შემდეგ ყველგან იქნება იგივე სიტუაცია, რაც დღეს არის სასამართლოში, კი გაუშვეს, როგორც იქნა, კოტე კუბლაშვილი, მაგრამ ძირეულად რა შეიცვალა, ისევ მისი ყოფილი ხელქვეითები არ დარჩნენ?

**გავიდა ამასობაში კიდეც „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდი, თუ ხელახლა მოვლენ, მომდევნო 4 წლის განმავლობაში ისევ „ნაციონალებს“ უნდა აბრალონ ყველაფერი?**

ამ ლოგიკით სხვანაირად არ გამოდის. მესმის, არ იყენებენ იმ მეთოდებს, რასაც „ნაციონალები“ იყენებდნენ, მაგრამ, როცა ხალხი ზარალდება და სახელმწიფო წინ ვერ მიდის, ხომ უნდა იმოქმედო? არსებობს კონსტიტუცია და კანონი, მაგრამ არის კიდევ რაღაც, რაც უფრო მაღლა დგას, ამას ჰქვია სახელმწიფოებრივი მორალი. უკვე სამი წელია, ვუყურებთ, როგორი საფრთხე ექმნება ხალხს და სახელმწიფოს ორი-სამი კინკილა ადამიანის გამო და ესენი მაინც კონსტიტუციას აწვებიან. ესენი ქვეყანას ღუპავენ და გამოდის, ბოლოს ტაშით უნდა გავაცილოთ. დაუკვირდი, მეოთხე წელი დაიწყო და ერთადერთი, ვინც მოვიშორეთ, ეს კოტე კუბლაშვილია, სხვა ვინ წავიდა, ყველა ისევ თავის ადგილზე არ ზის? მე მგონი, ცესკოს თავმჯდომარე ხარატიშვილი თავისით რომ არ გადამდგარიყო, დღეს ისიც თანამდებობაზე იქნებოდა.

**— ბიძინა ივანიშვილი იმასაც ამბობს, დაზარალებულ კრედიტორებს შეიძლება დავეხმაროო, როგორ ფიქრობ, ეს როგორ უნდა გააკეთოს?**

**— აქ იგულისხმება მსხვილი ბიზნესები, ვისაც დიდი კრედიტები აქვს აღებული, მოსახლეობასა და იპოთეკურ სესხებზე არ არის ლაპარაკი. მოხდება ვალების რესტრუქტურიზაცია, დაწესდება საგადასახადო შეღავათები და ასე შემდეგ. ივანიშვილი ჯიბიდან ფულს ვერ ამოიღებს და ვერ მისცემს. ხალხის დახმარებისთვის არსებობს ერთადერთი გზა, უნდა დაჯდეს მთავრობა კომერციული ბანკების მესვეურებთან და მოიფიქრონ სქემები, რის გაკეთება შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, 18-24 პროცენტი სესხებზე უკვე ანაქრონიზმია, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში მსგავსი არაფერი ხდება.**

როდესაც ლარმა უცებ დაიწყო გაუფასურება, მაშინ დაიწყეს ცოტაოდენი ფიქრი, მაგრამ დღეს ეს საკითხი აღარავის ახსოვს, ხალხიც შეეგუა და ბანკებიც ხეირში არიან.

**ბოლოს და ბოლოს, შეიქმნება თუ არა პარლამენტში საგამოძიებო კომისია და დაინტერესდებიან თუ არა სამართალდამცავი უწყებები ეროვნული ბანკის საქმიანობით? ამაზე პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს, თამაზ მეჭიაურს ერთმნიშვნელოვანი პასუხი აქვს: „ვფიქრობთ, ჯერ არ ვიცი“. იფიქრეთ, ბატონებო, იფიქრეთ, მაგრამ აზრი აღარ აქვს, მოგვადგა არჩევნები კარს. ჰოდა, რასაც მიიღებთ, არავის არ გაუყოთ!**



**გამოდის, მარტო ჩვენ და ბიძინაღა ვლაპარაკობთ ამ თემაზე, მაგრამ ყოფილი პრემიერი კარგად დაიწყებს და ბოლოს მაინც (რატომღაც) მოითაფლება ხოლმე**

**როგორც იქნა, ველირსეთ!.. აქამდე ივანიშვილი სულ იმეორებდა, ლარს არაფერი სჭირს, ჯანმრთელი პროცესები მიდისო და როგორც იქნა, „დევალვაცია“ ახსენა. კი „ველირსეთ“, მაგრამ სინამდვილეში რამდენად აინტერესებს ივანიშვილს გაუფასურებული ლარის და ხალხის ბედი? დაველოდოთ მის შემდგომ განცხადებებს და გავიგებთ.**

## „ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ადამიანი აღარ ვარ“

„ჩემს გაუსაძლის მდგომარეობაზე გიამბობთ, რაშიც მიწევს ცხოვრება. ძნელია, ყველაფერი მოგიყვეთ, მაგრამ მოთმინებასა და გაურკვევლობასაც თავისი ზღვარი აქვს. სამართალი აღარ არსებობს?! 21-ე საუკუნეში არაადამიანურ მდგომარეობაში მიწევს ცხოვრება. ადგილი, სადაც ვცხოვრობ, ძროხის სადგომს ჰგავს. ორივე მუხლზე ოპერაცია მაქვს გაკეთებული. ამის გამო სოფლის საპირფარეშოს მსგავს შენობაში ვერ დავდივარ და ბუნებრივ მოთხოვნილებას ბოთლში ან ცელოფნის პარკში ვიკმაყოფილებ. ვიცი, მძიმე წასაკითხია, მაგრამ ჩემი რეალობა ასეთია, წლებია, ასე მიწევს ცხოვრება.



ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ადამიანი აღარ ვარ, ფაქტობრივად, გავნადგურდი ადამიანი. დევნილი ვარ, ყოველდღე მესმის რადიოთი, რამდენი ბინა გაიცა. ხომ შეიძლებოდა, ერთი მცირე ზომის ბინა ჩემთვისაც მოეცათ. ყოველ ღამე ვზივარ და ვტირი. ალბათ, კიდევ არსებობენ გულისხმიერი ადამიანები, წაიკითხავენ ამ წერილს და დამიკავშირდებიან. იქნებ წლის ბოლომდე მეც მეშველოს და ახალ წელს ახალ სახლში შევხვდე. სიტყვები არ მყოფნის ჩემი მდგომარეობის აღსაწერად, მრცხვენია, ასე რომ ვარ, გაითვალისწინეთ ჩემი საცოდავი მდგომარეობა“, – ეს წერილი გაზეთ „ბათუმელების“ რედაქციაში ომარ როდონაიამ მოიტანა.

ომარ როდონაია მიწური სახლის, ე.წ. „ბარაკის“ ერთ ოთახში ცხოვრობს. კედელზე შპალერი ჩამოხეულია, ფანჯარაზე ძველი ქსოვილი ფარდის მაგივრობას სწევს, დაბალ მაგიდაზე წიგნი, ჟურნალ-გაზეთები და რადიო ალაგია, ოთახის კუთხეში ელექტროქურაზე ჩაიდანი და ქვაბია. ამ ნესტიან ოთახში ომარი უკვე ექვსი წელია ცხოვრობს, იმ იმედით, რომ ერთხელაც მის თხოვნას ვინმე გაითვალისწინებს და მცირე საცხოვრებელ ფართობს გამოუყოფენ.

– გულგრილობა, – ამას დავარქმევდი იმ დამოკიდებულებას, რაც ჩემი მდგომარეობის მიმართ არის. არაერთი განცხადება, თხოვნა მაქვს დაწერილი. სახალხო დამცველი, უჩა ნანუაშვილიც იყო ჩემთან, მაგრამ წლები გადის და არაფერი. ელემენტარულ საცხოვრებელ პირობებს ვითხოვ, არაფერს განსაკუთრებულს, ერთი პატარა ოთახი მინდა, რომ ისე ვიცხოვრო, როგორც ადამიანის ღირსებას შეეფერება. ჩემთვის ყოველი დღე არის წამება, არ უყვართ აქ შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანები, თორემ, არ მჯერა, რომ შეუძლებელია ჩემი პრობლემის მოგვარება, – ამბობს ომარი.

ოთახი, სადაც ომარი ცხოვრობს, მას არ ეკუთვნის. ამბობს, რომ ექვსი წლის წინათ აქ ნაცნობმეგობრების ხელშეწყობით დასახლდა. ბინის ქირას არ იხდის. ომარი სოციალურად დაუცველია, ყოველთვე სახელმწიფოსგან 50-ლარიან დახმარებასა და პენსიას იღებს.

– მე მყოფნის ეს ფული გამოსაკვებად, ბევრი არც მჭირდება. ჩემი ერთადერთი საზრუნავი არის პატარა ოთახი, სადაც ადამიანურად ვიცხოვრებ, – ამბობს ომარი.

ომარი გალში დაიბადა, დედმამა ბავშვობაში გარდაეცვალა და ბავშვთა სახლში ცხოვრობდა. მერე პროფესიულ სასწავლებელში ჩააბარა, უმაღლესი განათლების მიღებაც უნდოდა, თუმცა ვერ შეძლო:

– ახალგაზრდა ვიყავი, მისწრაფებები მქონდა, მაგრამ ვერ მოვახერხე, არ წავიდა ცხოვრება ისე, როგორც საჭირო იყო. მერე ბათუმში ჩამოვედი, ჩემი ჯანმრთელობისთვის ზღვასთან ყოფნა იყო მნიშვნელოვანი. ჯერ მეგობრებთან ვცხოვრობდი რუსთაველზე, ბარაკებში, მერე ბარაკები რომ აიღეს, აქ გადმოვედი, – ამბობს ომარი.

საუბრის დასასრულს ომარი მაცილებს და მეკითხება, რა შეიძლება მოჰყვეს ამ სტატიის დაბეჭდვას, წაიკითხავენ თუ არა ის ადამიანები, ვისაც გადაწყვეტილების მიღება და მისი ცხოვრების შეცვლა შეუძლიათ?

– დეკემბერში 50 წლის ვხვდები, რა იქნება, რომ ვინმემ შეცვალოს ის, რის შეცვლაც მე არ შემიძლია. მე კიდევ ვეცდები, იქნებ ვინმემ, ხელისუფლებამ, ბიზნესმენებმა, გაითვალისწინონ ჩემი გაუსაძლისი მდგომარეობა, მადლია, მადლი, – ამბობს ომარი.

(mpress.ge)



## ვინ რა მოატყუა საზოგადოებას „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით: საჯარო რეესტრი განცხადებას ავრცელებს



საჯარო რეესტრის ინფორმაციით, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის, ზაალ უდუმაშვილისთვის მმართველის უფლების მინიჭების თაობაზე მათთან განცხადება საერთოდ არ შესულა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უწყება განცხადებას ავრცელებს, რომელშიც „მტკნარ სიცრუეს“ უწოდებს ინფორმაციას იმის თაობაზე, თითქოს საჯარო რეესტრმა დაარეგისტრირა რაიმე ტიპის დოკუმენტი, რომელიც ზაალ უდუმაშვილს კომპანიის მართვის უფლებას ანიჭებდა.

– კერძოდ, შპს „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის დროებითი მმართველების – დავით დვალისა და რევაზ საყევარიშვილის მიერ ზაალ უდუმაშვილზე გაცემული მინდობილობა საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა. აღნიშნულის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომრით: 211352016. ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე, შესაძლებელია იმის ნახვაც, რომ ამ საკითხზე საჯარო რეესტრში განცხადებაც კი არ შემოსულა. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება საწარმოს დირექტორი და არა მისი მინდობილი პირები.

ზაალ უდუმაშვილს, დავით დვალსა და რევაზ საყევარიშვილს ერთობლივი განცხადებითაც რომ მოემართათ საჯარო რეესტრისთვის, ეს მინდობილობა მაინც ვერ და არ დარეგისტრირდებოდა. ვინაიდან დირექტორის (მოცემულ შემთხვევაში დროებითი მმართველის) მინდობილი პირის/წარმომადგენლის რეგისტრაციის შესაძლებლობას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (შპს-ს შემთხვევაში დირექტორი) საჯარო რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება მხოლოდ კომპანიის პარტნიორთა (წილის მესაკუთრეთა) გადაწყვეტილების საფუძველზე. ხოლო უშუალოდ დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობა წარმოადგენს კერძო სამართლებრივ ურთიერთობას უშუალოდ მასა და სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს შორის და მას კომპანიის რეგისტრირებულ მონაცემებთან არანაირი შეხება არ აქვს.

შესაბამისად, საჯარო რეესტრი თვლის, რომ ნიკა გვარამიასა და ასევე, დროებითი მმართველების მიერ გაკეთებული განცხადებები საჯარო რეესტრთან მიმართებაში უპასუხისმგებლოა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო კიდევ ერთხელ მოუწოდებს ყველას, პატივი სცენ მისი, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტის საქმიანობას და თავი შეიკავონ უსაფუძვლო განცხადებების ანდა, ფაქტობრივად, არასწორი ინფორმაციის გავრცელებისგან, – ნათქვამია საჯარო რეესტრის განცხადებაში.

მოგვიანებით ნიკა გვარამიამ საჯარო რეესტრს ბოდიში მოუხადა:

– მინდა, განვმარტო ჩემი პოზიცია რეესტრთან დაკავშირებით, ბოდიში მოვიხადო და უკან წავიღო ჩემი სიტყვები. დროის სიმცირის გამო ვერ მოვახერხეთ გადამოწმება, რეგისტრირებული იყო ეს ყველაფერი თუ არა. ყოველ შემთხვევაში, საიტზე არ ჩანს. იმედს ვიტოვებ, რომ არ ჩანს იმიტომ, რომ ის არ არის რეგისტრირებული.

(ambebi.ge)

**აგე, ხომ გეუბნებით, უაზროდ თამაშობს ყველა და ამოუვიდა ხალხს ეს ყველაფერი ყელში-თქო, მაგრამ რა გინდა, რომ გააკეთო, ყურები ამოვიქოლოთ თუ თვალები დავიფსოთ?**

## მედიაფორუმი თემაზე „მსოფლიო რყევების ეპოქაში: ვინ გაუძლებს?“

13-14 ნოემბერს თბილისში გაიმართება საერთაშორისო კავკასიური მედიაფორუმი თემაზე „მსოფლიო რყევების ეპოქაში: ვინ გაუძლებს?“

რყევების ეპოქა გაზვიადება არაა. მსოფლიო აღარ არის ისეთი, როგორსაც ჩვენ მივეჩვიეთ ბოლო ორი პოსტსაბჭოთა ათეული წლის განმავლობაში. მასში ჩნდებიან ახალი ლიდერები, ახალი ძალები და ახალი მოულოდნელი ალიანსები, იშლება სახელმწიფოები, იწყება ომები – და ეს ყველაფერი დღემდე არნახული ინტენსიურობით ხდება. ეჭვქვეშ დადგა თავად თანამედროვე კაპიტალიზმის მომავალი, რომელიც მეტისმეტად ბევრ უთანასწორობასა და დაუკმაყოფილებლობას ბადებს.

რაღაც დაემართა მედიასაც. ინგრევა დღემდე ურყევი ავტორიტეტები, კაცობრიობას აღარ აქვს საერთო დღის წესრიგი, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ იქმნებოდა რამდენიმე მსხვილი ტელეკომპანიის, საინფორმაციო სააგენტოს, გაზეთების მიერ. გრანდები აუდიტორიას კარგავენ, მკითხველი და მაყურებელი სოციალურ ქსელებში მიდის ან ნიშურ მედიაპროდუქტებს მიმართავს.

ჟურნალისტები დიდი ხანია არ დამდგარან ასეთი სიმწვავის მორალური გამოწვევის პირისპირ. როგორ შევინარჩუნოთ ნათელი გონება და შეფასების სამართლიანობა პოლიტიკური წნეხის ზრდისა და მუდმივად დაქსაქსული, სხვადასხვა რესურსებს შორის მოხეტიალე აუდიტორიას შორის? გადარჩება თუ არა ახალი ამბებისა და ანალიტიკური ჟურნალისტიკა, როგორც ჟანრები? თუ მკითხველმა და მაყურებელმა უკვე გააკეთა საბოლოო არჩევანი სოციალური ქსელების ვირუსული მასალების სასარგებლოდ და აღარ სჭირდება ზრდასრულთა საკვები? როგორია ბოლოს და ბოლოს, თანამედროვე მედიის ეკონომიკა და შეუძლია თუ არა ფაქტებთან გულდასმით მუშაობით საკუთარი თავის უზრუნველყოფა?

საერთაშორისო კავკასიური მედიაფორუმი თბილისში გახდება ამ და სხვა თემებზე სასაუბრო მოედანი. ჟურნალისტიკის მომავლის განსჯა მომავალი მსოფლიოს განსჯის შემადგენელი ნაწილია. დისკუსიის ცენტრში იქნება ბოლო წლების გლობალური კრიზისებიც და ჟურნალისტების ადგილი ამ კრიზისებში. სად გაივლის ახალი საზღვარი პროფესიონალურ ჟურნალისტიკასა და ბლოგებს შორის? რაში მდგომარეობს ჟურნალისტის პასუხისმგებლობა ომებისა და კონფლიქტების გაშუქებისას და ისტორიული წარსულის ირგვლივ პოლემიკაში?

კავკასიის სახელმწიფოთა – აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოსა და რუსეთის წამყვანი მედიის ხელმძღვანელების სადისკუსიო სესიებთან ერთად გაიმართება მასტერკლასები და ტრენინგები ახალგაზრდა ჟურნალისტებისთვის. ფორუმის სასწავლო ბლოკი დაახლოებული იქნება პრაქტიკულ ამოცანებთან: როგორ კეთდება საუკეთესო რეპორტაჟები და ინტერვიუები, როგორ ჩავაყენოთ სოციალური ქსელები ჩვენი პროფესიული ჟურნალისტური წარმატების სამსახურში და ვისწავლოთ ორიენტირება მის ზოგჯერ მღვრიე საინფორმაციო ნაკადში.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები არ უნდა იყვნენ პერიფერია არც თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში, არც მედიურ დღის წესრიგში. ფორუმის ორგანიზატორები დარწმუნებულებია არიან, რომ კავკასიელმა ჟურნალისტებმა უნდა ეძებონ საკუთარი ზრდისა და განვითარების გზები. ფორუმზე განიხილება სამხრეთ კავკასიის მედიასახე და ჟურნალისტების შესაძლო წვლილი ჩვენი რეგიონის მომავალში.

მედიაფორუმის სპეციალური სტუმრები:

ვლადიმირ სუნგორკინი – გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ მთავარი რედაქტორი;

ევგენი სატანოვსკი – დამოუკიდებელი სამეცნიერო ცენტრის „ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის“ პრეზიდენტი, აღმოსავლეთმცოდნე, ეკონომისტი;

კირილ პრივალოვი – რუსეთის სახელმწიფო ტელერადიოსამაუწყებლო კომპანიის მიმომხილველი, საერთაშორისო პენ-კლუბის წევრი;

ვიტალი ლეიბინი – ჟურნალ „რუსკი რეპორტიორის“ მთავარი რედაქტორი.

**ჩატარების ადგილი:** თბილისი, შავთელის ქუჩა №13, სასტუმრო „ამბასადორი“.

**სამუშაო ენები:** ქართული, რუსული.

**საკონტაქტო პირი:** მაია ჩუბინიშვილი, 995 599 93 22 30.



## „ამერიკის კონგრესმა უკრაინისთვის ლეტალური შეიარაღების გადაცემას მხარი დაუჭირა“




ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა უკრაინისთვის ლეტალური შეიარაღების გადაცემას მხარი დაუჭირა. თავდაცვის პოლიტიკის შესახებ კონგრესის მიერ დამტკიცებული კანონპროექტი, უკრაინისთვის 55 მილიონი დოლარის ლეტალური იარაღის გადაცემას ითვალისწინებს და უფლებას აძლევს თეთრ სახლს, გადადგას საპასუხო ნაბიჯი, თუ რუსეთი შეიარაღებული ძალების შესახებ არსებული ძირითადი შეთანხმებების დარღვევას განიზრახავს.

სენატის მიერ კანონპროექტის მიღებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, თეთრმა სახლმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი ობამა კანონს მაღალი ალბათობით ხელს მოაწერს. აღნიშნულ კანონპროექტს გასულ კვირაში კონგრესის ქვედა პალატამაც დაუჭირა მხარი.

როგორც „რადიო თავისუფლება“ იუწყება, მთლიანობაში, კანონპროექტი პრორუსულად განწყობილი სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლაში მყოფი უკრაინისთვის 300 მილიონი დოლარის სამხედრო დახმარებას ითვალისწინებს. დახმარების პაკეტში ცალკე შედის ლეტალური შეიარაღება – ტანკსაწინააღმდეგო სისტემები, ნაღმსატყორცნები, ყუმბარსატყორცნები, მცირე კალიბრის შეიარაღება და აღჭურვილობა. (პირველი რადიო)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# მერიამ გამაგრებითი სამუშაოების ტენდერი არარსებულ კორპუსებზე გამოაცხადა!

**რა საქმიანობითაა დაკავებული ხელმძღვანელის გარეშე დარჩენილი ქალაქის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური? რატომ გამოიყო დედაქალაქის ბიუჯეტიდან არარსებული კორპუსების გასამაგრებლად ათასობით ლარი?**

**„ალიას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წევრი, გივი კუბლაშვილი ესაუბრა:**

– მერიაში, რა დონის არაკომპეტენტური და უნიათო ხალხი ისხდნენ, მათი ქალაქის მთავრობაში მოსვლის დღიდან ვიცოდით, მაგრამ იმას, რაც ახლა აღმოვაჩინეთ, საოცრებაც კი აღარ ჰქვია. მერიის მიერ გამოცხადებული, მიმდინარე ტენდერის თანახმად, „ვარკეთილი 3“-ის მე-3 მიკროს სამ კორპუსს უტარებენ გამაგრებით სამუშაოებს. როგორც აღმოჩნდა, სატენდერო მონაცემებში მითითებული სამი კორპუსიდან ორი ბუნებაში არ არსებობს. მთელ ვარკეთილს რომ გადახედოთ, ამ 34-35-ე კორპუსებს, მთელი მესამე მიკროს ტერიტორიაზე ვერ აღმოაჩენთ.

**— რა თანხაა სატენდეროდ გამოყოფილი და რისთვის?**

– საუბარია დაახლოებით 40 ათას ლარზე. სხვათა შორის, ანალოგიური რამ, დიდუბის რაიონის მაგალითზეც გვქონდა გასულ წელს, როცა არარსებულ მისამართებზე ითხოვდნენ ბიუჯეტის პროექტით გზის საფარის დაგებას. ამ საკითხზე მაშინ ვრცლად გესაუბრეთ.

მერიამ 6 ნოემბერს, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით დადო ორი ხელშეკრულება ერთსა და იმავე კომპანიასთან. ეს კომპანია არის „სპეცმონოლითი“. ერთი ხელშეკრულება გახლავთ დაახლოებით 21-ათასლარიანი, ხოლო მეორე – დაახლოებით 22-ათასლარიანი. საერთო ჯამში, 40 ათასი ლარზე მეტი ღირებულების ხელშეკრულება დადო მერიამ ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე. ამავდროულად, აბსოლუტურად გაუგებარია, რაში დასჭირდა მერიას, საპროექტო სამსახურს ავანსის პირობის ჩადება.

**— რას გულისხმობთ?**

– ამ ხელშეკრულების საფუძველზე, მერია კომპანიას აძლევს საშუალებას, თანხის 50% მიიღოს ავანსის სახით. როცა კორპუსი ავარიულია, კი ბატონო, შესაძლოა, არ ჩაატარო ტენდერი, რადგან ფორსმაჟორში ხარ და ხელშეკრულება გააფორმო ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, დაჩქარებული წესით, მაგრამ, როცა ამის პარალელურად, ვხედავთ ვარკეთილი 3-ის მე-3 მიკროს 341-ე კორპუსი იგივენაირად ავარიულია და ამისთვის მერია, ჩვეულებრივად, აცხადებს ტენდერს, აქ ჩნდება კითხვის ნიშნები. თუ ერთი და იგივე ვითარებაა ამ კორპუსებში, მაშინ ერთი და იგივენაირად რატომ არ გამოცხადდა ყველგან და თუ ტენდერი იყო შესაძლებელი, მაშინ რატომ გაფორმდა ერთ შემთხვევაში ხელშეკრულება პირდაპირი მოლაპარაკების გზით?

ასევე, კითხვის ნიშნის ქვეშაა შემდეგი რამ? – რა პრინციპით არჩევენ ამ კორპუსებს, როცა გამაგრებითი სამუშაოები ძალიან ბევრია? ან რატომ აფორმებ ერთსა და იმავე კომპანიასთან ორ ხელშეკრულებას და მით უმეტეს, რატომ აძლევ ამ კომპანიას ავანსის საშუალებას? რა გამოდის, კომპანიას ფანქრისა და ფურცლის ყიდვის საშუალება არ აქვს, რომ ეს პროექტი დახაზოს? მით უმეტეს, როცა 21-ე საუკუნეში ფანქარს, სახაზავსა და ფურცელსაც არავინ იყენებს. გაუგონარი ქმედებაა. ამას უმატებენ იმას, რომ არარსებულ მისამართზე ითხოვენ თანხას საპროექტო-გამაგრებითი სამუშაოების შესასრულებლად.

**— კორპუსების გამაგრებაზე რომ ამ გვიან შემოდგომით აცხადებენ ტენდერს და ხელშეკრულებებს აფორმებენ, როდისღა უნდა ჩაატარონ სამუშაოები — ზამთარსა და ყინვაში შესრულებული სამუშაოები უხარისხო გამოდისო, მშენებლებისგან მომისმენია.**

– 30 დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს კომპანიამ მზა პროექტი. როგორც ჩანს, ამის მერე დაიწყებენ გამაგრებით სამუშაოებს და მართლაც, რამდენად უსაფრთხო იქნება, ესეც გასარკვევია.

**— რასთან გვაქვს საქმე?**

– ეს უნდა იყოს ჩვეულებრივი ე.წ. „ატკატი“, რასაც დადასტურებულად ვერ ვიტყვი. ამიტომ ვითხოვთ, დაინტერესდნენ ამ საკითხებით შესაბამისი სამსახურები. რით არიან დაკავებულები? რამდენ მსგავს ფაქტზე ვისაუბრეთ, რატომ არ ინტერესდებიან?!

**— საქალაქო სამსახურებს რომ ხელმძღვანელები არ ჰყავს ამ დრომდე, ვიღაცამ დრო იხელთა და ტენდერი თვითნებურად გამოაცხადა?**

– გამორიცხული, საერთოდ არაფერი არაა, ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ დამიჯერეთ, მერია კი არა, სადაც ფული მოძრაობს, ყველა კუთხე-კუნჭული კონტროლდება. მერიაში წამყვან სპეციალისტს ვერ დანიშნავენ ისე, მთელი პარტიულ ვერტიკალი რომ საქმის კურსში არ ჩააყენონ და რომელ უკონტროლობაზეა საუბარი, როცა საქმე ფულს შეეხება?! – გამორიცხულია! შევარდნაძის დროს რომ იყო – ვინემ რომ რამე „საქმეს“ გაჭრიდა, თანხის რაღაც ნაწილი რომ აუცილებლად ხელმძღვანელისთვის უნდა მიეტანა, აი, ეგ ხდება ახლაც. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ასეა. ამ პრინციპით მუშაობს მთელი თვითმმართველობები.

თბილისის ბედი მიბარებული აქვთ ისეთ ადამიანებს, რომლებმაც, ელემენტარულად, ისიც კი არ იციან, როგორ იმუშაონ. ამას მოწმობს საახალწლოდ მათ მიერ გამოცხადებული 95 ათასი ლარის ტენდერი საახალწლო განათებებზე. როცა ამ ტენდერის კვლევას ვაწარმოებდით, ძალიან საინტერესო ფაქტებს წავაწყდით – იმ სატენდერო მონაცემებში, რომელიც მერიამ გამოაქვეყნა პირველ ჯერზე, ოდნავ მოგვიანებით შევიდა ცვლილება. როცა ტენდერში ერთი კომპანია დისკვალიფიცირდა, დავინტერესდით მიზეზით. მიზეზს მერია ასე განუმარტავდა: წარმოდგენილ სტრინგს ორმხრივი შეერთება არ გააჩნიაო. მის მერე გადავხედეთ იმ ცვლილებებს, რაც მერიამ სატენდერო მონაცემებში გამოქვეყნების მერე შეიტანა და აღმოჩნდა, რომ სწორედ ამ ორმხრივ შეერთებაზე იყო ცვლილება შეტანილი. დაბალი ფასებით ბოლო ორ ადგილზე გასული ორი კომპანია მოხსნეს ზუსტად ამ მიზეზებით. ბოლოს მოიყვანეს კომპანია „იუკო პლუსი“ და ის ახორციელებს ამ საქმიანობას. ჩვენი მოსაზრებით, ამ ტენდერში მოყვანილი ტექნიკური მახასიათებლები მორგებული არის სწორედ ამ კონკრეტულ კომპანიაზე.

**— კომპანიის წარმომავლობით თუ დაინტერესდით?**

– ამ კომპანიის მფლობელის შესახებაც მოვიპოვეთ ინფორმაცია, თუმცა მისი მერიის რომელიმე მაღალჩინოსანთან კავშირი, ამ დროისთვის არ დასტურდება.

**— საახალწლო მოსართავები ხომ შეიძინა წინა მთავრობამ, არცთუ ისე ცოტა თანხა დაჯდა ეს ყველაფერი. თავსაც იწონებდა ამით მთავრობა — იმდენად ხარისხიანია, წლებს გაუძლებსო. ახლა რა მოხდა, უხარისხო იყო?**

– მეც სწორედ ეს მაინტერესებს მერიისგან? ჩვენ გვახსოვს ქალაქის მერი, რომელიც თავისი თავის პიარისთვის ხშირად ახსენებდა ამ საახალწლო ილუმინაციებს. სოციალურ მიმართულებებს გადავყვებით და ამ მოსართავებში ამდენ თანხას აღარ დავხარჯავთო. ახლა რა ხდება, ნახეთ – 740 000-ლარიან ხელშეკრულებას აფორმებს თბილისის მერია განათებებზე. ცუდი კი არაა, კარგია, მაგრამ, როცა გაქვს უკვე ეს ილუმინაციები და მას რამე ხარვეზები ჰქონდა, ეს ხომ ბევრად უფრო ადვილი გამოსასწორებელი იქნებოდა და ნაკლებიც დაგვიჯდებოდა, ვიდრე ის, რასაც ახლა აპირებენ?! ეს 740 ათასი ლარი სოციალურად გაჭირვებულებისთვის დაეხარჯათ, რომლებიც ახალ წელს ნახევრად მშივრები და მშივრები ხვდებიან. მაგრამ ავთანდილ ბერიძისგან ასე მოსდგამთ – ქოლგა იმდენად მძლავრადაა „ქართული ოცნების“ აქსესუარად ქცეული, რომ საახალწლოდ ქოლგის ფორმის ილუმინაცია შეიძინეს, რომ მთელმა „ქართულმა ოცნებამ“ სიამოვნებით იარონ განათებული თბილისის ცენტრალურ გამზირზე ქოლგის ქვეშ ისე, რომ ქოლგის დამჭერიც კი არ დასჭირდებათ.






„მერია კი არა, სადაც ფული მოძრაობს, ყველა კუთხე-კუნჭული კონტროლდება. მერიაში წამყვან სპეციალისტს ვერ დანიშნავენ ისე, მთელი პარტიულ ვერტიკალი რომ საქმის კურსში არ ჩააყენონ და რომელ უკონტროლობაზეა საუბარი, როცა საქმე ფულს შეეხება?! – გამორიცხულია! შევარდნაძის დროს რომ იყო – ვინემ რომ რამე „საქმეს“ გაჭრიდა, თანხის რაღაც ნაწილი რომ აუცილებლად ხელმძღვანელისთვის უნდა მიეტანა, აი, ეგ ხდება ახლაც. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ასეა. ამ პრინციპით მუშაობს მთელი თვითმმართველობები“




**რატომ გახდა საჭირო 740 ათასი ლარის ღირებულების საახალწლო ილუმინაციების შეძენა ამ ეტაპზე? ამ კითხვით ქალაქის მერიის პრესსამსახურის ხელმძღვანელს, ნონა ყანდიაშვილს მივმართეთ:**

„ზოგი დაძველდა, ბევრი რამ უნდა შეიცვალოს, ბევრი იყო უხარისხო. ხვალ შემიძლია ისიც გითხრათ, რა დაჯდა ის განათება, რაც წინა ხელისუფლებამ შეიძინა, ფასთან აბსოლუტურად შეუსაბამო იყო და თან მარტო რუსთაველი იყო განათებული. წელს ბევრად ლამაზი განათება გვექნება და ბევრად უფრო ხარისხიანიც, ბევრ წელს გაუძლებს“, – გვითხრა ნონა ყანდიაშვილმა.

კითხვით მივმართეთ ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურსაც – გვაინტერესებდა, რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს, გივი კუბლაშვილის მიერ მონათხრობი ვარკეთილი 3-ის მე-3 მიკროში არარსებულ 34-35 კორპუსებზე:

„ტენდერი რომ გამოცხადდა, მოხდა ტექნიკური შეცდომა. ციფრებია შეყვანილი არასწორად. საკითხი გადავაგზავნეთ საფინანსო განყოფილებაში, საუკეთესო ვარიანტში მოხდება კორექტირება, თუ არა და ტენდერი ავტომატურად შეწყდება და კიდევ ერთხელ გამოცხადდება გამართული ინფორმაციით.

კორპუსები, ისევე, როგორც სხვა ობიექტები, ირჩევა შემდეგი პრინციპით – ჯერ ტარდება კვლევა და ყველაზე ცუდ მდგომარეობაში რომელიც არის, იმის გამაგრება იგეგმება პირველ რიგში“, – გვითხრა კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ლაშა ჩხიკვიშვილმა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## პროკურატურამ, ბედუკაძე-ჯღარკავას მიმოწერა ყალბიაო






ვინც დაიჯერებს, იმას შეუძლია, გაეცნოს პროკურატურის განცხადებას, ვისაც არა – ნუ მოიშლით ნერვებს, მოქალაქეებო, სანერვიულო იმდენია, ბედუკაძეს ნამდვილად არ უნდა გადაჰყვეთ!..

– 2015 წლის 24 ოქტომბერს მოქალაქე ნინო ჯღარკავამ განცხადებით მიმართა საქართველოს პროკურატურას და მიუთითა, რომ ტელეკომპანია „რუსთავის 2"-ის ეთერით, გადაცემა „განსხვავებულ აქცენტებში" ვრცელდებოდა მისი და ვლადიმერ ბედუკაძის სახელით განხორციელებული ყალბი მიმოწერა „ფეისბუკის" საშუალებით ე.წ. ციხის კადრებთან დაკავშირებით.

დადგინდა, რომ ტელევიზიით გასული მიმოწერა ხსენებულ პირებს შორის არის ყალბი და ამის დადგენა სრულიად მარტივად იქნებოდა შესაძლებელი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ:

მიმოწერა წარმოდგენილია „ფეისბუკის" ე.წ. „სკრინშოტების", ანუ ფოტოების სახით. მიმოწერასთან მოცემულია მხოლოდ საათი და არსად ჩანს მიმოწერის თარიღი, რაც ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ე.წ. „სკრინშოტები" იქმნება მიმოწერის განხორციელების დღეს. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, საათთან ერთად მოცემული უნდა იყოს თარიღიც. გარდა ამისა, ხსენებულ „სკრინშოტებზე", „ფეისბუკის" გვერდის მარჯვენა მხარეს მითითებულია წელი – 2012, ანუ „სკრინშოტი" შექმნილი უნდა იყოს 2012 წელს და უშუალოდ მიმოწერის განხორციელების დღეს, რაც არ დასტურდება.

ამავე „სკრინშოტზე" ერთ-ერთ მეგობრობის შემოთავაზებაში ფიგურირებს მომხმარებელი „**Nikoloz Xucishvili**". მისი პროფილის გახსნისა და დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ პროფილი შექმნილია 2014 წელს და ის 2012 წელს არ არსებობდა. რაც შეეხება პროფილზე განთავსებულ ფოტოს – ის გადაღებულია 2014 წელს, რაც დასტურდება სურათზე გამოსახული პიროვნების გამოკითხვით...

დანაშაულის ნიშნების არსებობის გადამოწმების შემდგომ პროკურატურის მიერ მოხდა ფაქტის სამართლებრივი შეფასება. კერძოდ: იმის გათვალისწინებით, რომ „ფეისბუკ"-მიმოწერა ცალსახად გაყალბებულია და რეალურად ასეთ საუბარს ადგილი არ ჰქონია, არ მომხდარა კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევაც. შესაბამისად, ვინაიდან არ გამოიკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, გამოძიება ამ ფაქტზე ვერ დაიწყება. ამასთანავე, „ფეისბუკ"-მიმოწერა „სკრინშოტების" სახით არ არის ოფიციალური დოკუმენტი, შესაბამისად, არ არის 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებიც, რაც გულისხმობს ოფიციალური დოკუმენტის გაყალბებას.

შესაძლებელია, გაყალბებული მიმოწერა შეიცავდეს ამა თუ იმ პირის პატივისა და ღირსების შემლახავ ინფორმაციას, თუმცა ამ კატეგორიის დავა განეკუთვნება სამოქალაქო სამართლებრივ სფეროს და სცილდება პროკურატურის კომპეტენციას. ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს, პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში დარღვეული უფლების აღსადგენად მიმართოს სასამართლოს, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „სამხრეთ ოსეთის" ახალი მეგობარი – სირია?



ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმი სირიასთან თანამშრომლობის გაღრმავებას აპირებს. **Osradio.ru**-ს ინფორმაციით, რუსეთში სირიის ელჩი რიად ჰადადი და ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. ელჩი ზნაურ გასიევი ერთმანეთს მოსკოვში შეხვდნენ და ორმხრივი ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობებზე იმსჯელეს.

შეხვედრა მოსკოვში, სირიის საელჩოში გაიმართა.

– სირიის ელჩმა აღფრთოვანება გამოხატა დამოუკიდებლობისთვის სამხრეთ ოსეთის ხალხის ბრძოლისადმი, მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის ლიდერს ლეონიდ თიბილოვს პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადისა და სირიელი ხალხის მხარდაჭერისთვის, – აღნიშნავს გამოცემა.

ჰაიდიდის თქმით, ეს შეხვედრა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაფართოებისთვის.

– დღეს სირია მყარად დგას საკუთარი ხალხის გამძლეობითა და რუსეთის მხარდაჭერით, რომელთანაც ჩვენ ისტორიული მეგობრული კავშირები გვაქვს, მაგრამ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების მხარდაჭერაც, – განაცხადა რიად ჰადიდმა.

თავის მხრივ, ზნაურ გასიევმა სირიის ელჩს შეხვედრისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ 2008 წელს სამხრეთ ოსეთი მორიგი გენოციდისგან რუსეთმა გადაარჩინა.

– რუსეთმა დახმარების ხელი გაუწოდა მოძმე სირიას და ამით არა მხოლოდ სახელმწიფოებრიობა გადაარჩინა, არამედ მსოფლიოში სტაბილურობას შეუწყო ხელი, – აღნიშნა ე.წ. ელჩმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აბა, მაღარიჩი შენზეა, ბარაკ – ეხუმრები „ლგბტ" ჟურნალის გარეკანზე მოხვედრას?!




აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა სახელმწიფოს პირველი მოქმედი მეთაური გახდა, რომელიც „ლგბტ" ჟურნალის გარეკანზე გამოჩნდა. ბარაკ ობამამ ჟურნალ **Out**-ის გარეკანზე, როგორც „წლის მოკავშირე" გამოჩნდა, იმ საქმიანობისთვის, რასაც სექსუალური უმცირესობების უფლებებისთვის ახორციელებს.

გამოცემა აღნიშნავს ობამას განსაკუთრებულ ინტერესს თანასწორუფლებიანობისადმი და განსაკუთრებულ აღფრთოვანებას გამოხატავს პრეზიდენტის რეაქციაზე, რომელიც აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას მოჰყვა.

მაშინ, ობამამ განაცხადა, რომ ეს ისტორიული გადაწყვეტილება ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა და მას ამერიკის უდიდესი გამარჯვება უწოდა.

– ათწლეულების განმავლობაში, ჩვენი ძმები და დები იბრძოდნენ ალიარებისა და თანასწორობისთვის, – ციტირებს გამოცემა პრეზიდენტის სიტყვებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „იმედმა" მითხრა, გადაცემას გიხურავთ, ერთი წლის ხელფასს გაძლევთ და წადიო – ინგა გრიგოლია



ჟურნალისტი ინგა გრიგოლია ტელეკომპანია „იმედიდან" წამოსვლის ფაქტს კიდევ ერთხელ იხსენებს. როგორც ის ჟურნალ „სარკესთან" საუბრისას ამბობს, იმ დროს „იმედის" შეთავაზებამ ძალიან გააბრაზა.

– ჩემთვის ბევრი გადაცემა დაუხურავთ, მაგრამ არასდროს გამოვუშვივარ ვინმეს სამსახურიდან, ალტერნატივაზე საუბარი ყოველთვის იყო. „იმედმა" მითხრა, გადაცემას გიხურავთ, ერთი წლის ხელფასს გაძლევთ და წადიო. ერთი წლის შემდეგ რა უნდა გავაკეთო-მეთქი, როცა ვკითხე, მიპასუხეს, თუ გინდა, ვებგვერდზე სამუშაოდ გადადი ან რამის პროდიუსერადო. იმის გამო, რომ ჩემთვის ხელფასი ეძლიათ, „რამის პროდიუსერად" და ვებგვერდზე მუშაობას არ დავთანხმდებოდი. ძალიან გაბრაზებული ვარ, – აცხადებს გრიგოლია. (ნიუპოსტი)



## უჰ, ქალბატონო მინისტრო, მასე სწრაფად დაწყებული გამოძიება უამრავი გვინახავს, გამოძიებული კი – არც ერთი!

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, ადვოკატ მდინარაძის საქმეზე გამოძიების სწრაფად დაწყება კარგია, მაგრამ არ კმარა.

მისი თქმით, მდინარაძის ცემის საკითხზე დღეს ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარ ნილს მიუჟნიეკისთან შეხვედრაზეც ისაუბრა.

– კომისარმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ გამოძიება სწრაფად დაიწყო. ჩემი მხრივ, მე დავამატე, რომ გამოძიების სწრაფად დაწყება კარგია, მაგრამ არ კმარა. სწრაფად დაწყებულმა გამოძიებამ, ასევე, სწრაფად უნდა დაადგინოს დამნაშავე პირები, რომ ისინი სამაგალითოდ დაისაჯონ. უნდა დაველოდოთ შედეგებს, რომლებიც, იმედი მაქვს, მალე დადგება. ამ თემაზე ჩვენ და კომისარს გვაქვს აბსოლუტურად თანხვედრი აზრი, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

## რუსეთში ჩასული 18 თვითმკვლელი ტერორისტი მოსკოვსა და ყაზანში ტერაქტებს გეგმავსო



რუსეთის შსს-ს მოსკოვის სამმართველოს უფროსის ანატოლი იაკუნინის განცხადებით, მოსკოვის პოლიცია საგანგებო, გაძლიერებულ რეჟიმში მუშაობს. ამის შესახებ მან ტელეკომპანია „რასია 24"-ის ეთერში განაცხადა.

– მოსკოვის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობა გავაძლიერეთ იმ საფრთხეების გამო, რომლის შესახებაც ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის სოციალური ქსელიდან ვიღებთ, – განაცხადა მან.

იაკუნინის ინფორმაციით, პოლიცია ამოწმებს სამეწარმეო ზონებს, ბაზრებს, სავაჭრო ცენტრებს, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და ყველა იმ ადგილს, სადაც შესაძლოა, უცხო ქვეყნების მოქალაქეები ან ტერორიზმთან დაკავშირებული პირები იმყოფებოდნენ.

რუსმა სამართალდამცავებმა ასევე სოციალური ქსელებით გავრცელებული განცხადების შემოწმება დაიწყეს, რომლის თანახმადაც, რუსეთში ჩასული 18 თვითმკვლელი ტერორისტი მოსკოვსა და ყაზანში ტერაქტებს გეგმავს.

ოფიციალურმა პირებმა განცხადებას პროვოკაცია უწოდეს, რომლის მიზანიც საზოგადოებაში დაძაბულობისა და პანიკის დათესვაა. (ნიუპოსტი)

## სადაზღვევო კომპანია „აისი ჯგუფის" გამო გლეხმა ვაშლის ბაღი გაჩეხა



გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზაში მცხოვრებმა, იოსებ ქერდიყოშვილმა ვაშლის ხეების გაჩეხა და ბოსტნეული კულტურების დარგვა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც სადაზღვევო კომპანია „აისი ჯგუფმა" ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა და სეტყვის შედეგად მიყენებული ზარალი არ აუნაზღაურა.

როგორც ქერდიყოშვილი ამბობს, სადაზღვევო კომპანიაში 2 ჰექტარი ვაშლის ბაღი გაზაფხულზე დააზღვია, სტიქიის შემდგომ კი კომპანიის სპეციალისტებმა ზარალი აღწერეს და ანაზღაურების პირობაც მისცეს, თუმცა, მისი თქმით, პირად ანგარიშზე მხოლოდ 34 ლარი ჩაერიცხა, სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლები კი სატელეფონო ზარებს აღარ პასუხობენ.

იოსებ ქერდიყოშვილის მსგავსად სადაზღვევო კომპანია „აისი ჯგუფს" თაღლითობაში ადანაშაულებს თორტიზას კიდევ რამდენიმე მკვიდრი.

გიორგი მაზმანიანისა და ზურაბ ფისუაშვილის თქმით, სადაზღვევო კომპანიას მოსავლის დასაზღვევად ერთ ჰექტარზე 90 ლარი გადაუხადეს, იმ პირობით, რომ სტიქიის შემთხვევაში ზარალის ანაზღაურება მოხდებოდა, თუმცა კომპანიამ ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულა.

აღნიშნულთან დაკავშირებით სადაზღვევო კომპანია „აისი ჯგუფში" კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებენ. (ნიუპოსტი)

**„აისი ჯგუფთან" დაკავშირება „ალიამაც" სცადა, თუმცა...**

# ბიძინა ივანიშვილი: „მაჟორიტარები ფეოდალებად იქცნენ და ეს სისტემა უნდა გაუქმდეს“

## საპარლამენტო უმრავლესობა ივანიშვილის წინააღმდეგ?!



ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33

**რა მიზეზით გახდება ხელისუფლება დასავლეთიდან „მიჯირყვნის“ (ივანიშვილმა ხომ ჩაგვისწორა „მიჭირხვნააო...“, რამდენჯერ უნდა თქვას კაცმა ჰა?!) ობიექტი? რატომ ძაბავს სიტუაციას და რატომ არ ესაუბრება არასაპარლამენტო პარტიებს?**

**„ალიას“ ექსპერტი და პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე ესაუბრა:**

**— ინტერპარტიულმა ჯგუფმა პარლამენტში 240 ათასი ხელმოწერა შეიტანა საარჩევნო სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით. თუმცა, ცნობილი ხდება, რომ უმრავლესობა უარს აცხადებს იმ კომისიის შექმნაზე, რომელიც ამ საკითხს განიხილავს. ხელმომწერთა რაოდენობა ნამდვილად არ არის ცოტა, ამას ემატება შიმშილობის აქციები, რომელსაც „პატრიოტთა ალიანსი“ მართავს. ამ ყველაფრის ფონზე, რაში სჭირდება პარლამენტსა და ხელისუფლებას სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვა? ხომ შეუძლიათ ელემენტარულად, შექმნან ეს კომისია, განიხილონ საკითხი და მერე გამოაცხადონ გადაწყვეტილება? მათივე წინასაარჩევნო დაპირება იყო და რატომ ჯიუტობს ხელისუფლება?**

– სამწუხაროდ, ხელისუფლების მოქმედებების ლოგიკა აბსოლუტურად გაუგებარი ხდება. აი, მაგალითად, რატომ ძაბავს ხელისუფლება შეგნებულად ურთიერთობას დასავლეთთან და რატომ არ ცდილობს, დასავლეთის წინაშე სახე შეინარჩუნოს?

**მე მონური მორჩილების პრინციპს არ ვგულისხმობ, მაგრამ ხელისუფლება იმასაც კი არ აკეთებს, რომ რეალურად, რაც მისი მიღწევაა, ის მაინც მიიტანოს დასავლეთამდე. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ დეპუტატი მუშტმოღერებული ესაუბრება ამერიკას და ა.შ. სასაცილოა ეს, სატირალი რომ არ იყოს.**

ყველანაირ პროტესტს აქვს თავისი გამოხატვის ფორმა საერთაშორისო ურთიერთობებში. ველური ფორმებით მოქმედება რომელი საუკუნის სტილისტიკიდან აიღეს ჩვენმა პოლიტიკოსებმა, ცოტა ძნელი სათქმელია. თუ რაღაც არ მოგწონს, ამის დაფიქსირების დიპლომატიური ფორმა არსებობს, მით უმეტეს, შენს მოყვარესთან.

მარტივ მაგალითს მოგიყვანთ: როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ გიგი უგულავასთან მიმართებაში მისი წინასწარ პატიმრობაში ყოფნის გადაწყვეტილება მიიღო, საქართველოს ხელისუფლებას, საპარლამენტო უმრავლესობას, არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ ეს ქეისი ჩაეტანა სტრასბურგში, ევროპარლამენტში და წარმოეჩინა, როგორც მისი ხელისუფლების ძალიან დიდი მიღწევა.

**თქვენ მკითხეთ, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, რატომ არ ცდილობს ხელისუფლება თანამშრომლობასო? ხელისუფლება, თითქოს, წერასატანილივით იქცევა და აბსოლუტურად ლოგიკურია თქვენი კითხვა: რატომ არ გინდა აჩვენო შენი მზაობა თანამშრომლობისკენ (პროცესი როგორ დამთავრდება, ეს კიდევ სხვა რამეა)?**

ეს კიდევ ერთი მიზეზი გახდება იმისთვის, რომ ხელისუფლება დასავლეთიდან მიჯირყვნის ობიექტი გახდეს და ერთი რამ არის გასათვალისწინებელი: ნუ გავაკეთებთ

**ისე, რომ დასავლეთი მოყვარიდან ძალიან უხერხულ პარტნიორად იქცეს, თორემ არანაკლები სანქციების შემოღება და უხერხულობის შემოტანა შეუძლია დასავლეთს, თუ ეს საჭირო გახდა.**

ცარიელ მინდორზე რატომ აკეთებ ამას, ეს არის გაუგებარი. რატომ უდგები კრიჭაში საზოგადოებას, ეს არის ის, რასაც ამ სამი წელიწადის განმავლობაში ვერ ვიგებ. გადადგი თანამშრომლობისკენ ნაბიჯები და პროცესი სადაც მივა, მერე უკვე პროცესის ბოლოზე გააკეთე აქცენტი.

**— ამ წუთებში კანცელარიის წინ „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები და რიგითი მოქალაქეები შიმშილობენ, ამასთანავე, პარლამენტის წინაც იგეგმება მალე აქციები, მალე 500 ადამიანი დაჯდება საშიმშილოდო, ინაშვილი ამბობს. თუ ეს ხალხმრავალ, მასშტაბურ აქციებში გადაიზარდა და სახელმწიფო უწყებების პიკეტირება მოხდა, როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება გამოიყენებს ძალას მის დასაშლელად? სააკაშვილის ხელისუფლება აქციებს ამ მოტივითაც არბევდა ხოლმე..**

– ზუსტად წინა საკითხის გაგრძელებაა ეს – „პატრიოტთა ალიანსის“ მაგალითი არის იმის კიდევ ნათელი დასტური, როგორ არ თანამშრომლობს და არ უსმენს ხელისუფლება ოპოზიციას. მოყვარე მტრად აქციეო, ზუსტად ეს დაემართა ხელისუფლებას, რადგან თარხან-მოურავი გამოვიდა და პირდაპირ თქვა, – ჩვენ ვიყავით ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც ხელისუფლებას კრიჭაში არ ვედექით, ვეთანამშრომლებოდითო და დამთავრდა, ამას წერტილი დაესვაო. „ნაციონალური მოძრაობის“ აქციებზე თუ ჩანაწერებს აქვეყნებენ და იძახიან, რომ იყო პროვოცირების, სამოქალაქო დაპირისპირების, შეგნებულად სისხლის დაღვრის მცდელობაო, „პატრიოტთა ალიანსზე“ იგივეს ხომ ვერ იტყვიან? გამოდის, ამათთან ურთიერთობაში ეს არგუმენტი არ გამოადგებათ, ხომ? აქედან გამომდინარე, როგორც გითხარით, მოყვარე მტრად იქციეს. „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი მოთხოვნა საარჩევნო სისტემის შეცვლაა და ამის გარშემო მთელი პოლიტიკური სპექტრი უნდა გაერთიანდეს. სხვა თემაა, რომ არ ერთიანდებიან იმიტომ, რომ არ უნდათ „პატრიოტთა ალიანსის“ პოლიტიკური წონა გაზარდონ, ეს ერთი და მეორე ის, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ არ დაუდგა მათ გვერდით, როცა ბოიკოტი გამოუცხადეს შუალედურ არჩევნებს და შეიძლება, ეს მათი ერთგვარი პასუხიც არის (ბიძინა ივანიშვილმა ჯერ კიდევ 2013 წელს თქვა: მაჟორიტარები ფეოდალებად იქცნენ და ეს სისტემა უნდა გაუქმდესო. — რედ).

პოლიტიკური სპექტრი უნდა გაერკვეს, რა არის მათთვის მნიშვნელოვანი, უნდა აწონონ, რა უფრო ფასეულია ქვეყნისთვის. ვაი და, გაერთიანდა ეს პოლიტიკური სპექტრი, მერე სად მიდის ხელისუფლება?

**— როგორც ცნობილია, „ახალი მემარჯვენეები“ აპირებენ, შეუერთდნენ ამ მოთხოვნაში „პატრიოტთა ალიანსს“.**

– დიახ, აპირებენ და დანარჩენებზე მაქვს საუბარი. ვაი და, გაერთიანდა ეს სპექტრი და თქვენი თქმის არ იყოს, სახელმწიფო უწყებებთან შიმშილობა დაიწყონ, აი, მერე რას შვრება ხელისუფლება? ძალიან მძიმე დღეშია ხელისუფლება დღეს, წარმოვიდგინოთ უბრალოდ, ვინ არის მისი პარტნიორი ქვეყნის შიგნით? მივყვეთ: პოლიტიკური სპექტრი? არა, ჩემო ბატონო. „ნაციონალურ მოძრაობას“ სატელიტები მაინც ჰყავდა პოლიტიკურ სპექტრში; სამოქალაქო სექტორზე გადავიდეთ: ვინ არის სამოქალაქო სექტორში ხელისუფლების მხარდამჭერი? არავინ, ყველა „ჩარეცხეს“, ყველა გადაიკიდეს და ყველას სულში ჩააფურთხეს; წავიდეთ წინ: საზოგადოებაა მისი მხარდამჭერი? არა, ჩემო ბატონო, დავანებოთ თავი „ენდიაის“ კვლევებს, არ ვენდობით, ხო? მაგრამ

**საგარეჯოს არჩევნებმა ერთი საინტერესო რამ დაგვიდასტურა — სადაც „ენდიაის“ კვლევა ამბობდა, რომ 65%-ს ჩამოყალიბებული არ აქვს თავისი პოზიციაო, რამდენი პროცენტი არ მივიდა საგარეჯოს არჩევნებში? 65%. ასე რომ, გამოდის, „ენდიაის“ კვლევების რაღაც პარამეტრებს უნდა ვენდოთ.**

საზოგადოების მხარდაჭერა რომ დღითი დღე მცირდება, ესეც ხომ ფაქტია? შემიძლია ვთქვა, რომ ხელისუფლებამ თვითიზოლაციისთვის აქტიურად იზრუნა სამი წლის განმავლობაში. ხელისუფლებამ თავად ჩაჭრა პარტნიორობის ყველა ხაზი ყველა იმ სეგმენტთან, რომელზეც ჩვენ ახლა ვისაუბრეთ.

**— ბოლო კითხვა მექნება: როგორც ცნობილი გახდა, „ნაციონალური მოძრაობა“ ანდრო ბარნოვმა დატოვა და განცხადებაში პარტიულ დაპირისპირებაზე საუბრობს. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა „ნაციონალურ მოძრაობაში“ შიდა დაპირისპირებები და ბარნოვთან ერთად, სხვებიც ხომ არ დატოვებენ პარტიას?**

– „ნაციონალური მოძრაობა“ იარსებებს მანამ, სანამ თქვენი და ჩემი ინტერესი იარსებებს მის მიმართ, ანუ იმ ადამიანების, ვისაც საზოგადოებამდე მიაქვს თავისი სათქმელი. თორემ „ნაციონალური მოძრაობა“, იმ კადრების მერე (სხვა საქმეა, რამდენად სამართლებრივად სწორად და ვის მიერ გამოქვეყნდა ის ამაზრზენი კადრები) თუნდაც თეორიული პერსპექტივის მქონე ძალაზე საუბარი, პირდაპირ გეტყვით, სასაცილოა. ჩვენ მათ სიცოცხლეს ვმატებთ ამ ვირტუალური ინტერესით.

არც ერთ სახელმწიფოში ამ ტიპის პოლიტიკური წარმონაქმნის მიმართ დღეს უკვე ინტერესი აღარ იარსებებდა. პარტიას, რომლის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ვანდალიზმი, არაადამიანური და ანტიადამიანური ქმედება ხდებოდა, ანდრო ბარნოვი თუ ბარნო

**ანდროვი თუ დატოვებს, ვინმეს აინტერესებს? ამით ჩვენ უკანა პლანზე ვწევთ ისეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან და პერსპექტიულ საკითხებს, როგორიც არის, მაგალითად, ანაკლიის პორტზე მსოფლიოს ორი სუპერსახელმწიფო რომ აცხადებს დაინტერესებას — ჩინეთი და ჩინურ-ამერიკული კონსორციუმი.**

მსოფლიოს ორი სუპერსახელმწიფოს ინტერესი იდება საქართველოში და წარმოგიდგენიათ, ეს რამხელა მასშტაბის მოვლენაა? სწორედ ეს უნდა ვთქვათ თქვენც და მეც, ამიტომ ანდრო ბარნოვის გარშემო ტრიალი არაფერში არ არის საჭირო, ერთ-ერთმა წევრმა დატოვა ვანდალური ქმედებების ჩამდენი პარტია, სულ ესაა და ეს.



„ვაი და, გაერთიანდა ეს სპექტრი და სახელმწიფო უწყებებთან შიმშილობა დაიწყონ, აი, მერე რას შვრება ხელისუფლება? ძალიან მძიმე დღეშია ხელისუფლება დღეს, წარმოვიდგინოთ უბრალოდ, ვინ არის მისი პარტნიორი ქვეყნის შიგნით? პოლიტიკური სპექტრი? არა, ჩემო ბატონო. „ნაციონალურ მოძრაობას“ სატელიტები მაინც ჰყავდა პოლიტიკურ სპექტრში; სამოქალაქო სექტორზე გადავიდეთ: ვინ არის სამოქალაქო სექტორში ხელისუფლების მხარდამჭერი? არავინ, ყველა „ჩარეცხეს“, ყველა გადაიკიდეს და ყველას სულში ჩააფურთხეს; წავიდეთ წინ: საზოგადოებაა მისი მხარდამჭერი? არა, ჩემო ბატონო...“



მოყვარე მტრად აქციეო, ზუსტად ეს დაემართა ხელისუფლებას

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ფადი ასლი იმდენს ყბედობს, აქედანაც ჩანს, რომ ბიზნესი თავისუფალია“ — ასლის წერილი ივანიშვილს და მეჭიაურის პასუხი

საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ფადი ასლიმ ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს ღია წერილით მიმართა.

„გაოცებული დავრჩი თქვენი 10 ნოემბრის ინტერვიუს გაცნობის შემდეგ, რომელშიც თქვენ უარყოფთ, რომ საფინანსო ორგანოები ბიზნესს ავიწროებენ და მათ მიერ ხორციელდება ზეწოლა, და რომელშიც თქვენ აცხადებთ, რომ მე მრავალი საეჭვო გარიგება მქონია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“, როდესაც ის ხელისუფლებაში იყო, და რომ მე სააკაშვილისა და მერაბიშვილის ნოსტალგია მაქვს.

ნება მომეცით, შეგახსენოთ რამდენიმე ისტორიული ფაქტი: მე გახლდით ერთადერთი ბიზნესმენი საქართველოში, რომელიც ებრძოდა ბიზნესის შევიწროებას სააკაშვილის ადმინისტრაციის ფინანსური პოლიციის მიერ და ამის გამო მძიმე საფასური გადავიხადე მაშინ, როდესაც თქვენ იმ ადმინისტრაციის ნომერი პირველი მხარდამჭერი და მისი მთავარი დამფინანსებელი ბრძანდებოდით.

თქვენი ბრალდება მაგონებს არაბ მმართველებს, რომლებიც მათი პოლიტიკის კრიტიკოსებს გამუდმებით ბრალს სდებენ იმაში, რომ ისინი „ისრაელის აგენტები“ არიან, – წერს ფადი ასლი.

ამასთანავე, წერილში ის ბიძინა ივანიშვილს ახსენებს იმ დაპირებებსა და განცხადებებს, რომელიც მან 2012 წელს ბიზნესმენთა საზოგადოებასთან შეხვედრისას გააკეთა.

წერილზე კომენტარი ვთხოვეთ პარლამენტარ თამაზ მეჭიაურს, რომელიც რამდენიმე დღის წინ ფადი ასლიმ ეპითეტებით შეამკო და ერთი ძველი აღმოსავლურ ანდაზა გაიხსენა: „სულთნის ძაღლს თავი სულთანი ეგონაო“.





თამაზ მეჭიაური:

– ფადი ასლი არ არის ისეთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ფიგურა, რომ მის განცხადებებზე კომენტარი გავაკეთო. ბოლოს და ბოლოს, ეს ვინმე ასლი ვინ არის, რომ შეაფასოს საქართველოში სახელმწიფო ორგანოების მუშაობა. ალბათ, სხვა საქმე არ აქვს და ბევრი დრო რჩება სხვის საქმეებში ცხვირის ჩასაყოფად. წავიდეს და იქ აკეთოს ბიზნესი, სადაც ჰგონია, რომ უკეთესი პირობებია.

სად რა არის შეზღუდული? ბიზნესი ასეთი თავისუფალი აქამდე არასდროს ყოფილა. საინტერესოა, მაშინ იყო თავისუფალი, როცა მაგ ბატონს საქართველოში ბანანი შემოჰქონდა?!

ფადი ასლი რომ ამდენს ყბედობს, აქედანაც ჩანს, რომ საქართველოში ბიზნესი თავისუფალია, მაგრამ მაგას ის მოსწონს, ალბათ, რასაც წინა მთავრობა 9 წლის განმავლობაში უკეთებდა ბიზნესს და ბიზნესმენებს? ის იყო კარგი ხან ისრაელიდან და ხან სხვა ქვეყნებიდან რომ ჩამოჰყავდათ ბიზნესმენები და ციხეებში ყრიდნენ?! მაშინ კარგად იყო, ეტყობა, შემძვრალი თბილ ადგილებში და შესაშურ პირობებს უქმნიდნენ. ხომ არ დაგვავიწყდა, უსამართლოდ როგორ უწვავდნენ და ართმევდნენ ხალხს ქონებას. დავკარგეთ ყველამ ერთად მეხსიერება?!

ვიღაც ავანტიურისტ ფადი ასლიზე რატომ უნდა ვილაპარაკოთ? (kvirispalitra.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## 23 წლის თეონა ჯაჭვლიანი სიმსივნეს ებრძვის — მას სიცოცხლის გადასარჩენად დახმარება ესაჭიროება

23 წლის თეონა ჯაჭვლიანს სასწრაფო სამედიცინო დახმარება სჭირდება. გოგონას სწორ ნაწლავზე მესამე სტადიის სიმსივნე დაუდგინდა, თუმცა პირველ რიგში თეონა ფილტვებზე 10 000 ლარის ღირებულების მკურნალობას საჭიროებს (ფილტვები გოგონას ქიმიოთერაპიის შედეგად დაუზიანდა). ახალგაზრდა უკვე თვეზე მეტია რეანიმაციაში, აპარატზეა შეერთებული. ფილტვებზე ქირურგიული ჩარევის შემდეგ თეონა ჯაჭვლიანს სიცოცხლის გადასარჩენად კიდევ ერთი ოპერაცია დასჭირდება, რაც 20 000 დოლარი ღირს.

დახმარების მსურველებს შეუძლიათ თანხა „საქართველოს ბანკში“ გახსნილ ანგარიშზე გადარიცხონ: **GE55BG0000000585204700** მიმღები ლონდა გოგუა. (ნიუპოსტი)

## კალაძის სამინისტროს პრემიები და დანამატები — 708 480 ლარი



რა უჯდება ბიუჯეტს ენერგეტიკის სამინისტროს მაღალჩინოსანთა პრემიები და დანამატები. არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორი“ კალაძის უწყების პრემიებისა და დანამატების 9 თვის შედეგებს აქვეყნებს, რომელიც, ჯამში, 708 480 ლარია.

– ენერგეტიკის სამინისტროს პრემიამ და დანამატებმა 9 თვეში, ჯამში, 708 480 ლარი შეადგინა. აქედან დანამატის სახით 20-მა თანამდებობის პირმა – 376 740 ლარი მიიღო. სხვა თანამშრომლებმა (60-მდე) ჯამში – 292 500 ლარი. პლუს პრემიები – 39 240 ლარი. ეს მაშინ, როცა საქართველოს სხვადასხვა რაიონსა და ქალაქებში გახშირდა ელექტროენერგიის ჩაქრობის ფაქტები და ტარიფებმა თითქმის 30 პროცენტით მოიმატა. ასევე, მოყვანილი ციფრები ადასტურებს, რომ ძირითადად თანამდებობის პირები იღებენ პრემიებსა და დანამატებს. 9 თვეში რაც აიღო 20 თანამდებობის პირმა, იმაზე ბევრად ცოტა აიღო სხვა 60-მა რიგითმა თანამშრომელმა.

სამივლინებო ხარჯმა ჯამში: 131 732 ლარი შეადგინა. არც ერთ მივლინებაზე არ არსებობს დოკუმენტაცია, სადაც წერია, რა შედეგებით დაბრუნდნენ მივლინებიდან, მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტაციაც მოვითხოვეთ. პლუს ამას მინისტრის, მისი მოადგილეებისა და აპარატის სატელეფონო ხარჯმა, ჯამში, 18 000 ლარი შეადგინა, – აცხადებს „მედიატორის“ ხელმძღვანელი ლევან ხაბეიშვილი. (პირველი რადიო)

## „ავეჯის გადაზიდვის სერვისი“ — ბევრი რამ ვნახე საქართველოში და ვერ წარმომიდგენია, როგორ ასახლებენ პრეზიდენტს



დეპუტატ გოგა ხაჩიძის განცხადებით, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ავლაბრის სასახლიდან გამოყვანის პროცესი როგორ უნდა მოხდეს, მისთვის უცნობია.

როგორც ახალი პოლიტიკური ცენტრის, „გირჩის“ წევრი გოგა ხაჩიძე აცხადებს, აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა დაველოდოთ, რას მოიმოქმედებს მმართველი გუნდი.

– ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ბევრი რამე ვნახე საქართველოში და ვერ წარმომიდგენია, რა პროცესია ეს, როგორ ასახლებენ პრეზიდენტს. შეთქმულების თეორიას თუ გავყვებით, ავეჯის გადაზიდვის სერვისით უნდა იყოს ეს საკითხი. ამ თემაზე სერიოზულად ვერ ვმსჯელობ, რადგან ეს ის საკითხია, რომელზეც უნდა დაველოდოთ მოვლენებს, თუ რას მოიმოქმედებს მმართველი გუნდი და რა ფორმით გამოასახლებს პრეზიდენტს, – განაცხადა ხაჩიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საბერძნეთში დანაშაულებრივი ჯგუფის ქართველი მეთაური დააკავეს, რომელმაც მოხუცი ცოლ-ქმარი აწამა



ბერძენმა სამართალდამცველებმა იმ დანაშაულებრივი დაჯგუფების ქართველი მეთაური დააკავეს, რომელიც წელს აგვისტოში, თანხისა და ძვირფასეულობის გამოძალვის მიზნით ტავერნის მეპატრონის სახლში შეიჭრა და ცოლ-ქმარი განსაკუთრებული სისასტიკით აწამა, – ამის შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ თავდასხმის შემდეგ შემთხვევით გადარჩა ტავერნის მეპატრონის მეუღლე. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ამ ეტაპზე სამართალდამცავები დანარჩენ დეტალებზე არ საუბრობენ.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული დანაშაული აგვისტოში მოხდა. თავდასხმის ფაქტმა კუნძულ ჰიდრას კრიმინალურ ისტორიაში, მანამდე არსებული დანაშაულები დაჩრდილა, – წერს ბერძნული გამოცემა.

ტავერნის მეპატრონის მეუღლის ჩვენების თანახმად: ცოლ-ქმარმა ტავერნა ღამის 2 საათზე დაკეტა და სახლში წავიდა, რომელიც იქვე ახლოს მდებარეობდა. ცოტა მოგვიანებით, მათ კერძო ბინაში 2 ნიღბიანი მამაკაცი შეიჭრა. თავდამსხმელებმა ცოლ-ქმარი ჯერ გაკოჭეს, შემდეგ კი პირი აუკრეს და ფული და ოქროულობა მოსთხოვეს. დაზარალებულის ჩვენების მიხედვით, ბოროტმოქმედები ერთმანეთში ბერძნულად არ ლაპარაკობდნენ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათ სცემდნენ. დაზარალებული ასევე ამტკიცებს, რომ სანამ დამნაშავეები წავიდოდნენ, მათ აჩვენა ჩემოდანი, სადაც 40 ათასი ევრო ინახებოდა. (kvira.ge)

## გია გაჩეჩილაძე: დედამიწაზე, ყოველწლიურად, დაახლოებით 300 ათასი ადამიანი იღუპება და ეს მონაცემები გაიზრდება



პარლამენტის წევრ გია გაჩეჩილაძის ინფორმაციით, 30 ნოემბერს კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით ისტორიული სამიტი გაიმართება, სადაც კლიმატის ცვლილებების შეჩერებასთან დაკავშირებით, დოკუმენტი იქნება განხილული.

როგორც გაჩეჩილაძე აცხადებს, ამ თვალსაზრისით მდგომარეობა კატასტროფულია, რადგან ბოლო მონაცემებით, ატმოსფეროში $CO_2$-ის კონცენტრაცია დაახლოებით 143 პროცენტით გაიზარდა.

მისი თქმით, მოსალოდნელია 6 გრადუსამდე ტემპერატურის ზრდაც.

– დედამიწაზე, ყოველწლიურად, დაახლოებით 300 ათასი ადამიანი იღუპება და ეს მონაცემები გაიზრდება. ამ მხრივ კარგი ვითარება არც საქართველოშია. ბოლო 15 წლის განმავლობაში, საქართველოში ტემპერატურა 0,6-ით გაიზარდა. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოს გარკვეული ვალდებულებები გვაქვს, რადგან გაეროს შეთანხმებას მიერთებული ვართ, რომლის მიხედვითაც, 2020 წლისთვის გამონაბოლქვების რაოდენობა უნდა შემცირდეს. ყველაფერ ამას თანხები სჭირდება და კარგი იქნება, თუკი, პარლამენტი ამასთან დაკავშირებით მხარდაჭერას გამოხატავს. თუ ეს ყველაფერი არ შევაჩერეთ, ჩვენს მომავალს საფრთხე ემუქრება, – განაცხადა გაჩეჩილაძემ. (ghn.ge)

## „მარგველაშვილზე გაცილებით წარმატებული და დიდი ქვეყნების პრეზიდენტები მუშაობენ მაგის მეათედ ფართობზე“



თამაზ მეჭიაური პრეზიდენტის სასახლის დაცლას მოითხოვს და ამბობს, რომ პრეზიდენტის გამოსვლა მისი რეზიდენციიდან სამართლებრივი გზით უნდა მოხდეს.

– პრეზიდენტის გამოსახლებასთან დაკავშირებით არსებობს სამართლებრივი გზა. ყველას აქვს განსაზღვრული თავისი სამუშაო ადგილი. როგორც განისაზღვრება კანონმდებლობით და შესაბამისი უწყებების გადაწყვეტილებით, ის იქნება პრეზიდენტის სამუშაო ადგილი. მას თვითონვე ჰქონდა გაცხადებული, რომ ის იქ არ აპირებდა მუშაობას და ძალიან კარგად ეტეოდა იქ, სადაც იყო განსაზღვრული. მარგველაშვილზე გაცილებით წარმატებული და დიდი ქვეყნების პრეზიდენტები მუშაობენ მაგის მეათედ ფართობზე. გადახედოს, რომელს აქვს ასეთი პომპეზური შენობა. თეთრ სახლზე დიდია კინაღამ, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა. (პირველი რადიო)

# საქართველოს ნატოს წინაშე აღებული აქვს ვალდებულება, რომ 2016 წლის 1-ლი იანვრიდან უნდა გაუქმდეს სავალდებულო სამხედრო სამსახური

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

**საქართველოს პარლამენტის წევრმა, ზურაბ ჯაფარიძემ პარლამენტში შეიტანა საკანონმდებლო პროექტი, რომელიც სამხედრო სავალდებულო გაწვევის გაუქმებას გულისხმობს. იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პირველი მოსმენისთვის განიხილა და კომიტეტის შენიშვნების გათვალისწინებით, მხარი დაუჭირა სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტისა და მისი თანამდევი პროექტების პლენარულ სხდომაზე გატანას.**

**„ალია“ ამ ინიციატივის შესახებ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილს ესაუბრა:**

– ზურაბ ჯაფარიძე რამდენ პოპულისტურ კანონპროექტსაც შემოიტანს, დამერწმუნეთ, ნამდვილად ვერ ვივლით მის ჭკუაზე. ის, სავარაუდოდ, ვერ ერკვევა ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში, არ იცის, რა არის თავდაცვა, მოქალაქეების მონაწილეობა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში... არც მთავრობისთვის უკითხავს, არც კვლევა ჩაუტარებია, რამდენად ეფექტურია ქვეყნის დაცვისთვის სავალდებულო სამხედრო სამსახური, არც ის გამოუკითხავს სარეზერვო სამსახურისთვის, რამდენად აუცილებელია, რომ მოქალაქეები ჩართულნი იყვნენ სავალდებულო სამსახურში. ეს არის პოპულისტური კანონპროექტი, რომლის უკანაც არ არსებობს პასუხისმგებლობა. ალბათ, ამ კაცმა არ იცის თავდაცვის სფერო და რაღაც თინეიჯერული გამოკვლევების საფუძველზე დაწერა ეს კანონპროექტი.

**— თქვენი, ხელისუფლების, მთავარი არგუმენტები რა არის, რის გამოც უნდა დარჩეს სავალდებულო სამხედრო სამსახური?**

– პირველ რიგში, უნდა გავიაზროთ ის საფრთხეები, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას. უნდა ვიცოდეთ, რა ტიპის შეიარაღებული ძალები, რა ტიპის სამხედრო რეზერვი გვჭირდება. ამაზე მიდის ინტენსიური მუშაობა, როგორც თავდაცვის სამინისტროში, ასევე, სხვა უწყებებში. მოქალაქეების ჩართულობა თავდაცვის უზრუნველყოფის საკითხში არის ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენი მოქალაქეები, ჯერ ერთი, კონსტიტუციურ ვალდებულებას იხდიან, გარდა ამისა, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს შესაძლოა, საჭირო გახდეს როგორც ჩვენი სამხედრო ძალების, ასევე, რეზერვის მობილიზება. თუ წვევამდელები არ გაივლიან ამ 1-წლიან სავალდებულო სამსახურს, მომზადებული ადამიანური რესურსი არ იქნება საიმისოდ, რომ რეზერვში გაიწვიო. თუ მაინც გაიწვევ, სარეზერვო სამსახურის ხარისხი იქნება ძალიან დაბალი, მოუმზადებელი ხალხით დაკომპლექტებული, რომელთაც ელემენტარული, იარაღთან მოპყრობის უნარ-ჩვევებიც კი არ ექნებათ. საკონტრაქტო მოსამსახურემ, რომელიც ჯარში მსახურობს, შესაძლოა, 12 წელი იმსახუროს ისე, რომ ცვლა არ ჰქონდეს. სარეზერვო სამსახურისთვის საჭირო რესურსი საიდან მოვიძიოთ, თუ სამხედრო სავალდებულო გაწვევაც გავაუქმეთ? თუ ეს 1 წელიც არ გამოვიყენოთ იმისთვის, რომ სამომავლოდ, რეზერვისთვის ხალხი მოვამზადოთ? თუ სააკაშვილის დროს იყო 18-დღიანი სარეზერვო სამსახური, დეპუტატებს ვითომ რომ ასწავლიდნენ საბრძოლო უნარ-ჩვევებს, ჩვენც ისე მოვიქცეთ? იმ რეზერვიდან რაც გამოვიდა, ყველამ კარგად ვნახეთ, 2008 წლის აგვისტოს ომმაც აჩვენა, რა რეზერვი გვყავდა. ერთადერთი, შესაძლოა, 1-წლიანი სამხედრო სავალდებულო სამსახური ვადაში შემცირდეს.

**— და რამდენი თვე იქნება?**

– ჯერ არ ვიცი, ამ საკითხზე ვმუშაობთ და როცა შევჯერდებით, ცხადია, საზოგადოება გაიგებს ამის შესახებ.

**— ზურაბ ჯაფარიძე აცხადებს, რომ წელს გაწვეულია 6 436 ახალგაზრდა. აქედან მხოლოდ 25 პროცენტი მსახურობს რეალურ ჯარში, დანარჩენები კი შსს-ს და სასჯელაღსრულების სისტემებში მსახურობენ. კი, მაგრამ, რას აძლევთ ამ ახალგაზრდებს ამ სტრუქტურებში სამსახური? იქ ხომ ვერ მიიღებენ იმ საჭირო წვრთნასა და უნარ-ჩვევებს, რაც ჯარისკაცს სჭირდება? მერე, ეს გამოუცდელი ხალხი რეზერვს როგორღა გამოადგება?**

– ნება მომეცით, არ დაგეთანხმოთ არც თქვენ და არც ზურაბ ჯაფარიძეს. კი, ამ სტრუქტურებში მსახურობენ ახალწვეულები, მაგრამ ისინი გადიან სპეციალურ მომზადებას, ეუფლებიან იმ მინიმალურ უნარ-ჩვევებს, რაც შეიარაღებულ ძალებში სამსახურის დასაწყებად არის საჭირო. სწავლობენ დისციპლინას, სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლ იარაღს ეუფლებიან, ფიზიკური ვარჯიშები არ აკლიათ. ეს ადამიანები მომავალში ძალიან წაადგებიან სარეზერვო სამსახურს. ამდენი არ ესმის ზურაბ ჯაფარიძეს და რა ვქნა? კი, ეს ხალხი სხვადასხვა სტრუქტურებში მსახურობს, მაგრამ იქ მეტად საჭირო საქმეს აკეთებენ, ეს ბიჭები არიან პატრიოტები და არა იაფი მუშახელი, როგორც ჯაფარიძე აცხადებს. ახლა ერთ საკითხზეც შევჩერდები. დავუშვათ, ორმა ახალგაზრდამ გადაწყვიტა, საკონტრაქტო სამსახურში წასვლა. ერთს გავლილი აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახური, მეორეს – არა. ცხადია, კონტრაქტის გაფორმების შანსი იმას მეტი აქვს, ვისაც სავალდებულო სამსახური აქვს გავლილი, ვისაც ეს მინიმალური ცოდნა და უნარ-ჩვევები აქვს, მეორეს ხომ ნულიდან მოუწევს ყველაფრის დაწყება და ამას საკმაო დრო დასჭირდება. ესეც გათვალისწინებული გვაქვს, როცა ვამბობთ, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური, სადღეისოდ, მრავალმხრივ ეფექტურია ქვეყნისთვის და სასარგებლოა მათთვისაც, ვინც მას გადის.

**— კანონპროექტის ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ საქართველოს ნატოს წინაშე აღებული აქვს ვალდებულება, რომ 2016 წლის 1-ლი იანვრიდან უნდა გაუქმდეს სავალდებულო სამხედრო სამსახური.**

– ეგ საკითხი მოგვარებულია ნატოსთან და მაგაზე ნუ დარდობს. მიმაჩნია, რომ საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა იმ თემით აპელირება, თითქოს ნატოს წევრ ქვეყნებში არ არსებობს სავალდებულო გაწვევა და რადგან საქართველოც ნატოსკენ ისწრაფვის, აქაც დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდესო. ამას ზურაბ ჯაფარიძე და მისი თანამოაზრეები ხშირად აცხადებენ. მას მინდა შევახსენო, რომ ნატოს წევრი ქვეყნები არიან ლიტვა და ესტონეთი, მათ რამდენიმე წლის წინათ გააუქმეს სავალდებულო გაწვევა და ახლა, ისევ შემოიღეს. ჩვენი არ იყოს, მათაც ადეკვატურად განსაზღვრეს ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების პრობლემები და ეს გადაწყვეტილება მიიღეს. მე ამას წინათ შევხვდი ლიტვის თავდაცვის ყოფილ მინისტრს, რასა იუკნიავიჩენესს, რომლის დროსაც, რომლის ინიციატივითაც გაუქმდა სავალდებულო სამსახური ლიტვაში. მან ჩემთან საუბარში აღიარა, რომ ეს შეცდომა იყო, ამით ქვეყნის სარეზერვო სამსახურს დიდი დარტყმა მიადგა და ლიტვამ აუნაზღაურებელი წლები დაკარგა.

ზურაბ ჯაფარიძე იმასაც აცხადებს, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან თავის არიდება სხვადასხვა გზით ხდება. კი, შესაძლოა, არის ცალკეული შემთხვევები, რომლებიც კომპეტენტური ორგანოების შესასწავლია, რამდენად კანონიერად ხდება ეს, მაგრამ ამას სისტემატური და სისტემური ხასიათი ნამდვილად არ აქვს.

**— ზურაბ ჯაფარიძის კანონპროექტს დადებითი დასკვნა მისცა იურიდიულმა კომიტეტმა და ეს კანონპროექტი პლენარულ სხდომაზე განიხილება. დარწმუნებული ხართ, თუ კენჭისყრაზე დადგა, უმრავლესობა მას არ მიიღებს?**

– ამ კანონპროექტს ჯერ წამყვანი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი აქვს გასავლელი და ჩვენთან ძალიან ბევრი წინააღმდეგობა შეხვდება, მას მხარს არ დავუჭერთ. ცხადია, შემდეგ გავა პლენარულ სხდომაზე, ამას პროცედურა ითვალისწინებს, მაგრამ კანონად ვერ იქცევა. ჯაფარიძე რასაც ითხოვს, ის ცვლილებები არ განხორციელდება.

**— ევროპაში ნატოს ყოფილი მთავარსარდლის მოადგილემ, რიჩარდ შირეფმა განაცხადა, რომ „საქართველოს ნატოში გაწევრიანებისთვის დიდხანს მოუწევს ლოდინი“. ბატონო ირაკლი, პოლიტიკოსები ხშირად ცრუ დაპირებებს იძლევიან, მაგრამ სამხედროებს პირდაპირ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე ლაპარაკი სჩვევიათ. როგორ ფიქრობთ, რიჩარდ შირეფის ეს განცხადება ამის მორიგი დასტური ხომ არ არის და რასაც ის აცხადებს, სრული სიმართლეა — ნატოში კარგა ხანს არ მიგვიღებენ და ტყუილად ვეჯაჯგურებით ამ ნატოს კარს?**

– პირველ რიგში, უნდა განვასხვაოთ, სამხედროებისა და პოლიტიკოსების განცხადებები...

**— მაგას მოგახსენებთ სწორედ, ამ პოლიტიკოსების დაპირებებს თუ გავითვალისწინებთ, ახლა უკვე ნატოს წევრები უნდა ვიყოთ...**

– ტყუილად არავინ არაფერს გვპირდება, ამ გზაზე აშკარაა, წინ მივიწევთ. სამხედროების საქმეა, შეაფასონ ნატოს წევრობის სავარაუდო კანდიდატი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, შეიარაღებული ძალები, სამხედრო მოსამსახურეები რამდენად მზად არიან ნატოს წევრობისთვის, რამდენად აკმაყოფილებენ მის სტანდარტებს სამხედრო კუთხით. ნატოს სამხედრო ხელმძღვანელობამ არაერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ, თუ ვინმე მზად არის ნატოს წევრობისთვის თავისი სამხედრო კომპონენტებით, ეს არის საქართველო. ჩვენი სამხედროები მუდამ უმაღლეს შეფასებას იმსახურებენ ნატოს მოქმედი გენერალიტეტისგან. როდის უნდა გახდეს საქართველო ნატოს წევრი, ამ გადაწყვეტილებას პოლიტიკოსები იღებენ და არა სამხედროები. რიჩარდ შირეფის ეს პოზიცია არის მხოლოდ მოსაზრება და არა რაღაც დასკვნა და განაჩენი.

**რიჩარდ შირეფის სკეპტიკურ განცხადებაზე, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანებისთვის დიდხანს მოუწევს ლოდინი, „ალიამ“ კომენტარი უსაფრთხოების ექსპერტ ვახტანგ მაისაიასაც სთხოვა:**

– რიჩარდ შირეფი საკმაოდ ანგარიშგასაწევი პიროვნებაა, ცხადია, მისი ეს განცხადებაც მნიშვნელოვანია, მაგრამ აქ არაფერია საგანგაშო. კი, სამხედროებს უფრო გახსნილად და ღიად უყვართ პრობლემებზე ლაპარაკი, ვიდრე პოლიტიკოსებს, მაგრამ ეს განცხადება საკმაოდ ლოგიკურია. მე ვერ ვიტყვი, რომ ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერი პოლიტიკოსები გვატყუებენ და შირეფი მათგან განსხვავებულს ამბობს რაიმეს. გაისად არის ვარშავის ნატოს სამიტი, სადაც საქართველოს ნატოში მიღების საკითხი არ დადგება. სავარაუდოდ, თუ ვინმე შეიძლება მიიღონ, ესენი იქნებიან, მონტენეგრო, მაკედონია და ჩერნოგორია. თუმცა, ამ უკანასკნელს მცირე შანსი აქვს. ჩვენ, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება, მოგვცენ მაპ-ი, მის გარეშეც არავინ მიგვიღებს ნატოში, ეს არის თავის მოტყუება. მაპ-ი რომც მოგვცენ, ამის შემდეგ, გარკვეული საფეხურები მაინც უნდა გაიარო და მერე ხდები წევრი. 4-5 წელიც დასჭირვებია სხვადასხვა ქვეყნებს მაპ-იდან ნატოს წევრობამდე. ასე რომ, ვარშავის სამიტზე მაპ-იც რომ მოგვცენ, მაინც ასე გამოდის – ახლო მომავალში ვერ გავხდებით ნატოს წევრები, მით უფრო, თუ ვარშავაში არ მოგვცეს მაპ-ი და ეს ნატოს 2018 წლის სამიტზე მოხდა. მაშინ გაწევრიანების პროცესის დაწყება, კიდევ 2 წლით გადაიდება. აქედან გამომდინარე, ამ კაცს ახალი და განსაკუთრებული არაფერი უთქვამს, სრულიად ლოგიკური რამ თქვა – საქართველოს ნატოში გასაწევრიანებლად საკმაოდ დიდხანს ნამდვილად მოუწევს ლოდინი.



„ოცნების“ უმრავლესობა ნატოს უპირისპირდება!!!

# სახელმწიფო ტენდერებისა და საბანკო გარანტიების დომხალი



„საბანკო გარანტიის შესახებ" საქართველოს ბუნდოვანი კანონმდებლობა ბიზნესისთვის სერიოზულ პრობლემად იქცა. განსაკუთრებულად გაურკვეველია ინფრასტრუქტურული ტენდერების პირობები. ამ სფეროში მიმდინარე პროცესები არაერთ შეკითხვას ბადებს. ხშირია შემთხვევა, როდესაც კომპანიები გამოუვალ ვითარებაში ვარდებიან და კოტრდებიან კიდეც.

მთავრობის წევრები დიდი ხნის განმავლობაში ტენდერებთან დაკავშირებულ სირთულეებზე არ საუბრობდნენ. ინფრასტრუქტურის ამჟამინდელმა მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა ეს „დუმილი", პრაქტიკულად, პირველმა დაარღვია და არსებული პრობლემები აღიარა.

როგორც იურისტები განმარტავენ, პრობლემის სათავე კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებია. მათი თქმით, სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობაში მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის გარანტიების არსებობა, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 1997 წლიდან არ განახლებულა. მოძველებული ნორმები კი ვერ პასუხობს საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოქმნილ თანამედროვე გამოწვევებს.

როგორც იურისტი ნინო ლიპარტია „კომერსანტთან" აცხადებს, ქვეყანაში ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას კანონმდებლობამ ფეხი ვერ აუწყო და დღემდე ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება მოძველებული კანონმდებლობის პირობებში ხორციელდება.

პრობლემა კი ასეთია: სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ დადებული ხელშეკრულებების უზრუნველყოფა ხდება სხვადასხვა სახის საბანკო გარანტიებით. გარანტიით გათვალისწინებული თანხის მოთხოვნა იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, თუკი ხელშეკრულების მხარის მიერ დარღვეულია ძირითადი ვალდებულება. თუმცა პრაქტიკაში ხდება არაერთი შემთხვევა, როდესაც ვალდებულების სრულად შესრულების მიუხედავად, სახელმწიფო სტრუქტურები მაინც ითხოვენ გარანტიის თანხის გადახდას. ამის საშუალებას კი მათ საქართველოს საქალაქო კოდექსში არსებული ერთ-ერთი ნორმა აძლევს, რომლის თანახმად, შემსყიდველის განმეორებითი მოთხოვნა თანხის გადახდასთან დაკავშირებით უნდა დაკმაყოფილდეს,

ბოლო პერიოდში იყო შემთხვევები, როდესაც არაერთი ინფრასტუქტურული ობიექტის საზეიმოდ გახსნის შემდეგ სამთავრობო სტრუქტურებმა ამ ობიექტის მშენებლობის უზრუნველსაყოფად არსებული გარანტიებით გათვალისწინებული თანხის გადახდა მოითხოვეს. დღემდე უამრავი ასეთი დავა განიხილება სასამართლოს მიერ.

„მიმაჩნია, რომ აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც შემდგომ გამოიწვევს ურთიერთობების დახვეწასა და მოწესრიგებას, რაც არა მხოლოდ კერძო ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს, არამედ თავად სახელმწიფო ტენდერების შესრულების ეფექტურობას განაპირობებს", — აცხადებს ნინო ლიპარტია.

ზემოაღნიშნული ბუნდოვანების და არსებული სასამართლო პრაქტიკის შედეგად, სახელმწიფო შემსყიდველი ორგანოების მხრიდან მასობრივი ხასიათი მიეცა ნებისმიერი მიზეზით ან ხშირად სრულიად უმიზეზოდ, საბანკო გარანტიის თანხის მოთხოვნას. ამ ყველაფერმა კი, როგორც იურისტი გიორგი გვენეტაძე აცხადებს, მძიმე შედეგები უკვე მოიტანა.

„არსებობს სავალალო პრეცედენტები. მაგალითად, ერთ-ერთმა სახელმწიფო კომპანიამ უკვე დარღვეული ხელშეკრულების შესრულების გარანტია გამოსტყუა გარანტორს... სასამართლოში ეს ყველაფერი ცხადად გამოჩნდა, თუმცა სასამართლომ ისევ და ისევ კანონის ბუნდოვან პუნქტზე დაყრდნობით მიიღო უსამართლო გადაწყვეტილება. ვფიქრობ, აუცილებელია სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების სასწრაფო საკანონმდებლო ცვლილება, რაც გაითვალისწინებს არსებულ რეალობას და ასევე შესაბამისობაში მოვა ევროპულ სტანდარტებთან", — აცხადებს გვენეტაძე.

როდის დადგება კანონში ცვლილებების შეტანის საკითხი, ჯერჯერობით უცნობია. (for.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

# „43 200-ჯერ გამაუპატიურეს" — ტრეფიკინგის მსხვერპლის შემზარავი ისტორია



„სიენენი" ტელემაყურებელს მექსიკელ კარლა იაკინტოს აცნობს, რომელიც 4 წლის მანძილზე ტრეფიკინგის მსხვერპლი იყო. კარლას ისტორიამ კიდევ ერთხელ დაანახა ამერიკას ის პრობლემა, რომელიც მექსიკასა და აშშ-ში ჯერ კიდევ გადაუჭრელია – ადამიანებით ვაჭრობამ ათეულ ათასობით მექსიკელი გოგონას ცხოვრება სამუდამოდ დაანგრია.

წლების მანძილზე, ცენტრალურ მექსიკაში მდებარე ქალაქი ტენანკინიო ადამიანებით ვაჭრობის ცენტრად ითვლება – გაყიდულ ქალებს პროსტიტუციაში ჩართვას აიძულებენ.

კარლა ყვება, რომ 5 წლის ასაკიდან სექსუალურ ძალადობას მასზე ნათესავი ახორციელებდა. 12 წლის ასაკში კი ტრეფიკიორმა მიიტყუა, მასთან სამი თვე აცხოვრა სახლში და მაშინ, როცა გოგონას ეგონა, რომ საკუთარ მომავალს შეხვდა და ბედნიერად იცხოვრებდა, 10 წლით უფროსმა მამაკაცმა გამოუცხადა, რომ მას ამიერიდან კლიენტების მომსახურება მოუწევდა. მას შემდეგ კარლამ 4 ჯოჯოხეთური წელი გაატარა ტყვეობაში. კლიენტების იძულებით მომსახურებას დილის 10 საათიდან იწყებდა და შუაღამისას ასრულებდა, კვირაში 7 დღე, დღეში, საშუალოდ, 30 კლიენტს ემსახურებოდა.

კარლა მეხიკოში ჩატარებული ანტიტრეფიკინგული ოპერაციის დროს 2006 წელს გაათავისუფლეს. მან ტყვეობაში შვილის გაჩენაც მოასწრო – 15 წლის ასაკში გოგონა გაუჩნდა. ახლა კარლა 23 წლისაა. მონაწილეობს კონფერენციებში ძალადობისა და ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ. თავისი ტრაგიკული ისტორიის შესახებ მან ივლისში რომის პაპთან შეხვედრაზეც ისაუბრა, მაისში კი აშშ-ის კონგრესში სიტყვით გამოვიდა. (ambebi.ge)

# თქვე არაკაცებო, საბავშვო ბაღი რისთვის გაქურდეთ — „მანი ფაფა" მოიპარეთ?!




ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლებაში საბავშვო ბაღი გაქურდეს.

სოფლის მოსახლეობის ინფორმაციით, წაღებულია სხვადასხვა ნივთები და ელექტროტექნიკა.

როგორც ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი აცხადებს, ამაღლების საბავშვო ბაღი ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებდა და მისი გახსნა უახლოეს პერიოდში იგეგმებოდა.

მომხდარზე გამოძიება 177-ე, ქურდობის მუხლით მიმდინარეობს. (ნიუპოსტი)

# თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 206-ე კილომეტრზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აიკრძალა



საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 206-ე კილომეტრზე, მდინარე ჩხარას ადიდების გამო, ავტოტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილების მიზნით ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა იკრძალება.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ავტოტრანსპორტის მოძრაობა გადაერთვება ზესტაფონი-ბაღდათი-ქუთაისის საავტომობილო გზაზე, ხოლო აღნიშნული მიმართულებით მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

მათივე ცნობით, აღნიშნული რეჟიმით მოძრაობა განხორციელდება საპატრულო პოლიციის უშუალო ზეამხედველობით და კოორდინაციით. (ინტერპრესნიუსი)

# ირაკლი აბესაძემ მერიაში მოღვაწეობისას, სამ წელიწადში 267 537 ლარი აიღო




თბილისის საკრებულოს ამჟამინდელი დეპუტატი „ნაციონალური მოძრაობიდან" ირაკლი აბესაძე ყველაზე მეტს საუბრობს დღეს თანამდებობის პირთა ანაზღაურებაზე მაშინ, როდესაც ირაკლი აბესაძის მოღვაწეობა თბილისის მერიაში ძირითადად მხოლოდ მისი ხელფასის და პრემიის ზრდით არის დასამახსოვრებელი.

დღეს, როდესაც ი. აბესაძე სხვადასხვა თანამდებობის პირთა ხელფასებს ადარებს ბაღის დირექტორის ხელფასს პირველ რიგში თავისი ხელფასი გაიხსენოს.

როცა ირაკლი აბესაძის მიერ 3 წლის განმავლობაში აღებული ხელფასი და პრემია ტოლია ბაღის დირექტორის მიერ 25 წლის განმავლობაში აღებული ხელფასის.

ირაკლი აბესაძის მერიაში მოღვაწეობის განმავლობაში მის მიერ აღებული ხელფასი და პრემია – 238 737 ლარით აღემატება იგივე პერიოდში ბაღის დირექტორის ხელფასს, 213 537 ლარით აღემატება იგივე პერიოდში ავტობუსის მძღოლის ხელფასს! 253 137 ლარით აღემატება იგივე პერიოდში მეეზოვის ხელფასს. (რეპორტიორი)

# ზებრა გადასასვლელზე გზის არდათმობა 20 ლარით ჯარიმდება




თბილისში სატრანსპორტო მოძრაობა მეტად გადატვირთული და მოუწესრიგებელია. საგზაო მოძრაობის წესრიგის დაცვა და შესაბამისი რეგულაციების შემოღება ქვეყანაში არა მხოლოდ ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელს, არამედ მგზავრთა და ქვეითთა ტრავმირების რიცხვს და შემდგომი მკურნალობის ხარჯებს შეამცირებს.

გზების და სატრანსპორტო მოძრაობის მოწესრიგების გარდა პრევენციის ერთერთი ზომა სიჩქარის შეზღუდვა და ჯარიმის ოდენობის გაზრდაა, მიაჩნია ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის" დამფუძნებელს, ექსპერტს გელა კვაშილვას.

„ავტოსაგზაო შემთხვევის პრევენცია მეტად ეკონომიურია, ვიდრე შემდგომი ხარჯები. სამწუხაროდ, 2014 წელს შეამცირეს სიჩქარის დარღვევისთვის ჯარიმის ოდენობა, არადა ძირითდად, ამ წესის დარღვევის გამო იღუპება უამრავი ახალგაზრდა ადამიანი.

გამართული უნდა იყოს გზების და მოძრაობის სისტემა, უნდა დაწესდეს შეზღუდვები სიჩქარეზე, დროული უნდა იყოს სამედიცინო დახმარება და ოპერატიულად უნდა მუშაობდეს საპატრულო პოლიცია...

„ყველაზე დიდი პრობლემა ჩვენთან არის გზის არდათმობა – როგორც მძღოლებში, ასევე ქვეითებში. უმეტესად ეს ზებრა-გადასავლელებზე გზის გადაკვეთისას გამოიხატება. სხვათა შორის, მძღოლების უმეტესობამ არც კი იცის, რომ ზებრა-გადასასვლელზე ქვეითისთვის გზის არდათმობა ჯარიმდება 20 ლარით. ასევე ქვეითიც ჯარიმდება, თუ გზას არასწორ ადგილზე გადადის. გზა ყველას ეკუთვნის, მაგრამ მასზე მოძრაობის კანონებიც ყველამ უნდა დაიცვას". – ამბობს კვაშილავა.

„საჯარიმო სანქციებს რაც შეეხება, საზოგადოებამ მკაფიოდ უნდა გააცნობიეროს, რომ ჯარიმა არა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ზომაა, არამედ უპირველეს ყოვლისა, დასჯის და პრევენციის ზომა, რადგან საკითხი ადამიანის სიცოცხლეს ეხება. ქალაქის პირობებში ქვეითი ყველაზე დაუცველ მდგომარეობაშია, ამიტომ მას უპირატესობა უნდა მიენიჭოს. მოძრაობას არ უნდა ვუყურებდეთ მხოლოდ მძღოლის გადასახედიდან, ქვეითებისთვის უსაფრთხო გადაადგილება უნდა იყოს უზრუნველყოფილი. საუბარი არა მხოლოდ შუქნიშნებზეა. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, ყველაზე გამართლებული ვარიანტი ურბანულ პირობებში მიწისქვეშა გადასავლელები და ე.წ. უსფრთხოების კუნძულებია.

ექსპერტის განმარტებით, ავტოსაგზაო შემთხვის შედეგად საქართველოში ყოველწლიურად უამრავი ადამიანი იღუპება, ან მძიმე დაზიანებებს იღებს. როდესაც მანქანა 30 კმ/სთ სიჩქარით ეჯახება ქვეითს, მისი გადარჩენის შანსი დიდია, ხოლო 50 კმ/სთ მეტი სიჩქარით მომხდარ ავტოავარიაში მოყოლილთა 80%-ს გადარჩენა ვერ ხერხდება. – აცხადებს კვაშილავა. (რეპორტიორი)

# განათლების მინისტრ თამარ სანიკიძის ახირების გამო სკოლის გარეშე 20 000 ბავშვი დარჩა

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**სკოლის გარეთ დარჩენილი 6 წლის ასაკს მიუღწეველი ბავშვების პრობლემა 1 ოქტომბერს უნდა მოგვარებულიყო, შემდეგ ვადა თვის ბოლომდე გადაწიეს, მაგრამ უკვე ნოემბრის შუა რიცხვებია და საკითხი გადაწყვეტილი ჯერაც არ არის.**

**რა შედეგით დასრულდა, განათლების მინისტრის, თამარ სანიკიძის, ერთი წლის წინანდელი საკანონმდებლო ახირება? რა ბედი ელის, როგორც სკოლის მიღმა, ასევე, „სასკოლო მზაობის პროგრამის“ გარეშე დარჩენილ ათასობით ბავშვს? რა პასუხი აქვს აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებაში თბილისის ბაღების სააგენტოს?**

**„ალიას“ ორგანიზაცია „საგანმანათლებლო ალიანსის“ თავმჯდომარე, მარიამ რამინაშვილი ესაუბრა:**

– 130-ე სკოლაში გამოვლენილი დისკრიმინაციული ქმედებით მინდა დავიწყო. სამინისტროს მხრიდან ამას აქვს ყოვლად მიუღებელი რეაგირება. სამინისტრო, მიმართავს არა პრევენციულ ზომებს, არამედ სადამსჯელოს. ჭაბუა ამირეჯიბის შვილიშვილის განცხადებას ვგულისხმობ, რომელმაც პედაგოგები რასიზმში დაადანაშაულა. თამარ სანიკიძის თქმით, ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კონკრეტული მასწავლებლების პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. მისივე თქმით, 130-ე საჯარო სკოლის საქმიანობას განათლების სამინისტროს მონიტორინგის სამსახური სწავლობს.

დიდი რიხით გაკეთებული კომენტარი, ფაქტის შესწავლასთან დაკავშირებით, საერთოდ არაფერს შეცვლის ამ კონკრეტული პრობლემის აღმოსაფხვრელად. ამიხსენით, რა შუაშია სკოლის საქმიანობის შესწავლა ამ კონკრეტულ პრობლემასთან? მოხსნიან დირექტორს, ამოიწურება საკითხი და ამით სხვა სკოლის დირექტორები რას იზამენ? მე ზუსტად ვიცი – ფაქტის გამეორების შემთხვევაში, თუ კიდევ აღმოჩნდება ასეთი გაბედული მშობელი, ყველა ღონეს იხმარენ ფაქტის არგასახმაურებლად და ეს პრობლემას მოხსნის? არ მოხსნის, არა! მორიგ გახმაურებამდე მიჩქმალავს, უბრალოდ. სისტემამ პრევენცია მხოლოდ დამსჯელი ღონისძიებებით არ უნდა განახორციელოს... თუმცა რა, ვინმეს ხომ უნდა აწუხებდეს, ამაზე ფიქრი რომ დაიწყოს. მშობლებთან საუბრის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ ისინი თავს იკავებენ მსგავსი ფაქტების გახმაურებისგან, იმიტომ, რომ ზუსტად იციან, ისევ მათი შვილებისა და მათი პირადი პრობლემის გაგრძელება იქნება ამ კონკრეტულ საქმეზე დავის დაწყება. ხვდებიან, რომ ამით პრობლემასაც ვერ უშველიან.

— **სკოლებში ჩხუბი და ბავშვებს შორის დაპირისპირება ყოველდღიური ამბავია, რა უნდა გააკეთოს სამინისტრომ ან დირექციამ, ყველა ბავშვს ხომ არ მიამაგრებენ მანდატურს?! რა უნდა მოიმოქმედოს ასეთ შემთხვევაში სკოლამ, სამინისტრომ? თქვენ რას ურჩევდით?**

– იმისთვის, რომ სკოლებში აგრესია მინიმუმამდე შემცირდეს, არსებობს სხვადასხვა აქტივობები. ყურადღება უნდა გამახვილდეს სადამრიგებლო პროგრამების შესრულებაზე, თუკი სკოლები ამას ვერ აკეთებენ, ისე, როგორც საჭიროა, სამინისტრომ უნდა შექმნას სამუშაო ჯგუფები, შეუქმნას პროგრამები, რომლებსაც პირდაპირ გამოიყენებენ მოსწავლეებთან მუშაობისას. ეს მოსწავლეებში აგრესიის დონეს შეამცირებს. ამ ეტაპზე პედაგოგები ისე მოქმედებენ, როგორც სამინისტრო. კონკრეტულ ქმედებებზე იყენებენ სადამსჯელო ღონისძიებებს. არ შველის ეს საქმეს. ეს პრობლემას ხელშეუხებელს ტოვებს. სამწუხაროა, რომ ამაზე არ ფიქრობენ. ჰგონიათ, რომ მანდატურის სამსახურში ფსიქოლოგიის კომპონენტის გაჩენა სკოლაში არსებულ ფსიქოლოგიურ პრობლემებს მოაწესრიგებს.

— **სასკოლო ასაკთან დაკავშირებით განმეორებით შეიტანა დეპუტატმა კობა სუბელიანმა კანონპროექტი პარლამენტში. წელს ათასობით ბავშვი ვერ შევიდა სკოლაში იმის გამო, რომ სწავლის დაწყების მერე უსრულდებოდათ 6 წელი. ამის გამო მშობლები დიდი ხანია უკმაყოფილებას გამოთქვამენ, მაგრამ განათლების სამინისტროდან ნორმალურად არავინ აუხსნა მათ, როგორ აპირებენ ამ პრობლემის მოგვარებას, ან საერთოდ, აპირებენ თუ არა...**

– პროექტის პირველად შეტანისას, არგუმენტი, რომლის თანახმადაც, ეს კანონი არ მიიღეს, გახლდათ ის, რომ უნდა ამუშავებულიყო წინასასკოლო პროგრამა, რომელიც იქნებოდა ამ ასაკის ბავშვებისთვის სკოლამდე გასავლელი აუცილებელი საფეხური. ეს წინასასკოლო პროგრამა მარტო თბილისზე იყო გათვლილი, ისიც, მხოლოდ 50 სკოლაში და ამ სკოლებშიც არ დაუწყია ამ დრომდე პროგრამას მუშაობა. როგორც აღმოჩნდა, ბაღებში არსებობს მსგავსი პროგრამა, მაგრამ არავინ გადამზადებულა ამ პროგრამისთვის. ბაღს ჰყავს აღმზრდელები, ამ პროგრამის განხორციელებას კი სჭირდება მასწავლებლები. შესაბამისად, ბაღებშიც როგორ უხარისხოდ მიმდინარეობს სწავლება, ალბათ, ამას ახსნა არ სჭირდება. თუ მაინცდამაინც ამ დონეზე ტოვებენ საკითხს, აუცილებელია, ბაღების დონეზე გაჩნდეს ბაღის მასწავლებლის სტატუსი.

— **რა პროგრამას გადიან ბავშვები ბაღებში?**

– როგორც ჩვენ მოვიკვლიეთ, პროგრამა, რომელსაც ბაღებში უტარებენ ბავშვებს, არის იგივე, რასაც გადის ბაღის ბოლო საფეხურის აღსაზრდელები. ანუ ის ბავშვები, რომლებმაც იმიტომ აირჩიეს ისევ და ისევ ბაღი, რომ სასკოლო მზაობის პროგრამა არ ამოქმედდა, გადიან ისევ და ისევ ის პროგრამას, რაც უკვე გაიარეს გასულ წელს. ეს ყველაფერი ხელს უშლის ბავშვებს, უქვეითებს სწავლის მოტივაციას. ახლა, ისეთ ასაკში არიან, რომ ნაცნობი ინფორმაციის კიდევ ერთხელ გავლა ინდიფერენტულებს ხდის მათ, იმიტომ, რომ ისინი სიახლეზე არიან ორიენტირებული. შედეგად მივიღეთ ის, რომ ბავშვების დიდ ნაწილს გული აქვს აცრუებული სწავლაზე და ამას ადასტურებს ძალიან ბევრი მშობელი ჩვენთან საუბრისას. სამწუხაროა, რომ ვერ აამუშავა სასკოლო მზაობის პროგრამა სამინისტრომ, თუმცა დიდი ზარ-ზეიმით ჩაატარა პრეზენტაცია, რომ თურმე, ასეთი დიდებული პროგრამა შეიმუშავეს. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, რომ ბაღებში მიმდინარე პროგრამაში არაფერი ახალი არ არის, უბრალოდ, ეს არის ბაღებში არსებული დამამთავრებელი საფეხურის ბავშვების ყდაშეცვლილი პროგრამა.

ვინაიდან პერსპექტივა არ აქვს იმ საფუძველს, რაც 6 წლამდე ასაკის ბავშვებთან დაკავშირებულ კანონპროექტს დაუდეს, უნდა მოხდეს ცვლილება კანონში და ნებაყოფლობითი უნდა იყოს პირველ კლასში მოხვედრა. გარდა ამისა, არსებული კანონი ითვალისწინებდა შემდეგს – თუ სექტემბრის 14-მდე არ უსრულდებოდათ ბავშვებს 6 წელი, 15-ში თუ იყვნენ დაბადებულები, ისინი პირველ კლასში შემსვლელთა ბაზაში ვერ რეგისტრირდებოდნენ და ახსნა ასეთი იყო – სწავლა 14-ში იწყებაო. თუმცა, მერე აღმოჩნდა, რომ ბევრ სკოლაში ერთი კვირის დაგვიანებით დაიწყო სწავლა. მათ შორის თბილისის საკმაოდ პრესტიჟულ სკოლებში – 165-ე და 53-ე სკოლებში. ამ ერთი კვირის განმავლობაში შეუსრულდათ ბავშვების გარკვეულ რაოდენობას 6 წელი, მაგრამ სწავლა ვერ დაიწყეს. საკმაოდ დიდი საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ ადამიანებმა, რომლებმაც მაშინ ეს კანონი მიიღეს, ამჯერად მაინც შეიტანონ ცვლილებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, იკვეთება კიდევ ერთი გარემოება – იმ შემთხვევაში, თუ მოინდომებს კონკრეტული პიროვნება კერძო ბაღის გახსნას, მათთვის სამინისტროს არ დაუწესებია არანაირი კრიტერიუმები, ისე, როგორც ეს ხდება სხვა სასწავლო დაწესებულებებში, როცა ხარისხის კონტროლს გადიან. თუ კანონში არ შევა ცვლილება, მომავალ წელს ყველა დაიწყებს კერძო სტრუქტურების მოძებნას, რომ უკვე გავლილი პროგრამა არ გაიარონ ამ ბავშვებმა. ეს კერძო პირებიც გახსნიან ამ კერძო ბაღებს და კაცმა არ იცის, რას შეასწავლიან მერე ამ ბავშვებს.

— **სულ რამდენი ბავშვი დარჩა სკოლის მიღმა ამ კანონის გამო, ხომ არ გარკვეულა?**

– დაახლოებით 20 ათასი ბავშვი იყო ასეთი, თუმცა, მათგან რამდენმა მოისურვა სასკოლო მზაობის პროგრამის გავლა, ეს მონაცემები არ არსებობს.

— **თქვენ „ალიასთან“ წინა ინტერვიუში საუბრობდით იმაზე, რომ სამინისტრომ 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის სახით, ფაქტობრივად, შეიმუშავა საარჩევნო ბიუჯეტი. ამ ლოგიკით, გამოდის, რომ სამინისტრო საარჩევნო წლისთვის ემზადება. მაშინ, რაში სჭირდებათ ამდენი განაწყენებული მშობელი, რატომ არ ლობირებს კანონის შეცვლას?**

– შარშან ამ კანონის მიღება იყო მინისტრის ახირება, რომელიც მთელმა საპარლამენტო უმრავლესობამ გაიზიარა, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა საფუძველი, რომელიც ამ კანონის მიღების აუცილებლობას ქმნიდა. ეს სასკოლო მზაობის პროგრამაც ვერ განხორციელდა, იმიტომ, რომ შეუძლებელია, ასე ერთი ხელის მოსმით ამ პროგრამის ამოქმედება. ამ პროგრამის ამოქმედებას სჭირდება კვლევა, კვლევას სჭირდება პერიოდი, ამ კვლევას სჭირდება ანალიზი, ანალიზს სჭირდება შესაბამისობის დადგენა არსებულ სიტუაციებთან. ეს ყველაფერი არ ჩატარდა და ბუნებრივია, ვერც მოხერხდა მისი განხორციელება.



**„სამწუხაროა, რომ ვერ აამუშავა სასკოლო მზაობის პროგრამა სამინისტრომ, თუმცა დიდი ზარ-ზეიმით ჩაატარა პრეზენტაცია, რომ თურმე, ასეთი დიდებული პროგრამა შეიმუშავეს. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, რომ ბაღებში მიმდინარე პროგრამაში არაფერი ახალი არ არის, უბრალოდ, ეს არის ბაღებში არსებული დამამთავრებელი საფეხურის ბავშვების ყდაშეცვლილი პროგრამა“**

**მარიამ რამინაშვილთან საუბრის შემდეგ, თბილისის ბაღების სააგენტოს დავუკავშირდით. გვაინტერესებდა, რამდენი ბავშვი იყო დარეგისტრირებული ამ დროისთვის სასკოლო მზაობის პროგრამის გავლის მსურველად, რა მიზეზით არ დაიწყო ამ დრომდე ამ პროგრამის განხორციელება და საერთოდაც, თუ აპირებენ განხორციელებას, როდიდან უნდა დაიწყოს პროგრამა?**

როგორც სააგენტოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, თიკო კვირტიამ გვითხრა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დეტალები რამდენიმე დღეში გაირკვევა და შესაბამისად, ჯერ ახალს ვერაფერს გვეტყვითო.



1. ღია საზაფხულო კაბა
2. კიანუ რივზი ფილმში
3. ბალეტის დასი სცენაზე
4. სიმინდის ყვავილედი
5. პოეტი ... მიცკევიჩი
6. მსახიობი პამელა ...
7. მსაჯი
8. ნაგებობა მდინარეზე
9. მხარე დას. საქართ.
10. გულის დაავადება
11. ექსპრომტი
12. ძალიან იშვიათი ნივთი
13. ყანწის მასალა
14. ადგილები პარტერის უკან
15. შვეიცარიის დედაქალაქი
16. წახალისება, ანუ ...
17. ალექსანდრე მაკედონელის ცხენი
18. ავთვისებიანი ხალი
19. საზოგადოების ნაღები ფენა
20. სომნამბული
21. მდინარე საფრანგეთში
22. ქალის პატარა ხელჩანთა
23. ცხენებშებმული ტრანსპორტი
24. ტბა აფრიკაში
25. ეკლიანი მცენარე უდაბნოში
26. ბულგარული ფულის ერთეული
27. სიმინდის ფქვილის საჭმელი
28. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
29. რბილი ფანქარი
30. ვაზის ჯიში
31. პატარა ფრინველი
32. ღორის ნაშიერი
33. ამ კოცონის ემინია ჭინკას
34. ევროპის პირველი მესტამბე
35. ციტრუსი
36. ნილოსის დუმფარა
37. მსახიობი მაქს ...
38. სემი, ქამი და ...
39. რეგიონი ბელგიაში
40. რეპტილია
41. მწერი
42. მოკრივე როკი ...
43. კუჭის ლორწოვ. გარსის ანთება
44. ლენონის ქვრივი
45. მარცვლოვანი მცენარე
46. მდინარე კახეთში
47. რეჟისორი ფრენსის ფორდ ...
48. გასეირნება ქალაქგარეთ
49. რაიონი რაჭაში
50. მონღოლი დიდებული
51. ნარინჯისფერი პიგმენტი
52. მონღოლური ფულის ერთეული
53. შხამიანი ხე
54. ავტობუსის წინამორბედი
55. მსახიობი ... ბროსნანი
56. ჭადრაკის ფიგურა
57. ყარაული
58. ... ფონ ბისმარკი
59. ნაჩენჩი, კანი
60. ზაფხულის თვე
61. შვეულმფრენი, ანუ ...
62. მომღერალი ბრიტნი ...
63. ... კურდღლის მადევარი
64. მსახიობი ჟან ...
65. დიამეტრის ნახევარი
66. ბურთის ფორმის სხეული
67. „ილიადა“ ქალაქი
68. ავსტრიის დედაქალაქი
69. კუნძული ინდონეზიაში
70. მსახიობი ჟან-პოლ ...
71. შვედური წურდა ფული
72. ომლეტი, ანუ ...
73. კვამლი
74. რა ქვეითდება მიდსის დროს
75. ხის ჯიში
76. თურქეთის დედაქალაქი
77. ალკოჰოლური სითხე
78. კომლებით დასახლებული ადგილი
79. მსახიობი ... ჰარისი
80. კომპოზიტორი კლოდ ...
81. ბალერინა ნინო ...
82. მულტფილმი ყვითელ კაცუნებზე
83. მსახიობი ჯიმ ...
84. მსახიობი შერონ ...
85. სოფ. საგარეჯოს რაიონში
86. მსახიობი ანჯელინა ...
87. მსახიობი ... ჩურიკოვა
88. უსინათლოთა ანბანი
89. მსახიობი ... დეპი
90. თეთრი თიხის კერამიკა
91. ... ცეცხლს შუა
92. ხორბლის დიდი საცავი
93. საყანედ გაჩეხილი ტყე
94. კომპოზიტორი ნინო ...
95. მწირი ნიადაგი
96. ფეხბურთელი მიხეილ ...
97. დიდი ჩაქუჩი
98. შოტლანდიის დედაქალაქი
99. ამერიკელების მეტსახელი
100. ..., იგივე კოკო შანელი
101. კერვისას თითის დამცავი
102. მოსამართლის მოწასხამი
103. პოლონური ფულის ერთეული
104. მორებით შეკრული ტრანსპორტი
105. კვირის დღე
106. აფროდიტეს სატრფო
107. ვერცხლისწყალი
108. ქალაქი პოლონეთში
109. საკვები, საჭმელი
110. კვერცხის პროექცია სიბრტყეზე
111. აბუ ალი იბნ სინა, იგივე ...
112. პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატ.
113. ვირის მოქნეული ფეხი
114. მსახიობი ... პაჩინო
115. დედამიწის გუმბათი
116. კომპოზიტორი მიქაელ ...
117. ძვლების დაავადება
118. აღორძინების ეპოქა
119. მწერალი ჰარიეტ ბიჩერ ...
120. ისტორიული ქალაქი ინდოეთში
121. მსახიობი ვიაჩესლავ ...
122. აბატი პრევო „... ლესკო“
123. მამათა დიდი მონასტერი
124. ზეთში შემწვარი კარტოფილი
125. ... ფიტცჯერალდი
126. ღლავი
127. მწერლები ... და პეტროვი
128. სამგლოვიარო საგალობელი
129. მსახიობი ... ჰათაუეი
130. თევზის ძვალი
131. მწერალი ტომას ... რიდი
132. რუსი მხატვარი
133. იანის საპირისპირო
134. ლიტვური ფულის ერთეული
135. იაპონური ფულის ერთეული
136. გამის ნოტი
137. სოკოს მიკროსკოპული ჩანასახი
138. მომღერალი ... გილანი
139. მეტყველების ორგანო
140. ვირას საპირისპირო ბრძანება

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

პასუხები: 1. სარაფანი; 2. „მატრიცა“; 3. კორდებალეტი; 4. ტარო; 5. ადამ; 6. ანდერსონი; 7. რეფერი; 8. რაბი; 9. იმერეთი; 10. მანკი; 11. კაფია; 12. რარიტეტი; 13. რქა; 14. ამფითეატრი; 15. ბერნი; 16. სტიმული; 17. ბუცეფალი; 18. მელანომა; 19. ელიტა; 20. მთვარეული; 21. ლუარა; 22. რედიკიული; 23. ეტლი; 24. ნიასა; 25. საქსაული; 26. ლევი; 27. ლომი; 28. მექა; 29. პასტელი; 30. ალადასტური; 31. სკვინჩა; 32. გოჭი; 33. ჭიაკოკონა; 34. გუტენბერგი; 35. გრეიპფრუტი; 36. ლოტოსი; 37. ლინდერი; 38. იაფეტი; 39. ფლანდრია; 40. ნიანგი; 41. კალია; 42. მარჩიანო; 43. გასტრიტი; 44. ონო; 45. სიმინდი; 46. იორი; 47. კოპოლა; 48. პიკნიკი; 49. ონი; 50. ნოინი; 51. კაროტინი; 52. ტუგრიკი; 53. ანჩარი; 54. ომნიბუსი; 55. პირს; 56. პაიკი; 57. დარაჯი; 58. ოტო; 59. ჩენჩო; 60. აგვისტო; 61. ვერტმფრენი; 62. სპირსი; 63. ორი; 64. რენო; 65. რადიუსი; 66. სფერო; 67. ტროა; 68. ვენა; 69. იავა; 70. ბელმონდო; 71. ერე; 72. ტაფამწვარი; 73. ბოლი; 74. იმუნიტეტი; 75. ტირიფი; 76. ანკარა; 77. სპირტი; 78. სოფელი; 79. ედ; 80. დებიუსი; 81. ანანიაშვილი; 82. „სიმფსონები“; 83. კერი; 84. სტოუნი; 85. უჯარმა; 86. ჯოლი; 87. ინა; 88. ბრაილი; 89. ჯონი; 90. ფაიფური; 91. ორ; 92. ელევატორი; 93. ახო; 94. როტა; 95. ეწერი; 96. მესხი; 97. ურო; 98. ედინბურგი; 99. იანკი; 100. გაბრიელა; 101. სათითე; 102. მანტია; 103. ზლოტი; 104. ტივი; 105. შაბათი; 106. ადონისი; 107. სინდიყი; 108. კრაკოვი; 109. სანოვაგე; 110. ოვალი; 111. ავიცენა; 112. ვიაგრა; 113. ტლინკი; 114. ალ; 115. ცა; 116. ტარივერდიევი; 117. რაქიტი; 118. რენესანსი; 119. სტოუ; 120. აგრა; 121. ტიხონოვი; 122. მანონ; 123. ლავრა; 124. ფრი; 125. ელა; 126. ლოქო; 127. ილფი; 128. ნენია; 129. ენ; 130. ფხა; 131. მაინ; 132. გე; 133. ინი; 134. ლიტი; 135. იენა; 136. სი; 137. სპორა; 138. იან; 139. ენა; 140. მაინა. იკითხება: ფრედი მერკური.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## ყველაზე უცნაური აკრძალვები მსოფლიოში

რაც მეტია აკრძალვა, მით მეტია კანონდარღვევა, თუმცა ხელისუფლება მაინც არ იშლის იძულების მეთოდით ქვეყანაში წესრიგის დამკვიდრებას. გთავაზობთ ყველაზე უცნაურ აკრძალვებს:

– 2000 წლიდან ჩინეთში სათამაშო კონსოლები აკრძალეს. მთავრობის განცხადებით, ეს ხელს შეუშლის ახალგაზრდების ვიდეოთამაშებზე დამოკიდებულებას და მათ წიგნებისკენ შემოაბრუნებს, თუმცა რა შედეგი მიიღეს ჩინეთში ამ აკრძალვით, ეს უკვე აღარ ზუსტდება.

– ირანის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ მოსახლეობის თმა მეტისმეტად უყურადღებოდ ჰქონდა დატოვებული, ამიტომ რამდენიმე ვარცხნილობა აკრძალა – „მალეტი“, როცა თმა წინ მოკლედ, უკან კი გრძლად არის შეჭრილი, „ცხენის კუდი“ და „მოჰიკანი“, პანკური ვარცხნილობა, რომელიც გრძელ თმას გულისხმობს.






– საუდის არაბეთში ვალენტინობას არ აღიარებენ, ამიტომ ყველა წითელი ნივთი აიკრძალა. ჰოდა, შავმა ბაზარმაც გემოზე იხეირა.

– ჩინეთში დაუშვებელია... რეინკარნაცია ნებართვის გარეშე. რა გეგონათ, მარტო სხეულზე შეიძლებოდა ბატონობა? მთავრობის თქმით, ეს აკრძალვა ტიბეტელი ბუდისტების მართვაში ეხმარებათ.

– 80-იან წლებში რუმინეთის პრეზიდენტმა თამაში „სკრებლი“ აკრძალა. მისი თქმით, ეს თამაში მეტისმეტად ინტელექტუალური და ანტისამთავრობო ბოროტება იყო. ბუნებრივია, ბრბოს ინტელექტი არ სჭირდება, მთავრობას კი, სწორედ უინტელექტო ბრბო სჭირდება.

– მანილაში არც მეტი არც ნაკლები მსახიობი კლერ დეინსია აკრძალული. მას შემდეგ, რაც მსახიობმა მანილას უცნაური, საზიზღარი და მყრალი ტარაკნების ქალაქი უწოდა, ყველა მისი ფილმი განადგურდა და თავადაც აიკრძალა ფილიპინების დედაქალაქში.

– დანიაში არსებობს მთავრობის მიერ დამტკიცებული სია, რომელშიც 24 ათასი სახელია შესული. თუ მშობელს სურს ამ 24 ათასისგან განსხვავებული სახელის დარქმევა მთავრობისგან, ნებართვა უნდა აიღოს.

– ჩინეთის მთავრობას არ მოსწონს, რომ ხალხი იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს უჭერს მხარს, ამიტომ ფილმების ნახვა მხოლოდ 3 დე ფორმატშია ნებადართული. ჩინეთში კი 3 დე კინოთეატრები თითქმის არ არის.

– 1999 წელს ამერიკამ სათამაშო ფიორბი აკრძალა. თურმე მას შეეძლო საიდუმლო ინფორმაციის ჩაწერა. ამერიკას კი საიდუმლოს რა გამოულევს.

– 2011 წელს მალაიზიის ხელისუფლებამ აკრძალა ყველაფერი ყვითელი, მაისურით დაწყებული სამაჯურით დამთავრებული, ვინაიდან ყვითელი ოპოზიციური გუნდის ფერი იყო.

– მას შემდეგ, რაც ტუნისში მომხდარმა ჟასმინის რევოლუციამ შთაგონება მისცა ჩინელ მომიტინგეებს, მთავრობამ არა მხოლოდ ჩაახშო მიტინგი, არამედ თავად ყვავილიც აკრძალა.

– 1992 წლიდან სინგაპურში საღეჭი რეზინის ექსპორტი და გაყიდვა უკანონობად ითვლება. მთავრობამ ბრძანა, რომ ქუჩები და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები სუფთა და მოწესრიგებული უნდა იყოს და ამ წესრიგის დარღვევა მხოლოდ საღეჭ რეზინს შეუძლია.

– ირანში აკრძალულია მანეკენი, რომელსაც ჩადრი არ მოსავს. ალბათ, იმას შიშობენ, რომ მანეკენსაც შეუძლია მამაკაცის ცდუნება.

– პოლიეთილენის პარკები აკრძალულია ბანგლადეშში, საფრანგეთში, მექსიკასა და ტანზანიაში.

– მიუხედავად იმისა, რომ საუდის არაბეთში არანაირი კანონი არ უკრძალავს ქალებს მანქანის მართვას, მართვის მოწმობას ქალებს მაინც არ აძლევენ, ანუ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება.

– საფრანგეთში კეტჩუპის აკრძალვა მხოლოდ მოსწავლეებსა და სტუდენტებს შეეხოთ, რათა ისინი



ჯანსაღი კვების წესსა და ტრადიციულ ფრანგულ სამზარეულოს შეაჩვიონ. კეჩუპი მხოლოდ კარტოფილ ფრისთან ერთადაა ნებადართული.

– შვედეთში მშობლებისა და მასწავლებლებისთვის აკრძალულია ბავშვის მიტყეპვა.

– მას შემდეგ, რაც 2004 წელს მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ე.წ ჭოჭიალა ბავშვებს სიარულის განვითარების უნარს ართმევდა, კანადელი ბავშვები მოძველებული ხერხებით სწავლობენ სიარულს.

– ჩინეთის ცენტრალურმა ბიურომ კინო, რადიო და ტელევიზიას განუცხადა, რომ არ ღირს ფილმებისა და ტელესერიალების წახალისება, ვინაიდან ისინი არასწორ ისტორიულ ფაქტებს ასახავს.

***mianfun.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## დაკრძალვებზე სიცილი დემენციის ნიშანია



ბავშვობაში ყველას გაგვცინებია კლასელის ბებიის პანაშვიდზე მისულებს. ეს იმიტომ, რომ წრეს კლასელის ბებიას ვარტყამდით და არა ჩვენსას. თანაც, მეტისმეტად პატარები ვიყავით იმისთვის, რომ სიკვდილის სიახლოვე გვეგრძნო და მივმხვდარიყავით, რას ნიშნავდა 75 წლის მოხუცის გაქვავებული სხეული. მაგრამ, თუ პატარა აღარ ხარ და ტრაგიკულ ამბებზე ისევ გეცინება, იცოდე, რომ სერიოზული და იშვიათი დაავადების, დემენციის წინაშე დგახარ.

დემენცია მეხსიერებისა და გონებრივი შესაძლებლობების ნაწილობრივი დაკარგვაა და მილიონში ერთ ადამიანს ემართება. ლონდონის ერთ-ერთი კოლეჯის მეცნიერები სწავლობდნენ პაციენტების იმ ჯგუფს, რომლებიც სხვის ან საკუთარ ტრაგიკულ ამბებზე იცინოდა. ზოგიერთ მათგანს სიმპტომები დიაგნოზის დასმამდე 9 წლით ადრე გამოუვლინდა.

***korrespondent.net***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ნიუ-იორკელებს დედის დაქირავება შეეძლებათ

ახალგაზრდებისგან ხშირად გვსმენია ფრაზები: „ჩემს მშობლებს ჩემი არ ესმით“, „მათ ჩემი ამბები არ აინტერესებთ“, ან პირიქით, „მშობლები მეტისმეტად იჭრებიან ჩემს პირად ცხოვრებაში“, „ისინი ცდილობენ, დამიგეგმონ ყოველი ნაბიჯი“ და ასე შემდეგ. თუმცა, არიან გამონაკლისებიც, რომლებიც ამბობენ, რომ მშობლებს, განსაკუთრებით დედებს ყველაფერს უყვებიან, მაგრამ არ არსებობს მშობელი, რომელიც ცუდი საქციელის გამო, სულ ცოტა, საყვედურს მაინც არ გვეტყვის.



ნიუ-იორკელი ნინა კენილის ახალი სერვისი, „მჭირდება დედა“ მსურველებს აბსოლუტურ გულისხმიერ გაგებასა და რჩევებს ჰპირდება. ახალგაზრდებს ხშირად აქვთ პრობლემები სამსახურში, შეყვარებულთან, მეზობელთან ან მეგობართან. მათ დედის რჩევები და თანადგომა სჭირდებათ. დედა კი, ხშირ შემთხვევაში, ვერ ახერხებს შვილთან ისეთ ხშირ ურთიერთობას. ზოგიერთ შემთხვევაში შვილებს არ აქვთ კარგი ურთიერთობა მათთან, ან სულაც გარდაცვლილი ჰყავთ.

– მე ვხვდები კლიენტს, ვსაუბრობთ, განვიხილავთ პრობლემებს. თუ ჩემთან თავს კომფორტულად იგრძნობს, ურთიერთობას ვაგრძელებთ. მე არ ვკიცხავ მათ ვარდისფრად შეღებილი თმის გამო, არც შეცდომების გამო ვსაყვედურობ. ისინი მესაუბრებიან, მე ვუსმენ. თუ სჭირდებათ რჩევას ვაძლევ. უკვე 6 მუდმივი კლიენტი მყავს, – ამბობს იდეის ავტორი.

ნინა კენილს ტელევიზიიდან უკვე აქვს შეთავაზება, რათა შოუ გააკეთოს, თუმცა თავად არ იცის, რას იზამს მომავალში. შესაძლოა, სხვადასხვა ქალაქში გახსნას ოფისი და თანამშრომლები აიყვანოს.

***metronews.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ჭკუა და იუმორი არაფრით ყოფილა ერთმანეთთან დაკავშირებული



თუ ქალი მამაკაცის ხუმრობებზე იცინის, ესე იგი მოსწონს, თუ მოსწონს ესე იგი აფასებს მის გონებრივ შესაძლებლობებს, თუ აფასებს მის გონებრივ შესაძლებლობებს ესე იგი ხუმრობებზეც იცინის. დაახლოებით მსგავსი ჯაჭვური დასკვნა იყო გაბატონებული მანამ, სანამ ხელახლა არ ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომელიც სოციალურ ქსელში უცნობი ადამიანის გვერდის მოწონებასა და საპირისპირო სქესთან პირად ურთიერთობას ითვალისწინებდა. აღმოჩნდა, რომ ჭკუა და იუმორი არაფრით ყოფილა ერთმანეთთან დაკავშირებული. იუმორის გრძნობის მქონე ადამიანები ღია და ადვილად საკონტაქტო პირებად მიიჩნევიან. ქალებიც სწორედ ამიტომ იცინიან, მათ მოსწონთ მარტივად საურთიერთობო, ლაღი მამაკაცები. ასეთებთან ხომ გაცილებით იოლია პრობლემების მოგვარება.

***korrespondent.ru***

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99



ქმარი ცოლს:

– საყვარელო, რა სასიამოვნო სუნი გაქვს?

– მოგწონს? ეს ის სუნამოა, შენ რომ მიყიდე გუშინ.

– ჰო, მაგრამ მე შენთვის სუნამო არ მიყიდია!

– მიყიდე, მიყიდე. საფულეში ჩაიხედე...

*****

კოტე ქუჩაში მიდის, ხედავს სკამზე მოხუცი მამაკაცი ზის და ტირის.

– რატომ ტირი, ბაბუ?

– რატომ და 20 წლის გოგოზე ვიქორწინე... დილით რომ ვდგები, უგემრიელეს საუზმეს მახვედრებს, შუადღეზე – სადილს, საღამოს მასაჟს მიკეთებს, ღამით კი დაუვიწყარი სექსი გვაქვს ხოლმე.

– და რა გაქვს მერე სატირალი?

– რა და შვილო, დამავიწყდა, სად ვცხოვრობ!..

*****

ცათამბჯენის ლიფტში ამერიკელი და რუსი მოხვდნენ. უცბად ლიფტი გაიჭედა. შიშისგან რუსს კუჭი აეშალა. ველარ ითმენს და ამერიკელს ეუბნება:

– მოდი, კუთხეში ჩავიკუზები, შენ კი მიბრუნდი.

– ოკ, – უთხრა ამერიკელმა, მიბრუნდა და სიგარეტს გაუკიდა.

ჩაცუცქული რუსი გაბზარული ხმით:

– ლიფტში რომ მოწევა არ შეიძლება, არ იცი?!

*****

ქერა გოგონა თვითმფრინავში ავიდა და ადგილი ფანჯარასთან დაიკავა. ცოტა ხანში მასთან მამაკაცი მივიდა:

– გოგონი, თუ შეიძლება თქვენი ადგილი მოძებნეთ.

– რატომ? მე აქაც ძალიან მომწონს.

– კარგით, მაშინ მოკიდეთ შტურვალს ხელი და დაძარით თვითმფრინავი, ჩვენი რეისის გასვლის დროა!..

*****

– ჩაი, როგორც იქნა, ჩაი! – გახარებულმა წამოიყვირა ღვიძლმა და ბედნიერებისგან გონება დაკარგა...

*****



გოგონა საავადმყოფოში შეყვარებულის სანახავად მივიდა. პალატასთან თეთრხალათიანი ქალი დაინახა და ჰკითხა:

– შეიძლება ავადმყოფი მოვინახულო?

– უკაცრავად და თქვენ ვინ ხართ?

– და ვარ მისი.

– ოოო, სასიამოვნოა თქვენი გაცნობა – მე დედამისი ვარ!..

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ***

***დავით ახობაძის ნახატი***

НЕКРОЛОГЕБИ — **ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);




## ბავშვებს, რომლებიც წლის პირველ სამ თვეში იბადებიან, დანარჩენებზე მეტი შანსი აქვთ, სწავლაში წარმატებას მიაღწიონ და შესანიშნავი კარიერა მოიწყონ

– ბავშვებს, რომლებიც წლის პირველ სამ თვეში იბადებიან, დანარჩენებზე მეტი შანსი აქვთ, სწავლაში წარმატებას მიაღწიონ და შესანიშნავი კარიერა მოიწყონ, – აი, ასეთი აღმოჩნდა ნორვეგიელი მეცნიერების დასკვნა.

როგორც ირკვევა, კვლევაში 13-დან 15 წლამდე ასაკის 6752-მა ნორვეგიელმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

ოსლოს უნივერსიტეტის სპეციალისტების თქმით, ისინი გაკვირვებულები დარჩნენ მოზარდებში აღმოჩენილი ინტელექტუალური შესაძლებლობების დონით – იანვარში, თებერვალსა და მარტში დაბადებული ბავშვები ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში დაბადებულ თანატოლებს აშკარად ჯაბნიდნენ.

გარდა ამისა, კვლევის შედეგად დადგინდა ისიც, რომ წლის ბოლოს დაბადებული ვაჟები ახალი ურთიერთობების გაბმის უნარის მხრივ მოიკოჭლებდნენ და უჭირდათ ახალი მეგობრების გაჩენა.

რამდენად შეიძლება ნორვეგიელი მეცნიერების ამ კვლევის შედეგების დაჯერება, ვერაფერს გეტყვით, მით უფრო, რომ თვადაც ვერ ხსნიან, რატომ ახდენს გავლენას ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე დაბადების პერიოდი.

*pronowosti.ru*

## მშვიდი მელოდიები ფერად მაღაზიებსა თუ რესტორნებში მამაკაცებს გაცილებით მეტი თანხის დახარჯვისკენ უბიძგებს



გსურთ, თქვენთვის საოცნებო ქალი ადვილად მოხიბლოთ და მისი უარის გამო ღამეები არ ათენოთ? ასეთ შემთხვევაში, ფრანგ მეცნიერებს უნდა დაუჯეროთ, რომლებმაც დაადგინეს, რომ მშვიდი მელოდია მშვენიერი სქესის დადებით რეაქციებს მნიშვნელოვნად ზრდის.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ერთობლივი კვლევა პარიზისა და ბრეტანის ფსიქოლოგიური უნივერსიტეტების სპეციალისტებმა ჩაატარეს და შეეცადნენ იმის დადგენას, რამდენად მოქმედებს მუსიკა ადამიანის ფსიქოლოგიაზე.

ჰოდა, დაადგინეს, მშვიდი მელოდიები ფერად მაღაზიებსა თუ რესტორნებში მამაკაცებს გაცილებით მეტი თანხის დახარჯვისკენ უბიძგებს. რაც შეეხება მშვენიერ სქესს, მათ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ ქალი დადებითი ემოციების მოზღვავებას განიცდის და მზად არის, კავალერს პირველი კოცნაც კი აჩუქოს. მოვლენების შემდგომი განვითარება უკვე მამაკაცის შესაძლებლობებზეა დამოკიდებული.

ექსპერიმენტში სულ ასმა ახალგაზრდა ქალმა მიიღო მონაწილეობა, რომელთა ერთ ჯგუფს სპეციალისტებმა რომანტიკული, მეორეს კი „ნეიტრალური" მელოდიები მოასმენინეს. მეორე ეტაპზე მათ სპეციალურად დაქირავებული მამაკაცებისგან კომპლიმენტები დაახვავეს და დაადგინეს, რომ დადებითი რეაქცია პირველი ჯგუფის 90 პროცენტს გამოუვლინდა, ხოლო მეორე ჯგუფში კომპლიმენტებით მხოლოდ 23 პროცენტი მოიხიბლა.

*woman.ru*

## შაქარს ადამიანის სტრესისგან განთავისუფლება შეუძლია?



– გლუკოზა თავის ტვინს დამატებითი ენერგიით ამარაგებს, რაც, თავის მხრივ, ადამიანს სტრესის დაძლევაში ეხმარება, – განმარტავენ ავსტრალიელი მეცნიერები, რომლებმაც აღმოაჩინეს, რომ ტკბილ სასმელებს არა მხოლოდ სტრესის, არამედ აგრესიის შემცირებაც კი შეძლებია.

ექსპერიმენტის ფარგლებში სპეციალისტები ორივე სქესის წარმომადგენლებს ლიმონათით ამარაგებდნენ, რომელიც შაქრისგან ან შაქრის შემცვლელისგან იყო დამზადებული. ამის შემდეგ, მოხალისეებს დავალებათა სერიას აძლევდნენ, რომელსაც სტრესი უნდა გამოეწვია. ყველაზე რთული დავალება სიტყვით გამოსვლა იყო, რის შემდეგაც კვლევის მონაწილეებს ეუბნებოდნენ, რომ მათი საუბარი მომაბეზრებელი და უაზრო იყო.

აღმოჩნდა, რომ ჯგუფი, რომელიც შაქრისგან დამზადებულ ლიმონათს სვამდა, ფსიქოლოგების ამ გამოწვევაზე უფრო იშვიათად ეგებოდა, ვიდრე მეორე, რომლის სასმელიც შაქრის შემცვლელებისგან იყო მომზადებული.

*medportal.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**12 ნოემბერი:** თუ დღეს კოლექტივთან ურთიერთობაზე უარს იტყვით, გახსოვდეთ, რომ პრობლემის შემთხვევაში გვერდში მდგომი და დამხმარე არ გეყოლებათ.

**კურო 22.04-21.05**

**12 ნოემბერი:** შესაძლოა, ძალიან უხეშად მოგექცნენ. თუ ამას იუმორით უპასუხებთ, ეჭვი არ შეგეპაროთ, ძალიან ინანებენ და მოგიბოდიშებენ კიდეც.

**ტყუპები 22.05-21.06**

**12 ნოემბერი:** თუ დღეს უმნიშვნელო საქმეები გაქვთ, გადადეთ და შეეცადეთ, რაც შეიძლება მრავალფეროვნად დაისვენოთ, არ ინანებთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**12 ნოემბერი:** ფული არ დაინანოთ, საკუთარ თავს რაიმე სასიხარულო საჩუქარი გაუკეთეთ. ფინანსების მხრივ, უკეთესობაა მოსალოდნელი.

**ლომი 23.07-22.08**

**12 ნოემბერი:** ის, რასაც დღეს პრობლემად ჩათვლით, მხოლოდ დროებითი სირთულე იქნება, რომელთა გადალახვაც ადამიანს აწრთობს.

**ქალწული 23.08-22.09**

**12 ნოემბერი:** იქნებ მოინდომოთ და თქვენს გონებაში „დაკონსერვებული" ერთი იდეა მაინც განახორციელოთ. საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენას მაინც გაიძლიერებთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**12 ნოემბერი:** სიტყვა არ წამოგცდეთ იმაზე, რაშიც კარგად ვერ ერკვევით. ან მოემზადეთ საუბრისთვის, ან ხმა არ ამოიღოთ, თორემ უვიცობას წამოგაძახებენ.

**მორიელი 23.10-21.11**

**12 ნოემბერი:** ცხოვრება რთულია, მაგრამ მშვენიერი და დღეს ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნების საბაბი მოგეცემათ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**12 ნოემბერი:** მშვიდი დღე იქნება. შეგიძლიათ, საკუთარ თავს რეალობისგან მოწყვეტისა და ოცნების საშუალება მისცეთ, ოღონდ რეალობას დროულად დაუბრუნდით.

**თხის რქა 22.12-19.01**

**12 ნოემბერი:** შეეცადეთ, დღეს რაც შეიძლება მეტად დაიტვირთოთ ფიზიკურად. გონებრივი საქმიანობისგან ზოგჯერ მაინც უნდა განიტვირთოთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**12 ნოემბერი:** წესით, იღბალმა მთელი დღის მანძილზე არ უნდა დაგტოვოთ. ეს ერთ-ერთი სასიამოვნო დღე უნდა იყოს, თუკი თავად არ აურ-დაურევთ რამეს.

**თევზები 19.02-20.03**

**12 ნოემბერი:** ის, რასაც ძალიან დიდი ხანია ელტვით და ვერაფრით მოახერხეთ მასთან მიახლებაც კი, დღეს ადვილი მოსახელთებელი გახდება. ასე რომ, შანსი ხელიდან არ გაუშვათ.


გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა"

**სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

„ალიას" რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

**ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.**


## შავი პური და წიწიბურა მხედველობას სიბერემდე შეგინარჩუნებთ



ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკის თანახმად, ბოლო 10 წლის მანძილზე მხედველობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა მთელი 35-40 პროცენტით მოიმატა და სამწუხაროდ, ეს არასასიამოვნო ტენდენცია კვლავ მატებისკენ მიდის. აქედან გამომდინარე, ბოსტონის კვებისა და მხედველობის უნივერსიტეტის სპეციალისტების კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მოგვეჩვენა და მისი შინაარსისა და შედეგების თქვენთვის გაცნობა სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ.

როგორც ირკვევა, 55-დან 80 წლამდე ასაკის 4 ათასზე მეტი ადამიანის კვების რაციონი ამერიკელმა მეცნიერებმა იმ მიზნით შეისწავლეს, რა გავლენას ახდენდა საკვები ოფთალმოლოგიურ დაავადებებზე.

კვლევის დასკვნა ასეთია: პროდუქტი, რომელიც ე.წ. ნელი ნახშირწყლების დაბალი შემცველობით გამოირჩევა, ადამიანს ასაკობრივი მაკულარული დეგენერაციისგან იცავს. შესაბამისად, ვისაც სურს, რომ ასაკის მატებასთან ერთად მხედველობის პრობლემები არ გაუჩნდეს, საკუთარი კვების რაციონში აუცილებლად უნდა დაამატოს შავი პური, მაკარონი, წიწიბურისა და შვრიის კერძები, კარტოფილი და ასე შემდეგ.

*dr20.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ოჯახი ტელევიზორს უყურებს – გადაცემა ცხოველთა სამყაროს ეხება. უცბად შვილი მშობლებს მიუბრუნდება:

– აუ, გეხვეწებით, კნუტი ვიყიდოთ, რა?

დედა:

– არა, შვილო, რომ გაიზრდება, მთელ სახლს შარდით და განავლით მოგვისვრის ხოლმე.

– კარგი, მაშინ ლომის ბოკვერი ვიყიდოთ.

მამა:

– არა, შვილო, რომ გაიზრდება, მერე შარდით და განავლით სახლს ჩვენ მოვსვრით ხოლმე...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა"

» 211359457

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე 599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში"** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური ☎ 2-333-170 577-444-442 მიხეილ სახვაძე 221 21 80 (შიდა ნომერი 108) E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.45